პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან, დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

დღიური

- პოლონეთში გრძელდება ბელორუსთა გრომადის წევრების დაპატიმრება.
- სამხრეთ-სლავიის კაბინეტის შედგენა დაევალა უზუნოვიჩს.
- გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში ჩამოვა ფინეთის მუშათა დელეგაცია.
- საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად იაპონიაში დაინიშნა ამხ. დოვგალევსკი.
- გერმანელ მოჯამაგირეთა ბრძოლა ხელფასის გადიდებისათვის.
- ინგლისელ მემაღაროეთა ერთდღიური გაფიცვა.
- დღეს მოსკოვიდან ბერლინში მიემგზავრება საბჭ. კავშირის მელითონეთა დელეგაცია.

ოთხშაბათი, 2 თებერვალი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 25 (1780)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

ოთხშაბათს, ა | წ. თებერვლის 2, საღამოს 7 საათზე, შესდგება
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ცაკის სამდივნო.

არჩევნები უკვე დაიწყო

საბჭოების გადასარჩევად წინასწარი მზადება უკვე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ახლა ჩვენ უნდა შევუდგეთ თვით არჩევნებს, რასაც მოუნდება დაახლოვებით 1—1 ნახ. თვე.

დაწყებული ძირიდან, სოფლიდან და გათავებული მაღლა, თავში ანუ **ცენტრში** ყველა საბჭოები და მათი აღმასრულებელი ორგანოები სულერთიანად ხელახლა უნდა იქნენ **გადარჩეული** და **განახლებული.** სწორედ აი ამაში მდგომარეობს საბჭოთა სისტემის ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და იმავე დროს ყველაზე უფრო არსებითი მხარე. როგორც თვით საბჭოები, ისე იმათი გადარჩევა წარმოადგენს მეტად მწყობრ და სრულიად დასრულებულ სისტემას. ესაა შეუწყვეტელი ჯაჭვი, რომლის თითოეულ რგოლს თავისი განსაზღვრული ადგილი უჭირავს და რომელიც თავის განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს. სოფლის საბჭო, მაზრა—ქალაქის საბჭო ერთი მხრით და თემის აღმასრულებელი კომიტეტი, მაზრა-ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მეორე მხრით—ყველა ეს სხვადასხვა შემაერთებელი რგოლებია ერთი და იმავე ჯაჭვისა და ერთი უმეორისოდ იმათი არსებობა შეუძლებელია და აქედან იმათი გადარჩევა და განახლება უნდა მოხდეს ერთდა იმავე დროს, რათა შესაბამობა იმათ შორის არ დაირღვეს.

საბჭოები მოწოდებულია განახორციელონ **მშრომელთა ბატონობა,** ე. ი. **პროლეტარიატის დიქტატურა** მანამ, სანამ ჩვენში ჯერ კიდევ არ გამქრალა ეკონომიური უთანასწორობა და კლასობრივი დაყოფა. საბჭოებმა სავსებით უნდა უზრუნველყონ მშრომელთა დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში, დაწყებული ძირიდან და გათავებული მაღლა ცენტრში. ამ ამოცანის გადაჭრა მეტად ძნელი საქმეა. ერთი უმთავრესი წინასწარი პირობა ამის განსახორციელებელი არის თვით ამ მშრომელი მასსების ამოძრავება, განსაკუთრებით კი ამ მასსების იმ ფენების (სოფლის ღარიბ-ღატაკები, მოჯამაგირეები და სხვ.), რომლებიც, როგორც ნივთიერად, ისე კულტურულადაც ყველაზე უფრო ჩამორჩენილები არიან. მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმი—**კომუნისტური პარტია** და **საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები** თავისთავზე ღებულობენ ამ ამოცანის განხორციელებას. ეს მართლაც დიადი ამოცანაა. დღემდის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, არც ერთ ხელისუფლებას არ უცდია ამ ამოცანის სინამდვილეში განხორციელება. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავს იდვეს ამის განხორციელება.

მაგრამ, ამავე დროს, ესაა სწორედ ის, რასაც **დემოკრატიზმი** ეწოდება. ნამდვილმა დემოკრატიზმმა მხოლოდ საბჭოებში პოვა თავისი განხორციელება. იქ, სადაც ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა ანუ დიქტატურა სუფევს, ე. ი. იქ, სადაც მჩაგვრელი წოდებები და კლასები პოლიტიკურად ბატონობენ, შეუძლებელი და წარმოუდგენელია ნამდვილი დემოკრატიზმის განხორციელება. ჩვენ ახლა ამ მხრით ადვილად შეგვიძლია შევადაროთ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხალხის უფართოესი ფენები, ყველაზე უფრო ჩამორჩენილები და ღარიბ-ღატაკნი გამოყვანილ იქნენ სამოქმედო ასპარეზზე და პირველ რიგში ჩაბმულ იქნენ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში, და ყველა ამ ელემენტების პოლიტიკურად გაწვრთნა და გათვითცნობიერება რაც შეიძლება დაჩქარდეს,—ბურჟუაზიულ ქვეყნებში სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა კაპიტალისტების და მემამულეების ხელშია და იმავე დროს ისინი ყოველ ზომებს ხმარობენ, რათა ხალხი ანუ დემოკრატია არ დაუშვან სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობასთან. ამ ნიადაგზე იქ უკვე დიდი ხანია რაც სწარმოებს მეტად გაფთრებული ბრძოლა ერთი მხრით გაბატონებულ კლასებსა, ე. ი. კაპიტალისტებსა და მემამულეებსა და მეორე მხრით მუშათა კლასს შორის. რაც დრო გადის, ეს ბრძოლა იქ სულ უფრო და უფრო მწვავდება და უკანასკნელ წლებში საქმე იქამდის მივიდა, რომ დემოკრატიზმის ის მკრთალი ნასახიც კი, რასაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმოადგენს **პარლამენტი** სხვადასხვა ცრუ დემოკრატიული თავისუფლებებით, რაც ფაქტიურად იქ არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლა არის, დღეს პირწმინდად გაუქმებულია და მის მაგიერ **თავშეუკავებელი ძალმომრეობაა გაბატონებული მუშებზე და გლეხებზე** ბურჟუა-კაპიტალისტების და მსხვილ მიწადმფლობელების მხრით. ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის მაგალითზე, იტალიას, ბულგარეთს, პოლონეთს, რუმინეთს, ლიტვას და სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ კარგად ვხედავთ დღეს, თუ რა ზომამდე მიდის ყველა ამ ქვეყნებში მუშების და გლეხების განუზომელი ჩაგვრა და შევიწროება. როგორღა შეიძლება ასეთ პირობებში დემოკრატიზმზე ლაპარაკი. მაშასადამე, განსხვავება ბურჟუაზიულ ქვეყნებსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დღეს ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, თუ განგებ თავს [illegible] დაიბრმავებს. ეს განსხვავება ყველაზე უფრო აშკარავდება სწორედ **არჩევნების** დროს.

აბა მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ როგორ ხდება ჩვენში საბჭოების—ამ უაღრესად პოლიტიკური ორგანოების—არჩევნები და როგორ ხდება ასეთივე არჩევნები ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ჩვენში არჩევნებში მოყოლებული და ჩაბმული უნდა იქნენ განსაკუთრებით მშრომელი მასსები, მუშები და ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობა; ამავე დროს მიღებულია ზომები, რათა ამათ გაუადვილდეთ არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღება, თუ დროს შერჩევით, თუ მუშაობიდან განთავისუფლებით, თუ კრებისათვის შესაფერ ადგილის გამორჩევით და სხვა და სხვა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი, პირიქით. საქმეს ისე აწყობენ, რომ მუშებს და გლეხებს, თუ მათ ბურჟუაზიული კანონით სიტყვით ეძლევათ საარჩევნო უფლება, რამდენადაც კი შესაძლებელია, გაუძნელონ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, და ფაქტიურად ეს მონაწილეობა შეუძლებელი გახადონ.

აბა ახლა გადახედეთ, თუ რა ხდება ჩვენში არჩევნების დროს. მიღებულია გადაჭრილი ზომები იმ მიზნით, რომ არ დარჩეს სადმე არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი სოფელი, არც ერთი მივარდნილი კუთხე, სადაც მუშებმა და გლეხებმა განურჩევლად **ეროვნებისა და სქესისა.** საბჭოების გადარჩევის დროს უახლოესი აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ არა მარტო ხმის მიცემით, არამედ საბჭოებში ასარჩევი პირების დაფასებაშიაც.

მაგრამ შეიძლება ყოველივე ეს მარტოოდენ სიტყვაა, მარტოოდენ ჩვენი ოცნება და მშრალი მსჯელობა, და სინამდვილეში კი ჩვენ ვერ შევძელით ამ მიზნის განხორციელება, ფართო მასსების დაინტერესება საბჭოებით და იქ მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ჯერ კიდევ წარსული არჩევნების დროს ჩვენს საბჭოებს დაეტყო შესამჩნევი გამოცოცხლება. ჩვენ ვიცით, რომ გასული წლის განმავლობაში საბჭოების საშუალებით და მათი მეოხებით გაჩაღებულ იქნა სოფლად და ქალაქად საკმარისად დიდი და მეტად საყურადღებო მუშაობა. ყოველივე ეს შეუძლებელი იყო ხალხის ფართო მასსების მონაწილეობის გარეშე. ხოლო რაც შეეხება დღევანდელ არჩევნებს, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი გამოიწვევენ უდიდეს გამოცოცხლებას მუშებში და გლეხებში. და გამოიწვიეს კიდევაც. ეს უკვე გვიჩვენა ჩვენ იმ კამპანიამ, რომელიც ჩატარებულ იქნა არჩევნების წინასწარი მზადებისათვის. ეტყობა, რომ პარტიის და ხელისუფლების მუშაობას ამ მხრით უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ მუშაობის თვალსაჩინო შედეგებს ჩვენ ვხედავთ ყოველგან, რა თქმა უნდა, სულ მცირე გამონაკლისის გარდა. მშრომელთა მასსები გაცხოველებული ინტერესით ეცნობიან საბჭოების მუშაობას წარსულში, აფასებენ მიღწევებს, აკრიტიკებენ იმათ უარყოფით მხარეებს და ყველა ამის მიხედვით ითვალისწინებენ საბჭოების მომავალ მუშაობას. ამ შეფასების და კრიტიკის დროს შეუძლებელი იყო, რომ სათანადო ყურადღება არ მიექციათ თვით საბჭოების პიროვნული შემადგენლობისათვის. ამ მხრით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არჩევნების კამპანია უფრო სოფლად, ვინემ ქალაქებში. ეს იმიტომ, რომ დღეს სოფელში უფრო აშკარად ეჯახებიან ერთმანეთს **მდიდართა და ღარიბთა ინტერესები.** სოფელში დღეს ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივ ბრძოლასთან, რომელიც ხდება ერთი მხრით მდიდარ, შეძლებულ გლეხებსა (კულაკებსა) და მეორე მხრით საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის. საბჭოთა კონსტიტუციით მდიდარი გლეხები (კულაკები) მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. იმათ კარგად ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას, და ამიტომ ისინი მეცადინეობენ რამე გზით საბჭოებში გაძვრონ. ამას ისინი წინად ნაწილობრივ ახერხებდნენ, როცა საშუალო და ღარიბი გლეხობა ჯერ კიდევ ან სრულებით ან ნახევრად შეუგნებელი იყვნენ. დღეს კი ეს აღარ ითქმის, რადგანაც ღარიბ-ღატაკ გლეხობას უკვე აქვს გამოცდილება, და გარდა ამისა იმათი პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის გამუდმებით მუშაობენ როგორც პარტია, ისე ხელისუფლება.

ამგვარად, იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომელსაც დღეს განსაკუთრებით არჩევნების ირგვლივ აწარმოებს პარტია და ხელისუფლება როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, ჩვენ უნდა მივიღოთ **განახლებული საბჭოები,** რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგენ ჩვენ **სოციალისტურ აღმშენებლობას,** რომლებმაც ხალხის ფართო მასსებში უნდა დაბადონ უდიდესი ინტერესი ამ აღმშენებლობის მიმართ და ამით სოციალიზმის შენების საქმე აჩქარებული ნაბიჯით გააქანონ წინ.

რა თქმა უნდა, ეს განახლება ჩვენ ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საბჭოებში სულ ერთიანად ახალი წევრები უნდა იქნენ არჩეული. სრულებით არა: დიდი ნაწილი ძველი წევრებისა ისევ უნდა იქნას იქ გაყვანილი. მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საბჭოებში აუცილებლად უნდა იქნან გაყვანილი **ახალი ძალები** იმათ ნაცვლად, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ გაამართლეს მუშურ-გლეხური მასსების დავალებანი და იმედები, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს ვერც უნარი და ვერც მოთავეობა (ინიციატივა) საბჭოების მუშაობაში. იმათ მაგიერ უნდა არჩეულ იქნენ **უფრო გამოცდილი, უფრო საქმის მცოდნე და უფრო ერთგული პირები.** ასე და ამგვარად უნდა იქნენ განახლებული საბჭოები.

არჩევნების ჩატარების დროს ჩვენ უნდა გვახსოვდეს უმთავრესად სამი რამ: 1)**მშრომელთა ხელისუფლების, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება; 2) პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობა და მისი ავტორიტეტის და ნდობის ამაღლება და გაძლიერება მშრომელთა** ფართო მასსებში; და 3) საბჭოებში უნდა გაყვანილ იქნენ **მუშების და გლეხების საუკეთესო ელემენტები, ე. ი.** ისეთი პირები, რომლებიც ყველაზე უფრო დაიცავენ როგორც მუშათა კლასის ინტერესებს, ისე ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ.

საჭიროა მივუთითოთ აქ კიდევ ორ გარემოებაზე. მე მხედველობაში მყავს აქ ერთი მხრით **ეროვნული უმცირესობანი** და მეორე მხრით **ქალები** მე მგონია, მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები მომავალ არჩევნების დროს ოდნავაც არ უნდა იქნენ შელახული, ე. ი. იქ, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობანი, იმათგან იმათი რიცხვის მიხედვით უნდა იქნას არჩეული საბჭოებში სათანადო რიცხვი.

რაც შეეხება ქალების არჩევას საბჭოებში, ამ მხრით ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ნაკლი გვაქვს. მართალია ქალთა საკითხის საქმეში საერთოდ ჩვენ ისეთი დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, რომ ამ მხრით ჩვენ ვერ შეგვედრება ვერც ერთი ბურჟუაზიული ქვეყანა, რაგინდ ის დაწინაურებული ან განათლებული არ იყოს, მაგრამ ჩვენ ამით მაინც ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქალების რიცხვის ზრდას საბჭოებში მრავალი დამაბრკოლებელი გარემოება უშლის ხელს, და იქ მართლაც ბევრი ფრიად სერიოზული და საყურადღებო გარემოებაა (ძველი ტრადიციები, დაბეჩავება, უკულტურობა და სხვ.), მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევეცადოთ ყველა ამ დაბრკოლებათა თავიდან აშორებას და ჩვენ საბჭოებში ქალებმა უნდა **დაიჭირონ ის ადგილი, რომელიც მათ უთუოდ ეკუთვნით.** ასე დგას საკითხი.

ამგვარად, ჩვენ უკვე მივადექით საბჭოების გადარჩევას. კიდით-კიდემდე ამ არჩევნებმა მოძრაობაში უნდა მოიყვანოს მუშების და გლეხების უფართოესი მასსები როგორც სოფელში, ისე ქალაქებში, აამოქმედონ და აამუშაონ ისინი. დეე ჩვენმა მტრებმა, რომლებიც ჩვენ დაგვცინიან და რომლებიც ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ ვითომც ჩავკალით ჩავახჩვეთ ხალხის თვითმოქმედება, შევბორკეთ მისი ინიციატივა და წინსვლა,—დეე იმათ თავისივე თვალებით დაინახონ, თუ როგორ ხდება ჩვენში საბჭოების არჩევნები, თუ ვინ ღებულობს ამაში მონაწილეობას. დეე იმათ დაინახონ, თუ საბჭოთა რესპუბლიკებში მართლა ჩაკლულია ხალხის თვითმოქმედება, თუ პირიქით ამ თვითმოქმედებას სწორედ საბჭოების დროს მიეცა ფართო გზა და ასპარეზი. მხოლოდ ჩვენ მოსისხლე მტრებს შეუძლიანთ, უკიდურესი სიბოროტისა და გაბრაზების გამო, ყოველივე ეს უარყონ. მით უარესი მათთვის. მაგრამ ეს ხომ ვერ შეაჩერებს ჩვენ ზრდას, ჩვენ განვითარებას. აქვე უნდა განვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ ვიცით და ამას არ ვმალავთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ **ბევრი ნაკლი გვაქვს, რომ ჩვენ ალაგ-ალაგ შეცდომებსაც** ჩავდივართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შეუჩერებლად წინ მივდივართ. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოები იზრდებიან, და იმათი ავტორიტეტი და გავლენა ხალხის ფართო მასსებში თანდათან და შეუჩერებლად მატულობს. ჩვენი მტრების საუბედუროდ, იმათ თვალწინ **საბჭოები იზრდებიან და მაგრდებიან.** იმავე დროს კი ბურჟუაზიული ქვეყნების **პარლამენტარიზმი** ყალბი და ცრუდემოკრატიული თავისუფლებებით საბოლოოდ იხრწნება და ქრება, როგორც აჩრდილი.

ჩვენ გვწამს, რომ საბჭოების მომავალი არჩევნები ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდება საბჭოთა ხელისუფლების და მშრომელ მასსების სასარგებლოდ.

ამიტომ ჩვენ კიდევ განმეორებით მივმართავთ მოგონებით ყველას მუშაობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. მაშინ ჩვენ პირნათლად შევასრულებთ ჩვენი უდიდესი მასწავლებლის და ბელადის—ამხ. ლენინის ანდერძს.

ფ. მახარაძე.

სად არის საფრთხე

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი).

ფასების საკითხი ამჟამად მთელი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. ჩვენ ათასჯერ გვითქვამს, როგორი უნდა იყოს ფასების პოლიტიკა. ამჟამად ჩვენ გაძლიერებული ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი ხაზი, რომელიც კარგად აქვს შეთვისებული მთელს ჩვენს პარტიას, განვახორციელოთ ჩვენი საქმე,—ჩვენ მიერ აღებული კურსი ფასების დაკლებაზე.

რასაკვირველია, სამეურნეო პირობები ბევრ ობიექტიურ სიძნელეებს შეიცავენ ფასების დაკლების პოლიტიკის გატარების საქმეში. სახაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ასეთ სიძნელეებს ადგილი არ აქვს. მაგრამ ცხოვრება გვაიძულებს ამჟამად ვილაპარაკოთ არა იმდენად ამაზე. რამდენად სხვაზე,—სახელდობრ იმაზე, რომ ჩვენი ფასების პოლიტიკა სულ უფრო ეჯახება სამეურნეო და, პირველ ყოვლისა, სავაჭრო ორგანიზაციების მონოპოლისტურ ინერციას. ამას ჩვენ უფრო მეტად, ვინემ აქამდე, უნდა მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება.

ყველაზე უფრო გასაგები ენა—ეს არის უბრალო, თვალსაჩინო, ყველასათვის მისაწვდომი ფაქტების ენა, რომელიც გვიხატავს ჩვენი პოლიტიკის გადამახინჯების და ჩვენი სამეურნეო მუშაობის მტკივან მხარეების მთელს სურათს. ფაქტები დაგვანახვებენ ჩვენ, თუ როგორ შეიძლება ყირამალა იქნეს დაყენებული ჩვენი სწორი პოლიტიკა.

ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი თვალსაჩინო ილიუსტრაციებისა.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. დვოილაცკიმ მოახდინა ივანოვო-ვოზნესენსკის კოოპერაციის გამოკვლევა. გამოკვლევამ ცხადჰყო შემდეგი:

აღმოჩნდა, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის პირველი საფეხურის მუშათა კოოპერატივებმა საკუთარ კაპიტალზე 1.817.000 მანეთის რაოდენობით მიიღეს 1.490.000 მანეთის მოგება. იმავე რაიონის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებამ საკუთარ კაპიტალით—989.200 მანეთით მოიგო 685.000 მანეთი. კინეშმის რაიონის პირველი საფეხურის მუშათა კოოპერატივებმა 1.061.000 მანეთით მოიგეს 751.000 მანეთი. კინეშმის რაიონულმა კავშირმა 536.000 მანეთით მოიგო 189.000 მანეთი.

შედეგი ასეთია: საკუთარ კაპიტალზე 5.944.000 მანეთის რაოდენობით მოდის 3.775.000 მანეთის მოგება. ექვსმა მილიონმა ერთი წლის განმავლობაში თითქმის ოთხი მილიონი მოგება დასტოვა.

მოგების პროცენტი ძირითად კაპიტალთან შედარებით უდრის 63½-ს (თუ ცალ-ცალკე ავიღებთ მუშათა კოოპერაციას და ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონულ კავშირს, ვღებულობთ მოგების ასეთ შეფარდებას: 82 პროც. და 84 პროც.). ეს მოხდა ჩვენი კავშირის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროლეტარულ ცენტრში; და ეს მაშინ, როცა აღნიშნულ კოოპერატივებს სავსებით ხელსაყრელი შეფარდება აქვთ საკუთარ და სხვის საშუალებებს შორის.

იმავე რაიონში ფასების საერთო ინდექსი 1926 წლის 1 მაისიდან 1 დეკემბრამდე შემცირდა 1,9 პროცენტით, მაგრამ შემცირდა სავსებით სასოფლო-სამეურნეო ფასების ხარჯზე. მაშინ, როცა სამრეწველო ფასები იძლევიან მომატებას 0,8 პროცენტით. გამოანგარიშებიდან სჩანს, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის მუშათა კოოპერატივებს იმ შემთხვევაშიაც, რომ დირექტივების თანახმად, სამეურნეო წლის მეორე ნახევარში დაეკლოთ ფასები სამრეწველო საქონელზე 8 პროცენტით,—მაშინაც დარჩებოდათ დიდი მოგება: 50 პროცენტზე მეტი საკუთარ კაპიტალზე. მაშასადამე, ფასების დაკლება ივანოვო-ვოზნესენსკის კოოპერაციისათვის სავსებით ადვილი იყო,—მოგება მაინც საზღაპრო დარჩებოდა, მაგრამ ასე მაინც არ მოხდა.

მოვიყვანოთ კიდევ ორი ფაქტი.

მოსკოვის კოოპერატივების საკონტროლო ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ მოსკოვში 100 შემოწმებულ კოოპერატიულ მაღაზიიდან 21 თავის ნებით უმატებდა პრეისკურანტის ფასებს, და ეს მომატება ზოგჯერ 40 პროცენტსაც აღემატებოდა. აქ ხაზის გადამახინჯება უკვე აშკარა დანაშაულში გადადის.

„კოოპერატივნაია ჟიზნ"-ის 22 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია ტულის მუშათა ცენტრალური კოოპერატივის ბალანსი 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის. ამ ბალანსში არის ასეთი ციფრები: საკუთარი კაპიტალი 626.795 მანეთი, წმინდა მოგება—1.530.479 მანეთი.. აქვსასმა ათასმა მანეთმა მოიგო მილიონ ნახევარი მანეთი. ეს ტულაში, პროლეტარულ ცენტრში, მუშათა კოოპერატივში.

ჩვენი კოოპერაცია და სახელმწიფო საწვრილმანო ვაჭრობის ბალანსები გვიჩვენებენ საზღაპრო მოგებას. ამას მოწმობენ ოფიციალური აშკარა ბალანსები, რომელნიც ხშირად უკლებენ რეალურად მიღებულ მოგებას. ვიცით ფაქტები, როცა ჩვენი ბალანსების ჯადოქრები ზარალში ატარებენ კაპიტალურ რემონტზე გაწეულ ხარჯებს და საკუთარი კაპიტალის პროცენტებს.

საჭირო არ არის რენტგენის სხივები, რომ ზემოდმოყვანილ ფაქტებში, ამ ილიუსტრაციებში, რომელნიც აღებულია ჩვენი სამეურნეო პრაქტიკიდან, დავინახოთ ჩვენი სამეურნეო მუშაობის ნაკლულოვანებანი და გამოვიტანოთ შემდეგი, ყოვლად უდავო დასკვნები.

პირველი—პოლიტიკა, რომელსაც ახასიათებენ ზემოდ მოყვანილი ცნობები, არ არის ჩვენი პოლიტიკა. ეს არის პოლიტიკა თანხების ალვირახსნილი დაგროვებისა, გატაცება თანხების დაგროვებით ყოველ მიზეზს გარეშე. ეს არის არა ჩვენი კოოპერატიული პოლიტიკა, არამედ მევახშეობა, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით, ეს არის მეურნეობის წარმოების კაპიტალისტური მანერა, რომელიც უკანონოდ გადმოაქვთ ჩვენს საბჭოთა პირობებში. კოოპერატივები, რომელნიც ასე იქცევიან, არიან არაცივილიზაციური კოოპერატივები, რომელნიც უნდა ვაქციოთ ცივილიზაციურ კოოპერატივებად.

მეორე—უსაზღვრო მოგებით გატაცება გვანიშნებს ჩვენ მონოპოლური მდგომარეობით გამოწვეულ საშიშროებას. რასაკვირველია, გასაგებია, რომ რაკი კონკურენტები არ არიან, რაკი მოგება დიდია, რაკი სიმდიდრის დაგროვება შეუჩერებლად სწარმოებს, ადვილია დამშვიდებით ყოფნა. სავაჭრო ორგანიზაციებს არ სურთ მოახდინონ აპარატის რაციონალიზაცია, შეამცირონ ზედნადები ხარჯები და დაუზოგავად შეკვეცონ არასაწარმოო მოხმარება. საგულისხმოა, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის მუშათა კოოპერატივებში, მიუხედავად ბრუნვის დიდი ზრდისა, სავაჭრო ხარჯები თითქმის არ შემცირებულა. 1924 წელს ისინი შეადგენდენ ბრუნვის 8,76 პროცენტს, ხოლო 1925—26 წელს—2,54 პროცენტს შეადგენენ.

მესამე—სამეურნეო მუშაობას, რომლის ნიმუშები ჩვენ მოვიყვანეთ, მივყევართ და არ შეიძლება არ მივყავდეთ ჩვენი სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიული გაქვავების საშიშროებისაკენ. აქედან იზრდება ბიუროკრატიზმი მთელს ჩვენს აპარატში. აი ამიტომ ფასების დაკლება ნიშნავს ბრძოლის წარმოებას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

მეოთხე — იმ პოლიტიკის წარმოება, რომელსაც ეწევიან ზედმეტი მოგებით გატაცებული კოოპერატივები, ნიშნავს მომხმარებელთა ინტერესების დაქვემდებარებას სავაჭრო ორგანიზაციების შემცდარად მოგებულ ინტერესებისადმი, იმის მაგიერ, რომ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა დაუქვემდებაროთ მომხმარებელთა ინტერესებს. მხოლოდ მომხმარებლის სავსებით დავიწყების, მისი პირდაპირ აბუჩად აგდების შემთხვევაში სამომხმარებლო კოოპერატივს შეუძლია მუშა-მომხმარებლების ხარჯზე მიიღოს 200 პროცენტზე მეტი წმინდა მოგება. ტულის კოოპერატიული პოლიტიკის ბრმად განგრძობა ნიშნავს მუშათა მასსების საარსებო დონის ამაღლების ხელოვნურად შეფერხებას, ნებსით და უნებლიეთ ხელის შეშლას რეალურ სამუშაო ხელფასის ზრდისათვის.

მეხუთე — 60 პროცენტის მოგების პოლიტიკის დაშვება, ფასების ფანტასტიურად მომატების ცდა, ნიშნავს ლაპარაკს „მაკრატლის გაშლაზე" გაზაფხულისათვის, არსებითად ნიშნავს მუშათა და გლეხთა კავშირისათვის ბრძოლის ჩაშლას. ბრძოლა „მაკრატლის" წინააღმდეგ შეუძლებელია, თუ ეხლავე, გადაუდებლად, მთელი ჩვენი ენერგიით არ შევუდექით წრეგადასულ ანუ უვიც კოოპერატორების და სამეურნეო მუშაკების შესაფერ კალაპოტში ჩაყენებას.

მეექვსე—არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მიერ მოყვანილი „გადახრები", „არანორმალურობანი", თუ ისინი მასიურად გავრცელდენ, მძიმე ტვირთად დააწვებიან ჩვენს ჩერვონეცს. მხოლოდ საკუთარი მონოპოლისტური სამრეკლოდან ცქერით შეიძლება ვინმემ ვერ შეამჩნიოს, ვერ მიხვდეს, რომ მაღალი ფასების შემწეობით მილიონების მოხვეტა, ეს არის ინფლიაციის გზა.

მეშვიდე—სავსებით ცხადია, რომ მასსები, მომხმარებელ მუშათა მასსები, სისტემატიურად თვალყურს რომ ადევნებდენ კოოპერატივების მუშაობას, რომ მასებს გასაგებად, სწორად უმარტავდენ არსაღი ბალანსების საიდუმლოებას, რომ მასსები უფრო მჭიდროდ იყვნენ ჩაბმული ჩვენი კოოპერატივების მუშაობაში და ჩვენს ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის,—ადგილი არ ექნებოდა მილიონობით მოგების ასეთ ოპერაციებს. მასსების ჩაბმა ჩვენს სამეურნეო მუშაობაში, მათი მონაწილეობით სწორი გზის ჩვენება იმათთვის, რომლებიც მაღალ ზედნართ ფასების შესაძლებლობას მონოპოლიურ პირობებში სინამდვილედ აქცევენ. ჩვენ გაცილებით უფრო მეტი ენერგიით უნდა ვაწარმოოთ, ვინემ დღემდე.

ყველა პარტიული ამხანაგები, ყველა სამეურნეო და კოოპერატიული დარგის მუშაკები უფრო გულდასმით და უფრო სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდენ მოყვანილ ფაქტებს. უნდა გავიგოთ ეს უბრალო ფაქტები არა მარტო როგორც ცალკე ნაკლულოვანებანი, არა როგორც ცალკე ამხანაგების ცალკე შეცდომები. ისინი უნდა დაუკავშიროთ საერთოდ მთელს ჩვენს მუშაობას მთელი ჩვენი კავშირის მეურნეობის მასშტაბით. უნდა შევიგნოთ რამდენად აუცილებელია ბრძოლა საწვრილმანო ფასების დაკლებისათვის, და რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება სავსებით შესაძლებელია. ვიყოთ ფხიზლად, მთავარია ვიმოქმედოთ ენერგიულად, მტკიცეთ, დაუღალავად.

მოსკოვი, 1 თებერვალი.

კამპანია საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის სასარგებლოდ ავსტრიაში

პეკინის მთავრობა მოითხოვს ინგლისისგან ჩინეთში გამოგზავნილი ჯარების გაწვევას

პროფკავშირების რეფორმისტული ბელადები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის რწმუნებულად იაპონიაში დაინიშნა ამხ. დოვგალევსკი.-ამხ. კოპპის გამოწვევა ტოკიოდან

პეკინის მთავრობის პროტესტი

პეკინის მთავრობის პროტესტი

პეკინი, 1 თებერვალი. პეკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ველინგტონ კუმ ინგლისის ელჩს პეკინში მაილს ლემპსონს გადასცა ფორმალური პროტესტი ჩინეთში საზღვაო და ხმელეთის შეიარაღებულ ძალების გაგზავნის წინააღმდეგ.

„შეუძლებელია იმის გადმოცემა, ნათქვამია ნოტაში, თუ რამდენათ გაიზარდა ნაციონალური გრძნობა ჩინეთის ხალხში ინგლისის მთავრობის სამხედრო ზომებს შეუძლიათ გამოიწვიონ სერიოზული გართულებები".

ნოტა აღნიშნავს, რომ შანხაიში შექმნილი მდგომარეობა არავითარ საშიშროებას არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან ჩინეთის სამხედრო ძალებს და პოლიციას შეუძლიათ წესრიგის დაცვა, როგორც უცხოელთა უბნის შიგნით, ისე მის გარეთ.

„უცხოეთის ჯარების თავმოყრამ შანხაის მიდამოებში, ნათქვამია ნოტაში, ადვილად შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი გართულებები, რომელთა პასუხისმგებლობას ჩინეთის მთავრობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იკისრებს".

დასასრულ ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ ინგლისის მთავრობა გასცემს განკარგულებას ჩინეთში გაგზავნილ ჯარების დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შესახებ. (ადს).

მაკდონალდი იწონებს ჩემბერლენის პოლიტიკას

ლონდონი, 31 იანვარი. მაკდონალდმა, შეეხო რა ჩემბერლენის სიტყვას ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში, განაცხადა, რომ ოპოზიცია მზად არის ყოველმხრივ გულწრფელად დაუჭიროს მხარი გარეშე საქმეთა მინისტრს იმ პოლიტიკური ხაზის განსახორციელებლად, რომელიც გატარებულია მის (ე. ი. ჩემბერლენის) სიტყვაში. მაკდონალდის სიტყვით, ის და მუშათა პარტია მთავრობას დაუჭერენ მხარს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება მოლაპარაკებას ევგენი ჩენთან ჩინეთის დამოუკიდებლობის ცნობისათვის. (ადს).

ველინგტონ კუ პასუხს მოითხოვს

პეკინი, 1 თებერვალი. იუწყებიან, რომ პეკინის მთავრობის პრემიერმა ველინგტონ კუმ ჩინეთის რწმუნებულს ლონდონში დაავალა, მოითხოვოს განმარტებანი ინგლისის ჯარების შანხაიში გაგზავნის გამო.

პეკინის გარეშე საქმეთა სამინისტროს ეწვია ინგლისის ელჩი ლემპსონი და ხანგრძლივი საუბარი ქონდა ველინგტონთან. (ადს).

ჯარების ორი ახალი ტრანსპორტი

პეკინი, 30 იანვარი. 28 იანვარს შანხაიში გადმოსხმულ იქნა პენჯაბის პოლკის რაზმები.

კალკუტიდან და ბომბეიდან შანხაიში გაემგზავრა ორი ტრანსპორტი ინგლის-ინდოეთის ჯარებით. (ადს)

ომის აქტი

ნიუ-იორკი. 1 თებერვალი. „ნიუიორკ გერალდ ტრიბუნ" ის შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, ჩინელები ერთსულოვნად აცხადებენ პროტესტს შანხაიში უცხოელთა ძალების კონცენტრაციის წინააღმდეგ, სთვლიან რა ამას ომის აქტად. (ადს).

„საჭირო შემთხვევაში"

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. შეერთებულ შტატების 3 სამხედრო გემმა მიიღო ბრძანება მზად იყვნენ ჩინეთისკენ წასასვლელად, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. (ადს).

ისტორია თავის მსჯავრს გამოიტანს

პეკინი, 31 იანვარი. რეიტერის კორესპონდენტთან საუბარის დროს ნაციონალური ჰთავრობის მრჩეველმა ბოროდინმა განაცხადა, რომ ჩრდილოელები სამხედრო თვალსაზრისით ცოტა უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან.

„მიუხედავად ამისა ისტორიამ მსჯავრი დასდო მათ და ეხლა დარჩენიათ მხოლოდ ის, რომ დამარხონ გვამები".

იაპონელ ფაშისტების შეიარაღებულ ხელით

პეკინი, 31 იანვარი. რეიტერის სააგენტო მუკდენიდან იტყობინება, რომ იაპონელ ფაშისტების ორგანიზაციამ კუკუსუისაიმ შეიტანა საქონელი ქალაქში, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლნი არ აძლევდენ მათ საქონლის გატანის ნებართვას ბაჟის გადაუხდელობის გამო. 60-მდე შეიარაღებული ფაშისტები შემოერტყა საქონლით დატვირთულ ურმებს და გაიყვანეს უკანასკნელნი ქალაქის ალაყაფის კარებში, მიუხედავად მუკდენის ხელისუფლების წარმომადგენელთა პროტესტისა. (ადს).

ჯამაგირების მიღებისათვის

პეკინი. 31 იანვარი. ჩინური ახალი წლის მოახლოვებასთან დაკავშირებით მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეებსა და მასწავლებლებს შორის სწარმოებს აგიტაცია მრავალ თვეების განმავლობაში მიუღებელ ჯამაგირის მიღების სასარგებლოთ. (ადს).

ომისა თუ მშვიდობიანობისათვის?

პარიზი, 31 იანვარი. გომინდანის პარიზის ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს მოუწოდებს შეაფასოს: ინგლისის მთავრობის აგრესიული და პროვოკაციული საქციელი არის გამოხატულება მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებისა თუ ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ ომის მომზადების განზრახვის გამოხატულება.

კონსერვატორების კამპანია

ლონდონი, 1 თებერვალი. კონსერვატიული პრესა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით შექმნას ბრძოლის განწყობილება. მიუხედავად ამისა დამახასიათებელია, როცა ლონდონში გოლსტრომის გვარდიისა ბათალიონს ტვირთავდენ გემზე, ქუჩებში თავმოყრილი ხალხი არავითარ ენტუზიაზმს არ იჩენდა.

„დეილი მეილ" იუწყება, რომ კომუნისტები ცდილობდენ ჯარისთვის ლიტერატურის დარიგებას, მაგრამ პოლიციამ ისინი გარეკა. (ადს).

დეზერტირობა სუ-ჩუან-ფანის არმიაში

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. „იუნაიტედ პრეს"-ის ცნობით, მიუხედავად იმისა, **რომ სუნ-ჩუან-ფანი სიკვდილით სჯის დეზერტირებს, დეზერტირობა მის არმიაში იზრდება.**

წინ-ბოს მიდამოებში დაბანაკებული ჯარები შეუერთდენ ჩეკიანის დამოუკიდებელ ჯარებს, რომელნიც გამოეყვენ სუნ-ჩუან-ფანს. (ადს).

პირველად ჩინეთის ისტორიაში

პეკინი, 1 თებერვალი. ფუ-ცზიანის პროვინციის ნაციონალურმა ხელისუფლებამ პირველად ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთ მუნიციპალურ საბჭოს წევრად დანიშნა ქალი ბან-სია-ოი, რომელსაც წინად ეჭირა ქალთა გიმნაზიის უფროსის თანამდებობა ფუ-ჯოუში. (ადს).

განხეთქილება ნორვეგიის მუშათა მოძრაობაში

ოსლო, 1 თებერვალი. 28 იანვარს შესდგა ნორვეგიის მუშათა პარტიის და სოც.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობები, რომლებზედაც გაირჩა საკითხი ორივე პარტიის გაერთიანების შესახებ. ყრილობებმა მიიღეს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული გაერთიანების პროექტი.

29 იანვარს შესდგა იმ 400 დელეგატის კონფერენცია, რომლებიც არჩეულ იქნენ წინააღმდეგ საორგანიზაციო კომიტეტის დირექტივებისა. კონფერენციამ გამაერთიანებელ კონგრესს მიმართა წერილით, რომელშიაც მოითხოვს დაშვებულ იქნენ კონგრესზე ყოველგვარ პირობების გარეშე ის დელეგატები, რომლებიც არ დაემორჩილენ საორგანიზაციო კომიტეტის დირექტივებს. როცა კონგრესმა 800 ხმით 19-ის წინააღმდეგ დაადგინა არ დაუშვას ოპოზიციის მონაწილეები კონგრესზე, კონფერენციამ **ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება გამოაცხადოს თავისი თავი მუშათა კონგრესათ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნორვეგიის მუშათა მოძრაობაში მომხდარ განხეთქილებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს სოც.-დემოკრატიის ბელადებს.**

სტანგმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, წინადადება შეიტანა ისეთი მთლიანი მუშათა პარტიის დაარსების შესახებ, რომელიც გააერთიანებს კლასობრივ ბრძოლის პლატფორმაზე მდგომ ყველა მუშათა ორგანიზაციებს. (ადს).

რეფორმისტები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ

როგორ ესმით პროფმოძრაობის მთლიანობა

ვენა, 31 იანვარი. უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოში „ნეპსავა"-ში გამოქვეყნებულია ინგლისის მუშათა პარტიის ბელადის კლაინსის წერილი პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. კლაინსის აზრით, პროფმოძრაობის მთლიანობა განუხორციელებელია იმის გამო, რომ „აღმოსავლეთსა და ამერიკაში სცხოვრობენ სხვადასხვა ინტერესების, პროფესიების, ენის, მისწრაფებების, სხვადასხვაგვარი განათლებისა და მსოფლმხედველობის ხალხები".

მუშაობა პროფმოძრაობის დასარაზმავათ სხვადასხვა ქვეყნებში, კლაინსის სიტყვით, წარმოებული უნდა იქნას ფრთხილად, ვინაიდან „მოძრაობის ზრდა ბუნებრივი უნდა იყოს, რომ მან შესძლოს გავლენის მოპოვება" და „რომ არ შეიქნას შთაბეჭდილება, თითქოს გაერთიანებას ძალით ახდენენ".

„ჩვენთვის, მაგალითად, დაამთავრა კლაინსმა, უკანასკნელ წლებში გაცილებით მნიშვნელოვანია მივაღწიოთ ვაჭრობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან, ვიდრე გაერთიანებას საბჭოთა პროფმოძრაობასთან".

რევოლიუციონურ პროფორგანიზაციებს სდევნიან

პარიზი, 1 თებერვ. ვალანსიენში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სექცია გამორიცხულ იქნა პარტიიდან ადგილობრივ უნიტარულ პროფკავშირის მიერ მოწვეულ სარაიონო კონფერენციაზე მონაწილეობისათვის.

სექციამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გმობს პარტიის ბელადებს, რომლებიც იბრძვიან მუშათა მოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ.

შემთანხმებლები კომუნისტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 1 თებერვ. ამერიკის სამთამადნო მუშათა გაერთიანებულმა ყრილობამ დაადგინა შესცვალოს წესდება, რომელშიაც შეტანილი იქნება მუხლი კომუნისტების გამორიცხვის შესახებ კავშირიდან. მიუხედავად საშუალებათა სიმცირისა, ყრილობამ დაადინა კავშირის თავმჯდომარე ლუისს გაუდიდოს ჯამაგირი 8.000 დოლარიდან 12.000 დოლარამდე წელიწადში (ადს).

საბჭოთა კავშირი უცხოეთი

საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაძლიერებისათვის

ვენა, 31 იანვარი. ვენის სავაჭრო პალატა, რომელიც არ ეთანხმება მთავრობის პროექტს საბჭოთა კავშირში შესატანი საქონლისათვის კრედიტის მიცემის შესახებ, საკუთარ პროექტს ამუშავებს. ამ პროექტის თანახმად, ვაჭრობის მინისტრი დაუყოვნებლივ აძლევს კრედიტებს იმ ფირმებს, რომელნიც საბჭოთა კავშირში ვაჭრობენ. ამ ფირმებისათვის კრედიტის მისაცემად შეიქნება განსაკუთრებული ფონდი, ამასთანავე ფონდის კაპიტალის 40 პროც. შეაქვთ ექსპორტიორებს, 35 პროც. — მთავრობას და 25 პროც. პროვინციალურ დაწესებულებებს. (?) (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 1 თებერვ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დოვგალევსკი განთავისუფლოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამდებობიდან შვეციაში და დანიშნოს ის ამავე თანამდებობაზე იაპონიაში.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა კოპპი განთავისუფლოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან იაპონიაში.

ფინეთის მუშათა დელეგაცია

საბჭოთა კავშირში

ჰელსინგფორსი, 1 თებერვალი. მუშათა ორგანიზაციები მთელს ფინეთში ატარებენ ფართე კომპანიას საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოთ. დელეგაციაში, ალბათ, შევა 7—8 კაცი, მათ შორის 4—5 სოც.-დემოკრატი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში გაემგზავრება გაზაფხულზე.

მიუხედავათ სოც.-დემოკრატების ენერგიულ წინააღმდეგობისა, აგიტაცია დელეგაციის გაგზავნის სასარგებლოთ წარმატებით მიმდინარეობს. ზოგიერთ ადგილებში მშრომელთა ცალკე ჯგუფებს გამოაქვთ გადაწყვეტილება თავისი წარმომადგენლების ჩარიცხვის შესახებ დელეგაციის შემადგენლობაში. (ადს).

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატიდან

ოფიციალურად

მოსკოვი, 1 თებერვალი. 29 იანვარს პრესაში დაბეჭდილ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობაში, რომელშიაც მოყვანილი იყო ერთა ლიგას იმ ნოტის თარგმანი ფრანგული ენიდან, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ჟენევაში იარაღების დამზადების შესახებ მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაზე, თარგმანში გაიპარა ზოგიერთი შეცდომები, რომელთა შესწორებასაც საჭიროდ სთვლის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი უკანასკნელი ორი აბზაცი ამგვარად უნდა იქნას წაკითხული:

„მოწვევაში, რომელიც აღნიშნულია თქვენს ნოტაში, 16 დეკემბრის თარიღით, ჟენევა დასახელებულია, როგორც სპეციალურ კომისიის მუშაობის ადგილი. ასეთ პირობებში კავშირის მთავრობა ამ ადგილის დასახელებას სთვლის ისეთ ფაქტად, რომლის მიზანია რომ მოესპოს კავშირს ამ კომისიაში მონაწილეობის მიღების საშუალება. ამიტომ კავშირის მთავრობას არ შეუძლია ნამდვილად ჩასთვალოს ამგვარი მიპატიჟება და არ სთვლის აუცილებლად გამოსთქვას თავისი აზრი ამ კომისიის მუშაობაში მისი მხრივ მონაწილეობის მიღების საკითხის შესახებ.

პილსუდსკის სამფლობელოში

დაპატიმრებები გრძელდება

ვილნო, 31 იანვარი. ვილნოს გაზეთების ცნობით პოლონეთში გრძელდება დაპატიმრებები ბელორუსთა გრომადის ლიკვიდაციის მიზნით. ამ დღეებში **კვლავ დააპატიმრეს გრომადის წევრები. სტოლბცაში დაარბიეს გრომადის სამაზრო კომიტეტის შენობა და კონფისკაცია უყვეს დოკუმენტებს.** ოხრანკა დაპატიმრებულთ ბრალს სდებს იმაში, რომ მათ კავშირი ჰქონდათ კომუნისტებთან.

გაზეთი „სლოვო" იუწყება, რომ ნესვიჟში შესდგა სასოფლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც მაზრის მამასახლისმა **ჩარნოცკიმ** შეიტანა წინადადება დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს სოფლებში მოსახლეობის კრებები იმ მიზნით, რომ მოსახლეობას მიეცეს გაფრთხილება გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი გრომადასთან „არასასიამოვნო შედეგების" თავიდან ასაცილებლად.

ბელორუსების „ნაშა სპრავა" აქვეყნებს საპროტესტო რეზოლიუციებს, რომლებიც გამოიტანეს ვილნოს ბელორუსთა ორგანიზაციებმა ბელორუსების ორგანიზაციების დაპატიმრებათა და დარბევის წინააღმდეგ. (ადს).

ტერორის წინააღმდეგ პოლონეთში

უკრაინელთა მიტინგები კანადაში

მონრეალი, 1 თებერვალი. კანადის სხვადასხვა ადგილებში შესდგა უკრაინელთა 34 საპროტესტო მიტინგი უკრაინელთა ეროვნულ უმცირესობის ჩაგვრის წინააღმდეგ პოლონეთში.

რეზოლიუციები აღნიშნავენ, რომ პოლონეთის შლიახტის სისხლიანი ტერორი ყოველგვარ საზღვრებს გასცილდა და აცხადებენ, რომ პოლონეთის მთავრობის პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ ეწინააღმდეგება რიგის ხელშეკრულების მუხლს. (ადს).

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში

სტოკჰოლმი, 1 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა შვეციაში დოვგალევსკიმ მეფეს გადასცა რწმუნების სიგელები. (ადს).

ინგლისის მემაღაროენი იბრძვიან

ლონდონი, 1 თებერვ. 24 იანვარს რონდას (სამხრეთ - უელსშია) რაიონის ერთ-ერთ მაღაროს **10.000 მუშამ, პროტესტის ნიშნად ადმინისტრაციის თავაშვებულობის წინააღმდეგ, ჩაატარა ერთ დღიური გაფიცვა.** გაფიცვის დღეს გაიმართა მიტინგი, **რომელზედაც** დაადგინეს **ყოველ ორშაბათობით გაფიცვის გამოცხადება იმ დრომდე, სანამ ადმინისტრაცია არ მოსპობს თვითნებობას ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე მუშის გადაყვანის დროს და სანამ არ აღადგენს გაუქმებულ ტრადიციას — ნახშირის დარიგებას მემაღაროეთა ქვრივემზადებულა.** (ადს).

1500 მოკლული

სირიაში ფრანგების ბატონობის 1 ნახ. წლის თავი

ანგორა, 31 იანვარი. სირიის აჯანყების წლინახევრის განმავლობაში მოკლულთა რიცხვი შეადგენს 15.000 კაცს, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული სხვადასხვა ადგილებში მოკლულნი, ავადმყოფობის, სიმშილის და სხ. გამო გარდაცვლილნი. მხოლოდ საფრანგეთის მხრით დანაკლისი შეადგენს 11.000 კაცს. დაზარალებულთა ამ რიცხვიდან 10.000 კაცი მოდის მაროკოელებზე, ანამიტებზე, ჩერქეზებზე, **სომხებზე** და ლივანის მცხოვრებლებზე. ზარალი ვაჭრობის შეჩერებით შეადგენს **5** მილ. გირვ. სტერლინგს.

ფრანგებმა სირიის დაპყრობაზე დღემდე დახარჯეს **3** მილიარდი ფრანკი. საფრანგეთის ჯარების რიცხვი სირიის სხვადასხვა რაიონებში შეადგენს 70.000 კაცს (ადს).

ტერორი სამხრეთ-სლავიაში

კომუნისტური აგიტაციისათვის

ვენა, 31 იანვარი. ველიკი ბეჩკერეკის რაიონში (სამხრეთ-სლავია) პოლიციამ დააპატიმრა 33 კაცი, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტურ აგიტაციაში. პოლიციის მტკიცებით, დაპატიმრებულთა ბინაზე და ერთ სტამბაში აღმოჩენილ იქნა, ვითომც, ფურცლები, რომლებშიაც მუშებს ეძლევათ წინადადება არ მიიღონ მონაწილეობა საოლქო არჩევნებში, ვინაიდან დამოუკიდებელი მუშათა პარტია ამ რაიონში არ იქნა დაშვებული არჩევნებში.

ბელგრადის „ნოვოსტი" იუწყება, რომ დაპატიმრებულია ბევრი ახალგაზრდა მუშები და მოწაფეები. გაზეთი აცხადებს, რომ კონფისკაცია ქმნილი ფურცლები თვითონ პოლიციის მიერ არ დამზადებულა. (ადს).

შოპენის კონკურსი

ვარშავა, 1 თებერვალი. შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ვარშავაში პოლონეთის გარდა წარმოდგენილი იყო 9 სახელმწიფო, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირიც. კონკურსზე მონაწილეობა მიიღო 32 პიანისტმა. საბჭოთა კავშირიდან იყო 4 პიანისტი. საბჭოთა პიანისტებმა გაიარეს კონკურსის ყველა სტადიები, თვით ფინალურ კონცერტამდე. (ადს).

ოკუპანტების თავხედობა

ანგორა, 1 თებერვალი. პრესის ცნობით, ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში ლორდ ლოიდმა მოითხოვა, რათა ეგვიპტის მთავრობამ თავის თავზე აიღოს ინგლისის საოკუპაციო ჯარების (ეგვიპტეში) შესანახ ხარჯების ერთი მესამედის დაფარვა.

ფიქრობენ, რომ ლოიდის მოთხოვნილება გამოიწვევს სასტიკ კონფლიქტს ეგვიპტის მთავრობასთან და გაამწვავებს ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობას. (ადს)

საქართველოს ეროვნული

ღამის ცნობები

გერმანიის განიარაღება

პარიზი, 1 თებერვ. ელჩთა კონფერენციასა და გერმანიის მთავრობის შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მიუსტრაის და გლოგაუს ციხე-სიმაგრეების და 22 სიმაგრის დანგრევას კენიგსბერგის რაიონში.

ინტერვენციის წინაალმდეგ

ლონდონი, 1 თებერვ. ინდოელთა სათვისტომომ დელში (ინდოეთი) მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს ინდოელთა ჯარების გაგზავნას ჩინეთში.

პეკინის გარეშე საქმეთა მინისტრს საუბარი ჰქონდა ინგლისის ელჩთან. კორესპონდენტებთან საუბრის დროს მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთი მზათ არის მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისთან, „თუ ინგლისი დაუშვებს თოფს და ლაპარაკს დაუწყებს ჩინეთს, როგორც თანასწორ სახელმწიფოს".

უ-პეი-ფუ- ხანკოუზე გასალაშქრებლად ემზადება

ლონდონი, 1 თებერვ. პეკინიდან მიღებულ ცნობებით, უ-პეი-ფუმ აცნობა ჩჟან-ძო-ლინს, რომ იგი მზათ არის ხანკოუზე გასალაშქრებ-

მოჯამაგირეთა ბრძოლა გერმანიაში

ბერლინი, 1 თებერვ. ამ ჟამად ხელფასის გადიდებისათვის დაწყებულ ბრძოლაში ჩაბმულია ნახევარი მილიონი მოჯამაგირე.

ახალი ომების წინაალმდეგ

ბერლინი, 1 თებერვ. გერმანიის კომპარტია იწყებს კამპანიას ომის საფრთხის წინაალმდეგ. „საფრთხე, სწერს „როტე ფანე", მდგომარეობს იმაში, რომ თუ ომი დაიწყო, გერმანიის პროფკავშირების შემთანხმებელი გაერთიანება მიემხრობა იმპერიალისტებს, როგორც ეს მან მოიმოქმედა 1914 წელში. საჭიროა ვაიძულოთ იგი პროტესტი განაცხადოს ჩინეთში ინგლისის ჯარების გაგზავნის წინაალმდეგ".

უმუშევართა დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 31 იანვ. პარიზის განაპირა უბანში ივრში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8.000 კაცმა (ადს).

ავსტრიის ფაშისტები მუშაობენ

ვენა, 31 იანვ. ავსტრიის ქალაქში შატენდორფში, უნგრეთის საზღვრის მახლობლათ, შესდგა ავსტრიის სოც. დემოკრატების მიერ მოწვეული მუშათა კრება. ფაშისტურ ორგანიზაციის წევრები თავს დაესხნენ თავდაცვითი რესპუბლიკანურ კავშირის მუშა წევრებს, მოჰკლეს ორი მუშა და დასჭრეს 6. დაპატიმრებულია 50 ფაშისტი. ზოგიერთი ფაშისტები გაიქცენ უნგრეთში (ადს)

მუშათა დემონსტრაციები

ვენა, 31 იანვ. უნგრეთის პარლამენტის გახსნის დღეს შესდგა მუშათა დემონსტრაციები, რომლებიც მოაწყო მუშათა სოციალისტურმა პარტიამ. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები და დააპატიმრა 300-მდე კაცი, მათ რიცხვში ვაგი. თვით მთავრობის „პესტერ-ლოიდ"-იც კი აღნიშნავს პოლიციის სისასტიკეს (ადს).

მემარცხენე ფრთის წინაალმდეგ

ნიუ-იორკი, 1. თებერვ. ამერიკის სამთა-მადნო მუშათა გაერთიანებულ კავშირის კონფერენციამ დელეგატის რწმუნებები ჩამოართვა მემარცხენე ფრთის რამოდენიმე დელეგატს (ადს).

უზუნოვიჩი ადგენს კაბინეტს

ვენა, 31 იანვ; სამხრეთ-სლავიის მეფემ უზუნოვიჩს მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა ფართე კოალიციის საფუძველზე (ადს).

ცეცხლის მფრქვეველი მთის ამოქმედება

ნოვოროსისკი, 1 თებერვალი. სოჩის რაიონში ამოქმედდა ცეცხლის მფრქვეველი მთა ზურუსი, რომელიც ჩამქრალად ითვლებოდა. ცეცხლის მფრქვევ მთის რაიონში ადგილის აქვს ნიადაგის რყევას.

კუკი ჩინეთში ჯარების გაგზავნის შესახებ

ლონდონი, 1 ლონდონის მუშათა რაიონში გამართულ მიტინგზე კუკმა „უდიდესი პირფერობა" უწოდა ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებს ჩინეთში ჯარების გაგზავნასთან ერთად.

ეპლინის გადაყენება

ლონდონი, 1 თებერვალი პეკინის მთავრობამ გადააყენა საზღვაო საბაჟოების მთავარი ინსპექტორი ჩინეთში ეპლინი და მის ადგილზე დანიშნა მისი მოადგილე ედვარდსი. გადაყენების მიზეზია ის, რომ ეპლინმა უარი სთქვა დამატებითი საბაჟო გადასახადის გატარებაზე.

„ილიჩის სანათი"

ორენბურგი. 1 თებერვალი. სოფელ პოკროვსკში (ორენბურგის მაზრა) გაიხსნა ელექტრო-სადგური, რომელსაც გლეხებმა უწოდეს: „ილიჩის სანათი" (ადს).

ე. ხამანის დაპატიმრება

ვენა, 31 დეკემბერი. ეკატერინა ხამანი, რომელიც გაასამართლეს რაკოშის პროცესზე და დროებით იქნა განთავისუფლებული ავადმყოფობის გამო. კვლავ დააპატიმრეს იმ საპროტესტო დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა უნგრეთის პარლამენტის გახსნის დროს. (ადს).

საკლატვალას აუკრძალეს

ეგვიპტეში შესვლა

ანგორა, 1 თებერვალი. ქაირიდან მიღებული ცნობით, ერთ-ერთმა ნაციონალისტ დეპუტატმა პარლამენტში შეიტანა შეკითხვა—რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ეგვიპტის მთავრობა. როცა მან უარი უთხრა ეგვიპტეში შესვლის ნებართვაზე კომუნისტ დეპუტატს საკლატვალას, რომელიც ცნობილია. როგორც ეგვიპტის ცნობილი დამცველი? (ადს).

ლი-სტეკის მოკვლისათვის

ანგორა, 1 თებერვალი. ქაირში სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი ფახმი ალის მიმართ, რომელსაც ბრალდებოდა ინგლისის ჯარების უფროსის (ეგვიპტეში) ლი-სტეკის მოკვლა.

ლი-სტეკის მკვლელობის გამო უკვე ათ კაცს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. (ადს).

მოკავშირეთა სამხედრო

კომისიაში

პარიზი. 30 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „მოკავშირეთა სამხედრო კომისიამ მოისმინა გენ. პავენსის განცხადება აღმოსავლეთ პრუსიის სიმაგრეთა შესახებ. საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ, ვინაიდან გერმანიის მთავრობა ეხლა თანხმდება, კენიგსბერგის ზოგიერთ საფორტიფიკაციო მოწყობილებანი გადაიტანოს.

მაგრამ ამ დათმობებს არ სცნობენ საკმაოდ. საკითხის განხილვა გაგრძელდება". (ადს).

გაზეთის დახურვა

პარიზი, 1 თებერვალი. საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ალიენა", რომელიც გამოდიოდა პარიზში ფრანგულ და არაბულ ენაზე. ხსენებული გაზეთი იცავდა კოლონიალურ ერების ინტერესებს. (ადს).

ბესარაბიელთა პროტესტი

მოსკოვი, 1 თებერვალი. მოსკოვში გაიმართა ბესარაბიის მშრომელთა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მიტინგი, რომელმაც შეიმუშავა და საფრანგეთის ელჩს გადასცა შემდეგი მიმართვა:

„ჩვენ მტრულ აქტათ ვსოვლით ბესარაბიის მოსახლეობის მიმართ ყოველგვარ გამოსვლას, რომლის მიზანი იქნება რუმინეთის ბატონობის გაგრძელება ბესარაბიაში. ამიტომ ჩვენ ბესარაბიის მოსახლეობის საწინაალმდეგო აქტად მიგვაჩნია თქვენი მთავრობის მიერ ხელშეკრულების დადება რუმინეთის 1926 წლის 10 ივნისს"

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ალმშენებლები ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 1 თებერვალი. საალმშენებლო დარგის მუშების კავშირის ცეკას თავმჯდომარემ ბოგდანოვმა და მდივანმა ოლილავაძემ ინახულეს სახკომ საბჭოს თავმჯდომარე რიკოვი, რომელსაც გადასცეს მოხსენება იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარებაც საჭიროა, მათი აზრით, საალმშენებლო მუშაობის განსავითარებლად 1927 წელში. რიკოვმა აღნიშნა, რომ საჭირო ღონისძიებები გატარებული იქნება სათანადო უმაღლესი ორგანოების საშუალებით თებერვლის და მარტის განმავლობაში.

სავაჭრო - სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია

მოსკოვი, 1 თებერვალი. მოსკოვის მუშურ-გლეხური ინსპექციის გეგმის გარეშე ინსპექციის თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, გადაწყდა გაუქმდეს 41 სავაჭრო და სამრეწველო წარმოებათა წარმომადგენლობა; მათ რიცხვში არის ამიერ-კავკასიის რკინისგზების დამამზადებელი განყოფილებაც (ადს).

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოკვლა

ნოვგოროდი, 1 თებერვალი. სოფელ სტარიე ცარიცაში „სამოგონშიკებმა" მოჰკლეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაევი, რომელიც დიდის სიყვარულით სარგებლობდა გლეხობის შორის. მკვლელები დააპატიმრეს (ადს).

სოფლის ელექტრო-სადგურები

ნოვგოროდი, 1 თებერვალი. მიმდინარე წელში ნოვგოროდის გუბერნიაში აგებულ იქნება 6 სასოფლო ელექტრო-სადგური, რომელნიც სინათლეს მისცემენ 10.000 კომლს. სადგურების ასაგებად გადადებულია 500.000 მანეთი (ადს).

რიკოვის რაიონის რევკომის თავმჯდომარე

მოსკოვი. 1 თებერვალი. რიკოვის რაიონის რევკომის თავმჯდომარედ კუხიულ სახულიზე დანიშნულია უპარტიო გლეხი ერსულოვი, რომელიც დიდის ავტორიტეტით სარგებლობს (ადს).

მოკლევადიანი კურსები

მოსკოვი, 1 თებერვალი. პროფგანათლების მთავარი სამმართველო თებერვალ-მარტში აწყობს პროფგანათლების კურსებს სამი ძირითადი ჯგუფის მიხედვით: პროფესიონალურ-ფიზიკურს (ლომონოსოვის ინსტიტუტთან); სამრეწველო-ეკონომიურს (სამრეწველო-ეკონომიურ ინსტიტუტთან) და სასოფლო-სამეურნეოს (ტიმირიაზევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან). ამ კურსებზე სწავლება ფასიანია, მასზე შესვლა ყველას შეუძლია. სწავლის ფასი შესდგება კურსანტისთვის ჩაბარებულ სასწავლო ნივთების (წიგნების) და სხვადასხვა დამხმარე მასალის ღირებულებისაგან. კურსდამთავრებულნი მიიღებენ მოწმობას, რომელსაც არ ექნება დაწესებულ კვალიფიკაციისთვის გაკეთებულ დიპლომის მნიშვნელობას (ადს).

თათბირი ფასების დაკლების შესახებ

მოსკოვი, 1 თებერვალი. 31 დეკემბერს გაიხსნა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისართა თათბირი კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის წარმომადგენლებთან ერთად. თათბირი გაიხსნა ამხ. მიქოიანის სიტყვით. რომელმაც აღნიშნა, რომ თათბირის მიზანია იმ მიზეზების გამორკვევა, რომლებიც ხელს უშლიან ფასების დაკლების კამპანიის გატარებას და ისეთ ღონისძიებათა დასახვას, რომლებიც შესაძლებელს გახდიან მთავრობის დირექტივების განხორციელებას ფასების დაკლების შესახებ. „დღევანდელი ჩვენი ამოცანა—სთქვა ამხ. მიქოიანმა,—საცალო ფასების დაკლება 10 პროცენტით, ჩვენ ვერ განვახორციელეთ. სასოფლო-სამეურნეო ფასები ამჟამად სავსებით ეთანხმებიან ჩვენს პოლიტიკას. ხოლო სამრეწველო ფასები არა. ასეთი მდგომარეობა მავნებელია, როგორც გლეხობის, ისე მუშათა კლასისთვისაც. ამასთან მაღალი ფასების პოლიტიკა ემუქრება ჩვენს მრეწველობას, ვინაიდან ფასების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ბაზრის ტევადობა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი მრეწველობის ზრდას. უახლოეს დროში აუცილებლივ უნდა გატარდეს საცალო ფასების დაკლება 10 პროცენტით. ეს არის მინიმალური პროგრამა, რომელიც დასძლევს ჩვენს წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს.

შემდეგ ამხ. მიქოიანი ეხება ურთიერთ დამოკიდებულებას კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის შორის და აღნიშნავს, რომ შარშანდელთან შედარებით, ის ჯერ კიდევ არის ნორმალური. წინად იერიში მიჰქონდა სახელმწიფო ვაჭრობას, კოოპერაცია თავს იცავდა, ეხლა კი პირიქით,— იერიში მიაქვს კოოპერაციას, თავს იცავს სახელმწიფო ვაჭრობა. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ბრძოლა კერძო კაპიტალის გასადევნად ბაზრიდან უნდა გადაიქცეს ჩვენი მუშაობის თვისობრივი მხარის გაუმჯობესების ბრძოლად. დღეს საჭიროა შენელდეს დაგროვების წყურვილი, შეიკვეცოს მაღალი ზედნადები ხარჯები და გაუმჯობესდეს საქონლის ბრუნვა. ამოცანა მძიმეა, მაგრამ არ უნდა შევუშინდეთ მას. თუ არ გვინდა სიძნელეები მიმდინარე სამეურნეო წელში. რომელიც საერთოდ წარმატებით მიმდინარეობს, ჩვენ ორ-სამ თვეში სრულიად უნდა განვახორციელოთ დირექტივა —საცალო ფასების 10 პროცენტით დაკლება." (ადს).

ანგარიშების ზღვა

მოსკოვი, 1 თებერვ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია ანგარიშიანობის დაყენება მთელ რიგ დაწესებულებებში. გზათა სახალხო კომისარიატის მიერ წლის განმავლობაში ერთ ეგზემპლიარად წარდგენილი ანგარიში შეიცავს 780.000 ნაბეჭდ გვერდს. ანგარიშიანობის მთელი ტირაჟის ქაღალდის წონა უდრის 420.000 ფუთს. ანგარიში შეეხება ყოველ წვრილმანებსაც კი, როგორც, მაგალითად, რამდენია ამა თუ იმ სადგურზე ბელადის სურათი ან დ ასაფურთხებელი.

მოსკოვის სავაჭრო სამმართველო ანგარიშს აბარებს 43 სხვადასხვა ორგანიზაციას.

მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი ანგარიშს აბარებს 36 სხვადასხვა ორგანიზაციას და იძლევა ცნობებს 662.393 საკითხზე. „მოსსუკნო"-ს ტრესტის წლიური ანგარიშიანობის ღირებულება შეადგენს—2.446.000 მანეთს.

ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოში ავტოტრესტის მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებითი ბარათი შეიცავს პასუხს 6.000 კითხვაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა სახკომსაბჭოში შეიტანა დეკრეტის პროექტი ანგარიშ-წარმოების შემცირების შესახებ (ადს).

საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების შესახებ

(საკავშირო კომპარტიის ც. კ. დადგენილება)

მოსკოვი, 1 თებერვალი. სოციალური აღზრდის სამმართველოს უმაღლესი ტიპის სკოლებში, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში და აგრეთვე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, პარტიის ცეკამ აუცილებლად სცნო მთელ რიგ ღონისძიებების გატარება. განათლების სახალხო კომისარიატმა 1927 წლის 1 მარტამდე უნდა დაამთავროს საზოგადოებათ მეცნიერების პროგრამების შემუშავება აღნიშნული სკოლებისათვის.

განათლების სახალხო კომისარიატმა ცეკას აგიტპროპის მონაწილეობით 1927 წლის 1 ივლისისათვის უნდა გამოსცეს საზოგადოებათ მეცნიერების სახელმძღვანელოები სოციალური აღზრდის სამმართველოს უმაღლესი ტიპის სკოლების პირველი და მეორე კონცენტრის მოსწავლეთათვის, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისათვის და უნდა მოაწყოს ასეთივე წიგნების გამოცემის საქმე ცალკე მსხვილ ოლქებისათვის (ციმბირი, ჩრდილოეთ-კავკასია და ურალი).

ცეკამ აგრეთვე აუცილებლად სცნო, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით სისტემატიურად გამოიკვლიოს საზოგადოებათ მეცნიერების სწავლების საქმე აღნიშნულ სკოლებში; პარტკომებმა მას ამ საქმეში უნდა გაუწიონ საჭირო დახმარება.

„დნეპროსტროი"

აშენებული იქნება საბჭოთა ინჟინრების ძალებით

მოსკოვი, 1 თებერვალი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის ამშენებელი კომისიის თავმჯდომარემ კვირინგმა განაცხადა, რომ მთავრობამ უარჰყო ამერიკული ფირმა კუპერის და გერმანული ფირმა „სიმენს ბაუ უნიონის" წინადადებები და გადასწყვიტა „დნეპროსტროის" მშენებლობა გადასცეს საუკეთესო საბჭოთა მშენებლებს, რომლებმაც ამ უკანასკნელ წლებში ისახელეს თავი, ხოლო მუშაობის დროს მათ ფართედ უნდა გამოიყენონ უცხოელ სპეციალისტების კონსულტაცია. „საბჭოთა ინჟინრების წინაშე, სთქვა ამხ. კვირინგმა,—წამოჭრილია ამოცანა—მუშაობა შეასრულონ დანიშნულ ვადაზე. მთავრობის გადაწყვეტილება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის წინაშე საბჭოთა ინჟინრებს და ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ დნეპრის ჰიდროელსადგური მათი ხელმძღვანელობის ქვეშ გახდება პირველხარისხოვანი ელსადგური მსოფლიოში (ადს).

მოსკოვის განტვირთვა

მოსკოვი, 1 თებერვალი. საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭომ მოისმინა მოხსენება მოსკოვის განმტვირთავ კომისიის მუშაობის შესახებ 1926 წლის განმავლობაში. განვლილ წელს კომისიამ გაანთავისუფლა 123 შენობა, სივრცით 16.000 კვ. საჟენამდე. საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭომ კომისიას დაავალა განაგრძოს მუშაობა იმ დაწესებულებების გამოსასახლებლად, რომელთაც მოსკოვთან არა აქვთ კავშირი და ცენტრალურ დაწესებულებების შესამჭიდროებლად შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. (ადს).

მელითონეთა დელეგაციის

გამგზავრება

მოსკოვი, 1 თებერვალი. 2 თებერვალს ბერლინში მიემგზავრება მელითონეთა კავშირის ცეკას დელეგაცია ამხ. კოზილოვის, არსენტიევის და ვაკსევის შემადგენლობით: დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს მელითონეთა ბერლინის ინტერნაციონალის აღმასკომების თათბირზე. რომელიც მოწვეულია 7 თებერვლისათვის. თათბირზე განხილული იქნება საკითხი მელითონეთა საერთაშორისო მთლიანობის შესახებ.

74 საათის დასვენება

რკინის გზის მუშებისათვის

მოსკოვი, 1 თებერვ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა რკინის გზის ტრანსპორტის მუშების დასვენების წესის ახალი დებულება. დებულების თანახმად, რკინის გზის ყველა მუშებს უნდა მიეცეთ 42 საათის განუწყვეტელი დასვენება. სამგზავრო და საბარგო მატარებლების სამატარებლო ბრიგადების მიმართ ადმინისტრაციას შეუძლია გააერთიანოს ორი კვირის დასვენება. 42 საათიანი დასვენების დროს შეუძლებელია სამუშაოზე გაძახება. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ დაზავების, მატარებლის დამსხვრევის შემთხვევებში და სხ. (ადს).

პროფკავშირთა ყრილობა

აფხაზეთში

სოხუმი, 1 თებერვალი, 1-ლ თებერვალს გაიხსნა პროფკავშირების ყრილობა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია ამხ. სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, მოლოტოვი, კალინინი; ვოროშილოვი, რუძუტაკი, ტომსკი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ქართველიშვილი, ყურულიშვილი, იაკუბოვი, ლაკობა; სტურუა; ჩანბა და სტასოვი. შესავალ სიტყვაში პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სუკონიანმა აღნიშნა კავშირების წევრთა რიცხვის ზრდა და პროფმუშაობის გაუმჯობესება, პროფესიონალური დემოკრატიის გაძლიერება და სამუშაო ხელფასის ზრდა (წრევანდელ საშუალო სამუშაო ხელფასი—55 მან. და 91 კაპ., შარშანდელი—46 მან. და 43 კაპ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-14 კონფერენცია

31 იანვრის საღამოს სხდომაზე კონფერენციას მიესალმა კომკავშირის ერევნის დელეგაციის წარმომადგენელი ამხ. არზუმანიანი და სომხეთის ა. ლ. კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. მარტიროსიანი. მათ გამოსვლას მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით შეეგება. სტუმრები ერთხმად იქნენ არჩეული კონფერენციის პრეზიდიუმში.

მისალმებების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა

ამხ. სალუქვაძის მოხსენება

(თბ. კომიტეტის მუშაობის შესახებ).

თბილისის კომიტეტის მუშაობა ამ ერთი წლის განმავლობაში,—იუწყებს ორატორი,—მიმდინარეობდა მეტად რთულ პირობებში. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ უმთავრესად ვმუშაობდით იმაზე, რომ ცხოვრებაში გაგვეტარებია ის დირექტივები, რომელიც მოგვცა მე-14 პარტყრილობამ პრაქტიკული მუშაობის შესახებ.

პირველი მომენტი, რომლითაც ხასიათდება საანგარიშო პერიოდი, ეს არის შინაპარტიული მდგომარეობა. მეორე,—ახალგაზრდობის საზოგადოებრივი პოლიტიკური აქტივობის ზრდა, მესამე,—ზოგიერთი ავადმყოფური მოვლენების გამომჟღავნება კავშირში და სხვ.

კომკავშირის მონაწილეობა შინაპარტიულ ბრძოლაში და უჯრედთა ბიუროების გადარჩევები იმის მაჩვენებელია, რომ გაიზარდა ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა არის ეს აქტივობა წარვმართოთ ლენინური გზით.

ეკონომიური მუშაობა

ეკონომიური მუშაობის დარგში, — ამბობს ამხ. სალუქვაძე,—ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები, განსაკუთრებით ჯავშნის საკითხში. მაგალითად, თბილისის წარმოებებში ჯავშანი უნდა აღწევდეს 6,1 პროცენტს, ნამდვილად არის 6,7 პროცენტი. ზეჯავშანში ირიცხება 84 კაცი. ზეჯავშანი გატარებულია მხოლოდ რკინის გზებზე.

კომკავშირში არის უმუშევრობა. უმუშევართა კადრებს უმთავრესად იძლევა სოფელი. შრომის ბირჟაზე სულ აღრიცხვაზე აყვანილია 2900 ახალგაზრდა უმუშევარი. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. უმუშევარ ახალგაზრდებს შეძლების დაგვარად ეხმარებიან სათანადო ორგანოები. დამზღვევ სალაროში არის ჩვენი წარმომადგენელი. ამ წარმომადგენლის დანიშვნა საჭირო იყო, რათა სალაროს მეტი ყურადღება მიექცია უმუშევარ ახალგაზრდობისათვის. ამჟამად დაზღვეულია 164 ახალგაზრდა უმუშევარი.

გადავდივარ მოჯამაგირეთა შორის მუშაობაზე. უჯრედში ჩვენ გამოყოფილი გვყავს სპეციალური ამხანაგები მათ შორის მუშაობის გასაძლიერებლად. რაც შეეხება შინამრეწველობაში ჩაბმულ ახალგაზრდობას, უნდა აღვნიშნო, რომ თუ წინად ჩვენ გვყავდა 440 შეგირდი, დღეს შინამრეწველობაში გვყავს 830. შემდეგი საკითხი არის ჩვენი მუშაობა პროფკავშირებში. ამ დარგში, წინანდელთან შედარებით, საგრძნობ მიღწევებთან გვაქვს საქმე. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების და ადგილკომების უკანასკნელმა გადარჩევებმა ჩვენ დაგვანახა, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა პროფკავშირთა მუშაობაში გამოცოცხლდა. წინად ადგილკომებში და საფ.-საქ. კომიტეტებში ჩვენ გვყავდა 186 კომკავშირელი. უკანასკნელი გადარჩევების შემდეგ გვყავს 876. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში იყო გადარჩევამდე 52. ამჟამად არის 96 კომკავშირელი. შრომის დაცვის კომისიებში იყო 35. ამჟამად არის 139 ამხანაგი. საწარმოო თათბირებში მუშაობდა 67 კომკავშირელი, ამჟამად—103. კულტკომისიებში მუშაობდა 55, ამჟამად—221 კომკავშირელი. ეს ციფრები ადასტურებს, რომ ჩვენი მონაწილეობა პროფკავშირებში გაცხოველდა.

ორგანიზაციის ზრდა

ეხლა უნდა შევჩერდეთ ორგანიზაციის ზრდის მოწესრიგების საკითხზე. უნდა აღვნიშნო, რომ კომკავშირის გარეთ დარჩენილი მშრომელი ახალგაზრდობის რაოდენობა ამჟამადაც საკმაოდ დიდი არის.

მაგალითად, წარმოებაში სულ ჩაბმული არის 10.668 ახალგაზრდა. ამ რაოდენობიდან უპარტიოთა რიცხვი აღწევს 22 პროცენტს, ჩვენი ძირითადი ამოცანა არის ამ ახალგაზრდობის ჩაბმა კომკავშირის ორგანიზაციაში.

საერთოდ, საანგარიშო პერიოდში თბილისის ორგანიზაცია გაიზარდა 2.501 კაცით, ე. ი. 30.1 პროცენტით. თბილისის ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 10.823 წევრს; კანდიდატებიანად კი 11.761 კაცს. ზრდა სოფლად უფრო ინტენსიური იყო, ვინემ ქალაქად. ამასთან დაკავშირებულია მუშათა პროცენტის შემცირება. 1926 წლის 1 იანვრისათვის ორგანიზაციაში მუშები შეადგენდენ 49,9 პროცენტს, ამჟამად მაზრის თანჩართვით მუშები შეადგენს 44,2 პროცენტს.

თბილისის კომიტეტი სათანადო ყურადღებას აქცევდა ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებასაც. თუ წინად ქალთა პროცენტი ორგანიზაციაში იყო 12.1 პროცენტი, დღეს ეს პროცენტი აღწევს 14,3. ორგანიზაციის ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა უჯრედთა რიცხვიც. საანგარიშო პერიოდში დავაარსეთ 41 ახალი უჯრედი. ორგანიზაციის ასეთი ზრდა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. მომავალში ჩვენი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩავაბათ ორგანიზაციაში როგორც მუშური, ისე ღარიბი და მოჯამაგირე ახალგაზრდობა. საშუალო გლეხობას უნდა მივუდგეთ ინდივიდუალური შერჩევით.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა

თბილისის კომიტეტი სათანადო ყურადღებას აქცევდა მუშაობის ამ დარგსაც. 26—27 წელში 1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლებში ჩაბმული იყო 3.570 კაცი. პარტიულ ქსელს გადავეცით 1281 კაცი. პოლიტგანათლების ქსელს გადავეცით 1225 კაცი. მსმენელთა დასწრება პოლიტსკოლებში ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. დამსწრეთა პროცენტი არ აღემატებოდა 30—40-ს.

საკლუბო მუშაობის დარგში საანგარიშო პერიოდში ჩვენ ახალ ფორმებზე გადავედით. ამჟამად არა გვაქვს სპეციალური კომკავშირული კლუბები; სამაგიეროდ გვაქვს ახალგაზრდათა სექციები, რომელთა მუშაობას ყოველ მხრივ ხელი უნდა შევუწყოთ.

გადადის რა ნებაყოფლობით საზოგადოებებში მუშაობაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ კომკავშირის ორგანიზაცია მოისუსტებს. კომკავშირელთა მეტად მცირე პროცენტი არის ჩაბმული ისეთ ნებაყოფლობით საზოგადოებებში, როგორიც არის: „რემედას"-ი, „ავიაქიმი" და სხვ. მომავალში ამ ნაკლის გამოსწორებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ორიოდე სიტყვა ჩვენი გაზეთების შესახებ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ დაიხურა გაზეთი „მოლოდოი რაბოჩი"; იმიტომ რომ კომკავშირის მასამ მას ზურგი არ გაუმაგრა. გამოდის ქართულ ენაზე გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი". თუ კომკავშირმა დღის წესრიგში არ დასვა ამ გაზეთისადმი დახმარების საკითხი, მისი გავრცელების სახით, მაშინ მას ისეთივე ბედი ეწვევა, როგორც „მოლოდოი რაბოჩი"-ს. თვითეულმა უჯრედმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. მომხსენებელი ჩერდება ფიზკულტურის საკითხზე და შემდეგ გადადის სოფლად მუშაობაზე.

სოფლად მუშაობა

სოფლად მუშაობის დარგში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული მიღწევები. ავიღოთ, მაგალითად, საბჭოების და გლეხკომების გადარჩევები. თუ წინათ გლეხკომების და საბჭოების შემადგენლობაში სოფლად ჩვენ გვყავდა 84 კაცი, ამჟამად 105-ა. ეს მიღწევა ჩვენ უნდა განვამტკიცოთ. მეორე ძირითადი ამოცანა სოფლად მუშაობის დარგში, ეს არის—კომკავშირელის პირადი ინტერესების დაკავშირება საზოგადოებრივ-კოლექტიურ ინტერესებთან. ამჟამად ჩვენ გვაქვს 9 გლეხური ახალგაზრდობის სკოლა—კომკავშირმა უნდა შესძლოს ამ სკოლების საშუალებით მუშაობის გამოცოცხლება. იგივე ითქმის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის შესახებ სოფლად. ეს მუშაობა გამოცოცხლებულია, აქვს ადგილი მიწების კოლექტიურ დამუშავებას, ღარიბების და ქვრივ-ობლების დახმარებას და სხვ. რამდენად ძლიერდება კომკავშირის მუშაობა ამ მიმართულებით, იმდენად უფრო იზრდება ორგანიზაციის ავტორიტეტი გლეხობაში.

ორატორი ეხება [illegible] სამხედრო მუშაობას, ახალგაზრდობის განათლების საკითხს და აშუქებს მშრომელ ინტელიგენციასთან [illegible] საკითხს.

„უნდა აღვნიშნოთ, — ამბობს მომხსენებელი, — რომ ჩვენ სუსტად ვართ დაკავშირებული სოფლის აგრონომთან, მასწავლებელთან, ექიმთან. ასეთივე მდგომარეობაა ქალაქად. ჩვენი უმთავრესი ამოცანა არის კავშირის განმტკიცება მშრომელ ინტელიგენციასთან. რაც შეეხება ლიტერატურის საკითხებს, ჩვენ გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი, გამოსული კომკავშირიდან. უმთავრესი ხაზი იქითკენ უნდა იქნას აღებული, რომ კომკავშირულ წრიდან გამოსული მწერლები დაუახლოვდეთ ორგანიზაციას. გადავდივარ რა მოწინააღმდეგეთა პოლიტიკურ ორგანიზაციების დახასიათებაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, როგორც ჩამოყალიბებული ერთეული, დღეს არ არსებობს მათ ჩამოშორდა საუკეთესო ნაწილი ახალგაზრდობისა და ჩვენთან დაიწყეს მუშაობა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ახალგაზრდობისათვის მაინც დღის წესრიგში დგას კომკავშირის წინაშე და ამ ამოცანას მომავალშიაც ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ შევძლებით გავაძლიეროთ მუშაობა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო.

მომხსენებელი ეხება კომკავშირის აქტივის მუშაობას, ორგანიზაციის ზოგიერთ ავადმყოფურ მოვლენების დახასიათებას და აშუქებს პიონერთა შორის მუშაობას.

დასასრულ ის ჩერდება კავშირის მთლიანობის საკითხზე.

ლენინიზმის სადარაჯოზე

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციამ ანტილენინურ გადახრებთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამოცდები დაიჭირა. ის ერთსულოვნად დადგა პარტიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და სასტიკად დაგმო ზოგიერთი კომკავშირელი - ოპოზიციონერების ფრაქციული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო კავშირის მთლიანობის წინაალმდეგ. ვუკეთებთ რა ჯამს საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობას, ჩვენ შეგვიძლია ავღნიშნოთ მთელი რიგი მიღწევები, რომელიც აქვს ორგანიზაციას. აქვს ადგილი დეფექტებსაც, მაგრამ მიღწევებთან შედარებით, ის მეტად უმნიშვნელოა. ცხადია, თბილისის კომიტეტს სწორი ხაზი ჰქონდა აღებული, რამაც მოგვიპოვა გამარჯვება მუშაობის ყოველ დარგში. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ შევძლებთ მომავალ მუშაობის წარმატებით წაყვანას და დეფექტების აღმოფხვრას. (ხანგრძლივი ტაში).

—:—

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის ამოცანები

ს. კ. პ. ც. კ. აგიტპროპის ინსტრუქციო წერილი

მოსკოვი, 1 თებერვალი. ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა საინსტრუქციო წერილი მასიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ. უახლოესი თვეების ძირითადი მასიური კამპანიაა საბჭოების გადარჩევა. ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; საჭიროა ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარება, ნაკაზების და კანდიდატურების განხილვა. ღარიბი გლეხების მომზადება არჩევნებისათვის და მუშათა მთელი მასის ჩაბმა არჩევნებში. კამპანიის ჩატარების საქმეში, კომუნისტების გარდა, ჩაბმული უნდა იქნენ პროფაქტივი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, მუშგლეხკორები და კლუბები.

საჭიროა აგრეთვე მუშათა და გლეხთა მასების საზოგადოებრივი აზრის შეჩერება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე; ამისათვის საჭიროა სისტემატიურად გამომჟღავნება ყველა იმ ანტი-საბჭოთა ინტრიგებისა, რომელთა მიზანია იმპერიალისტების მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭ. კავშირის წინაალმდეგ. ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს ადგილობრივი პრესა, განსაკუთრებით გლეხური პრესა. ძირითადი ფაქტები, რომლებიც ასურათებენ ანტი-საბჭოთა გეგმებს, გაშუქებული უნდა იქნეს მიტინგებზე, კლუბებში და წითელ კუთხეებში. ამასთანავე გაძლიერებული უნდა იქნეს სამხედრო განათლების გავრცელება და ავიაქიმის მუშაობა.

რა იყო მაშინ და რა არის დღეს

ცალიერი სიტყვები, მშრალი დებულებები, დაუსაბუთებელი მოსაზრებანი, რა გინდ ლამაზ ფორმებში არ იყვენ ჩამოსხმულნი, რა გინდ მჭერმეტყველურად არ იქნენ დალაგებულ-აღნუსხულნი, ადამიანზე სათანადო გავლენას ვერ მოახდენენ. ჩვენ არა ერთხელ დაგვიპირდაპირებია წარსული და აწმყო, მენშევიკური და ბოლშევიკური ხანა; ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ მენშევიკურ ხანას ახასიათებდა დაღმა სვლა, ბოლშევიკურს კი—აღმასვლა. მე ჯერ კიდევ 1925 წლის ნოემბერში „კომუნისტ"-ში ვსწერდი 25 თებერვალს. რომ არ დამყარებულიყო საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმი, მენშევიკოდ საქართველო უთუოდ თავის თავად დაიღუპებოდათქო. ასეთ დასკვნას მე ვამყარებდი ჩემს მოგონებებს ახლო წარსულიდან. ეხლა მე ასეთივე დასკვნას დავამყარებ უდავო ცნობებს, ბევრის მთქმელ ციფრებს. დაე, ფარულად თუ ლეგალურად პარიზმა ავრცელოს მის გაზეთ-პროკლამაციებში ის აზრი, რომ ბოლშევიკების ხანა რღვევის და ნგრევის ხანაა. ჩვენ აქ ციფრებით ვსარგებლობთ და შევეცდებით სულ წინააღმდეგის დამტკიცებას. ჩვენ, სხვათა შორის მოვიყვანთ მათ სიტყვებსა, მათ ციფრებსაც, მათ მოხსენებებსაც.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, რა თანხებით ცხოვრობდა „დამოუკიდებელი" საქართველო. საკუთარი ფული მენშევიკურმა საქართველომ გამოუშვა მხოლოდ 1919 წელს—ივლისში. აქედან იწყება საქართველოს ემისია. ფული კი დაბეჭდეს სექტემბერში. 1918 წლიდან კი ის ხმარობდა ამიერ-კავკასიის ემისიას, საიდანაც მან ერთიანად მიიღო 540 მილიონი მანეთი. საკუთარი ემისიით საქართველომ გამოუშვა 1921 წლის თებერვლამდე (ჩართვით) 16 მილიარდი 976 მილიონი და 82 ათასი მანეთი. ამ ფულით ცხოვრობდა და სულს ლაფავდა მენშევიკური საქართველო. 1918—19 საბიუჯეტო წელში შემოსავალი უდრიდა 174 მილიონ 254 ათას და 48 მანეთს, დაიხარჯა 663 მილიონი 500 ათასი და 169 მანეთი, ე. ი. შემოსავალს ხარჯის მხოლოდ 26 პროცენტი დაუფარავს, დანარჩენი 74 პროც. საბეჭდავ მანქანას მოუწოდებია; შემდეგ საბიუჯეტო წელში მანქანა უფრო ნაყოფიერი გამოდგა, ვიდრე შემოსავალი. შემოსავალი უდრიდა 771 მილიონს 59 ათასს და 21 მან., გასავალი კი უდრიდა—3 მილიარდს 252 მილიონს, 813 ათას და 849 მან. ე. ი. თითქმის ორ-ნახევარი მილიარდი მანეთის დეფიციტი დაიხურა ემისიით (79 პროც. ემისია, 21 პროც. შემოსავალი) და რომ ჟორდანიას „მთავრობას" ბედი არ სწყვეტოდა და თბილისს მართლაც ვერდენის როლი შეესრულებინა, როგორც ამას ჟორდანია 25 თებერვლამდე იუწყებოდა, საქართველოს შემოსავლის რაოდენობა 1920—21 წელს ნოლით აღინიშნებოდა და „დამოუკიდებელს" საქმე მოუვიდოდა. მართლაც, საიდან უნდა შემოსულიყო სახელმწიფო სალაროში საგადასახადო ან არა საგადასახადო შემოსავალი, როდესაც სახალხო მეურნეობა სულ დაღმა მიდიოდა. სოფელი თანდათან თავს ანებებდა ტეხნიკურ მცენარეულობათა მოყვანას და მხოლოდ პურეულობაზე გადავიდა. თუ ადრე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეთამბაქოობა შესამჩნევ როლს თამაშობდა, „დამოუკიდებლობის" ხანაში ის თანდათან ეცემოდა. აი ციფრები:

თამბაქოს ნათესის სივრცე და პაპიროსების დამზადება

წელი	სივრცე დესეტინობით	დამზადებული პაპიროსი ათას ცალობით
1917	10.757	1.926.206
1918	22.046	916.325
1919	2.596	794.946
1920	1.795,8	1.040.611
1921	1.000	475.627
1922	2.210	505.779
1923	5.110	557.668.9
1924	7.659,6	977.365,3
1925	7.800	1.403.962,4
1926	8.500	1.760.000

რომ მართლაც ჩვენთვის დაგვიანებულიყო **25 თებერვალი** არ ერთი გლეხი, არც აფხაზი, არც გურული და არც ქიზიყელი არ დათესდა იმაზე მეტ თამბაქოს, რაც მის ყალიონს არ მოუნდებოდა, და პაპიროსების დამზადება საქართველოში შეჩერდებოდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როგორც 1921 წლ. გამოკვლევა გვიჩვენებს, თამბაქოს მრეწველობის რვა საწყობში ან სულ არ ყოფილა ნედლეულის მარაგი, ანდა მხოლოდ ერთი თვის ქონებიათ ზოგიერთებს.

თუ მოყვანილი ცხრილი ერთის მხრივ. გვიჩვენებს მენშევიკების დროის მეთამბაქოობის დაღმა სვლას, იგივე ცხრილი, მეორე მხრით, მოწმობს მეურნეობის ამ დარგის ბოლშევიკების ხანაში აღმა სვლას.

მაგრამ, შეიძლება საქართველოს „დამოუკიდებელ რესპუბლიკას" მარტო ამ დარგში მოუვიდა მარცხი. ვნახოთ.

მებამბეობას ქართველი ხალხი უძველეს დროიდან მისდევდა და თუ ადრე ნატურალურ მეურნეობის ხანაში, ბამბა მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ის საქონლის ხასიათს ღებულობს: ბამბა გადის საზღვარგარეთის ბაზარზე. როდესაც მე-80 წლების მიწურულში რუსეთში განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, ჩვენში იმ ხანებში უკვე მიღებული მებამბეობა წელში გაიმართა და რუსეთის ბაზარზე ბორჩალოს და ყარაიაზის ბამბამ თავისი ადგილი დაიკავა. 1909—13 წელს ბამბის ნათესის სივრცე 5 ათას 644 დესეტინამდე ადის. მსოფლიო ომმა მებამბეობა ძლიერ დააქვეითა, მაგრამ 1917 წელს ნათესის სივრცე მაინც უდრის 1.200 დესეტინას. 1918 წლიდან სტატისტიკურ კრებულში ბამბა აღარ მოსჩანს და ის მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. აქაც „დემოკრატიულმა რესპუბლიკამ" საქართველო ნატურალურ მეურნეობაში გადააგდო. ზედმეტია ლაპარაკი იმ ბამბის საწმენდ ქარხნების შესახებ, რომლებიც იყო უწინ აგებული საქართველოში: იქ მხოლოდ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. იქ ხმაურობა ისმის მხოლოდ 1923 წლიდან. საბჭოთა ხელისუფლებამ მებამბეობასაც მოჰკიდა ხელი. იმ დროს, როდესაც ჟორდანიას „მინისტრები" [illegible] მთავრობებს და ბუ[illegible]ნა კარებიდან ეღრიჯებოდენ მოწყალება გაიღეთ, დაგვეხმარეთ ერთი პატარა აჯანყება მოვაწყოთ საქართველოშიო, სწორედ იმ დროს საქართველოს ბოლშევიკები საქართველოში ბამბას სთესდა; დათესა კიდეც, მოიყვანა კიდეც და მოახმარა კიდეც მშრომელ ხალხს. აი ციფრები:

საქართველოში დაითესა ბამბა:

1923 წ.	900 დეს.
1924 წ.	5.800
1925 წ.	6.371
1926 წ.	8.606

უნდა დაითესოს:

1927—28 წ.	24.350 „
1928—29 წ.	33.400 „
1929—30 წ.	43.450 „

„უნდა დაითესოს"! ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი გეგმა აქვს საბჭოთა ხელისუფლებას შემუშავებული და ბოლშევიკები თავიანთ გეგმებს ასრულებენ ხოლმე. „დემოკრატიულ რესპუბლიკას" კი არც ეცალა საგეგმოთ და ის პრინციპიალურადაც წინააღმდეგი იყო გეგმიანი მეურნეობის, ვინაიდან კერძო საკუთრება თვით თავის წიაღში ატარებს უგეგმობას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მებამბეობის დარგშიც მენშევიკურ ხანას დაღმასვლა ახასიათებს. მე აქ არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ დახმარებას უწევს საბჭოთა ხელისუფლება მებამბეობას ახალ-ახალ ქარხნებზე, ძველების აღდგენაზე, გლეხებისათვის ავანსების და სესხის მიცემაზე, ბამბის შესყიდვაზე და გასაღებაზე და სხვ. და კიდევ სხვ. ყველა ამის შესახებ ჩემ შრომაში ვრცელ ცნობებს მოვიყვან. ეხლა კი სოფლის მეურნეობიდან მე მინდა კიდევ ერთ დარგს შევეხო. მე ვლაპარაკობ **მეაბრეშუმეობაზე.** მეურნეობის ამ დარგს უძველესი დროიდან ეტანება საქართველო. ის მეტად ხელსაყრელი და იოლი საქმეა სოფლის მოსახლეობისათვის. ყველაფერი ეს ყველამ კარგად იცის, და ამიტომ მე პირდაპირ ციფრებზე გადავალ:

აბრეშუმის პარკის მოსავალი საქართველოში 1917—1926 წ. წ.

წელი	პარკის მოსავალი ათას კოლოფობით
1917	42
1918	40
1919	20
1920	50
1921	87.5
1922	48—50
1923	88—100
1924	139—140
1925	132—140
1926	160

ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკების პარკის რაოდენობა 50 ათას კოლოფს ვერ ასცილდება, ბოლშევიკებისამ კი 160 ათასს მიაღწია. მაგრამ ეს ციფრები ჯერ კიდევ ვერ შეაფასებენ მეაბრეშუმეობას. საჭიროა მოვიყვანოთ სხვა ცნობებიც და მხოლოდ მაშინ დაუპირდაპიროთ ერთი მეორეს მენშევიკების და ბოლშევიკების ხანა. პირველ ყოვლისა, ჰიის თესლის შესახებ მოვიყვან ცნობებს. 1920 წ. დარიგდა 45 ათასი კოლოფი თესლი, აქედან საზღვარგარეთიდან შემოიტანეს 41 ათ. კოლოფი, საქართველოში კი მხოლოდ 4 ათასი კოლოფი დამზადდა. 1926 წ. დარიგდა 105 ათასი კოლოფი, ამ [illegible] საქართველოში დამზადებული [illegible] 80 ათასი კოლოფი. რამდენადაც ვიცით 1927 წლისათვის მზადდება 100—120 ათასს კოლოფამდე თესლი; ასე რომ ამიერიდან აღარ იქნება საჭირო უცხოეთიდან მისი შემოტანა. თუ 1913 წ. საქართველოში 9 საგრენაჟო პუნქტი არსებობდა, დღეს უკვე 18 პუნქტი მუშაობს.

ადრე, არც ომამდე, არც მენშევიკების ხანაში არავინ ფიქრობდა თუთის ხის პლანტაციების გასაშენებლად, ეხლა კი შეუდგენ თუთის ხის სანერგეების მოწყობას 7 მაზრაში.

რაც შეეხება აბრეშუმის ძაფის ამოსახვევ ქარხნების საკითხს, აქაც მენშევიკური ხანა მარცხს განიცდის და ბოლშევიკები იმარჯვებენ. ადრე მუშაობდა მხოლოდ ერთი ოზურგეთის ქარხანა, რომლის წლიური გამომუშავება 100 ფუთამდე ადიოდა და სადაც მხოლოდ 30 ქალი მუშაობდა. **დღეს** მუშაობს 5 ასეთი ქარხანა, მათ შორის სამი ახლად აშენებულია. ამ ქარხნებში მუშაობს 650—700 ქალი და კაცი და მათი წლიური გამომუშავება უდრის 2.500 ფუთს. ახალი ქარხნები მოწყობილია იტალიიდან ჩამოტანილ საუკეთესო სისტემის მანქანებითა და იარაღებით; შემდეგ, ქუთაისში შენდება კიდევ ერთი დიდი ქარხანა, რომელიც ჯდება 501.915 მანეთი. გარდა ამისა, საქართველოში აშენდა და ამუშავდა აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომლის წლიური გამომუშავება უდრის 14—15 ათასს მეტრ ქსოვილს. ჩვენ ამ დარგიდან კიდევ ბევრი ცნობების მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ მოყვანილიც საკმარისად მიგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ აქაც ბოლშევიკებმა ბევრი გააკეთეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მენშევიკებმა კი აქაც მარცხი განიცადეს.

როგორც მოყვანილი ცხრილიდან და ცნობებიდან სჩანს, მეაბრეშუმეობა მენშევიკების ხანაში დაბლა ეშვებოდა, ეხლა კი ის მაღლა იწევს. როგორ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა? სად უნდა მოვძებნოთ მისი მიზეზები? რატომ მოხდა, მართლაც, რომ მენშევიკურმა მთავრობამ საერთოთ ყველა დარგში მარცხი მარცხზე განიცადა. სანამ ამ კითხვებს პასუხს არ მოუნახავთ, მანამ საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკის" დამარცხებას ჩვენ ვერ ავხსნით. მე შეძლებისა და გვარად შევეცდები ამ კითხვების გამორკვევას. ისევ ციფრებს და ცნობებს დაუბრუნდები.

მე ვტოვებ სასოფლო მეურნეობას და მრეწველობაზე გადავდივარ, მაგრამ ჯერ მე მინდა ცოტა ხნით შევჩერდე თბილისის **ტრამვაიზე.**

მუშაობდა რონოდა:

წლები	მოტორიანი	მისაბმელი
1917	84	27
1918	78	21
1919	42	23
1920	41	22
1921	23	6
1922	27	6
1923	32	13
1924 (1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე)	46	18
1924—25	70	23
1925—26	96	28
1926 დეკემბრამდე	105	35

მე ვფიქრობ, მოყვანილ ცხრილს ზედმეტი განმარტება არ ესაჭიროება. ტრამვაი მენშევიკებს უფსკრულისაკენ მიაქანებს, ბოლშევიკებს კი სულ უფრო და უფრო მაღლა სწევს. ადგილის უქონლობის გამო მე არაფერს ვიტყვი ახალი ლიანდაგების შესახებ, არ შემიძლია კი არ აღვნიშნო, რომ მომავალი 25 თებერვლიდან თბილისის მოქალაქეს შეეძლება თავისუფლების მოედნიდან პირდაპირი ხაზით, სომხის ბაზრით, გოგირდის აბანოებს ან მეტეხის „აბანოს" მიადგეს.

ეხლა გადავიდეთ მრეწველობაზე. **მარგანეცი.**

წლები	ამოღება თვიური (საშუალო) ტონებში *)	% %	გარეცხვა (თვიური საშუალო) ტონებში	% %	გატანა თვიური (საშუალო) ტონებში	% %
1909—13	52.816	100	30.203	100	63.856	100
1914	55.211	104,5	20.567	68,1	59.588	93,3
1915	21.482	40,7	10.671	35,3	737	1,2
1916	20.036	37,9	13.062	43,2	2.542	4,0
1917	20.047	38,0	9.102	30,1	490	0,8
1918	2.161	4,1	1.414	4,7	2.707	4,2
1919	4.566	8,6	2.216	7,3	453	0,7
1920	10.015	19,0	2.949	9,8	14.647	22,9
1921	—	—	—	—	2.127	3,3
1922	4.430	8,4	4.473	14,8	14.033	22,0
1923	16.170	30,6	15.010	49,7	30.472	47,7
1924	28.532	54,0	18.918	62,6	40.590	63,6
1925	45.265	85,7	35.955	110,9	35.871	56,2
1926	60.860	115,2	48.042	159,0	54.540	85,4

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მენშევიკურ ხანაში მარგანეცის უმაღლესი ამოღება უდრის 10.045 ტონას, ბოლშევიკურ ხანაში კი—60.860-ს; გარეცხვა უმაღლესი—2.949 მაშინ, ეხლა კი 48.042; გატანილა მაშინ—14.647, ეხლა კი 54.540 და რამდენიც რომ არ ისისინონ პარიზმა და მისმა ამყოლ-დამყოლებმა, უდავო ციფრები მოწმობენ მრეწვე[illegible] ამ მნიშვნელოვან დარგის ბოლშევიკურ ხანაში განვითარებას, მენშევიკურ ხანაში კი მის დაქვეითებას და დაცემას.

ასეთსავე სურათს იძლევა ქვა-ნახშირის მრეწველობა. თუ 1913 წ. მისი თვიური (საშუალო) ამოღება უდრიდა 6.221 ტონს, 1919-ში ამოღებამ დაიწია 2.996 ტონამდე, 1926 წელს კი ამოღებულ იქნა 7.229 ტონა.

ვის დროს ირღვეოდა და ინგრეოდა საქართველო? ამის პასუხი პარიზმა გულში უნდა ჩაიმარხოს, თუ არ უნდა თავის თავი ხელმეორედ დაიმარხოს.

ახლა **ელექტროფიკაციის** შესახებ.

საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ ბევრი ზღაპრები თქმულა, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში. ჩვენ არა ერთი ოხუნჯობა გვსმენია ამის შესახებ. „ზაჰესი საგიტაციოთ გამოგონილი ჭორიაო". მაგრამ აი, ამ „ჭორმა" ხორცი შეისხა, დაიწყო აშენება, ის უკვე თავდება, მასზე მილიონები იხარჯება, „რუსეთი" უამრავ ფულს უგზავნის საქართველოს: ზაჰესი 15 მილიონი მანეთი დაჯდა. ეხლა უკვე სხვა ხმებს ავრცელებენ პოლიტიკური ჭორიკანები: მტკვარი თბილისს გადალეკს, ზაჰესი თურმე ძირს იწევს და სხვ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაფერი რიგზეა და ერთ თვეში ზაჰესი თბილისს გაანათებს, ტრამვაის აამუშავებს, მრეწველობაში სათბობ მასალას უკვე ადგებს და მის ნაკეთობებს გააიაფებს. მოკლედ, ზაჰესი დღეს უკვე ფაქტია. შენდება და მთავრდება **აბაშის** ელსადგური და **აჭარის-წყალის** ელსადგური. მთელ ბათომის რაიონს გამოაცოცხლებს უკანასკნელი, პირველი და მთელ სენაკის მაზრას სამტრედიამდე და ფოთამდე მოედება. გარდა ამისა, უკვე შეუდგენ ქუთაისის დიდი ელსადგურის აშენებას, რომლის სიმძლავრე ზაჰესსაც არ ჩამოუვარდება. და როდესაც გუმისტინის (აფხაზეთი) და ალაზნის ელსადგურები აშენდება, (გეგმა უკვე შემუშავებულია, ხარჯის რაოდენობა გამოკვლეულია, და ფულის ნაწილი გადადებულია), ყველანი შეერთდებიან, საქართველოს ელექტროფიკაციის პირველი პერიოდი დამთავრდება. მთელი მრეწველობა გადავა ელექტრონზე, მოხდება რკინის გზის ელექტროფიკაცია, პირველ ორ წელიწადში თბილისს-ზესტაფონის ხაზი. მაგრამ ელსადგურების მნიშვნელობა მარტო ქალაქებით, მრეწველობით და ტრანსპორტით კი არ ამოიწურება, ის სასოფლო მეურნეობას დაეხმარება, მაგალითად მიწების მორწყვის და ჭაობების ამოშრობის საქმეში. გარდა ამისა შენდება ორი მცირე სადგური: შოვში და ონში—ას ასი ცხენის ძალის სიმძლავრის. უკვე აშენებულია [illegible]ის (160 ცხ. ძ.) ხონის (75 ცხ. ძ.), აბასთუმნის (60 ცხ. ძ.), ახალქალაქის (40 ცხ. ძ.) და სხვა.

ასეთ მუშაობას ეწევა საბჭოთა ხელისუფლება.

რას უნდა დაუპირდაპიროთ ეს ციფრები მენშევიკურ ხანაში? **არაფერს, ნოლს.** ზაჰესები კი არა ჩვენ რომ დაგვეცლოდა, პირველყოფილ ჭრაქზე გადავიდოდით. ვინ იფიქრებდა მაშინ ელექტროფიკაციაზე? „დემოკრატიულ რესპუბლიკას" რომ ელსადგურები აეშენებია, ის დაემსგავსებოდა იმ კაცს, რომელსაც ცილინდრი ხურავს და უშარვლოდ კი დაიარება, მართლაც, ელექტროფიკაცია შეფარდებული უნდა იყოს მრეწველობასთან, ტრანსპორტის გაძლიერებულ მუშაობასთან, სასოფლო-მეურნეობის განვითარებასთან და მის ძვირფას მცენარეულობაზე გადასვლასთან. თუ ვითარდება და შენდება მრეწველობა, იქ საჭიროა ელექტროფიკაცია.

ეხლა ვნახოთ რა მდგომარეობაშია ქარხნების საქმე. შავი-ქვის და ქვა-ნახშირის შესახებ ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. ჩვენ აგრეთვე ვილაპარაკეთ აბრეშუმის სახვევ-სართავ-საქსოვ ფაბრიკებზე. ეხლა სხვებზე შევჩერდებით.

ჯერ იყო და აშენდა **ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.** ეხლა შენდება მეორე უკანასკნელი სისტემის მაუდის ფაბრიკა **თბილისში.** გასული წლის 7 ნოემბერს მას საძირკველი ჩაეყარა დიდუბეში. ეს ფაბრიკა დაამზადებს 1.117.900 მეტრ მაუდს ყოველწლიურად; იქ იმუშავებს 900 მუშა. ფაბრიკაზე უკვე დახარჯულია 600.000 მანეთი. ბორჯომში ააგეს **საკასრე ქარხანა,** რომელიც წლიურად დაამზადებს, ორ-წყება მუშაობით, საკასრო ტკეჩის ერთ მილიონ კომპლექტს, ქარხანაში იმუშავებს, ხე-ტყის მუშების რაოდენობის ჩართვით, 1.237 მუშა. ქარხანა დაჯდა დაახლოვებით 750.000 მან. **მარელისში** ააგეს **გრეხილ-ავეჯის** ქარხანა, მუშაობს 200 კაცი. **შამგონის ხე-ტყის ქარხანა,** რომელიც დაამზადებს საალმშენებლო და ყუთების მასალას, უკვე შენდება. მისი მუშობა შეფარდებული იქნება იმ **ქაღალდის ფაბრიკასთან,** რომელიც უნდა აშენდეს **აფხაზეთში.** ქარხანა დაამზადებს წლიურად მილიონ ნახევარ კუბიურ ფუტ დახერხილ მასალას; იმუშავებს 850 მუშა. აღნიშნული ქაღალდის ფაბრიკის აშენება და მოწყობა ჯდება (წინასწარი ანგარიშით) 10 მილიონი მანეთი; მან უნდა გამოუშვას წლიურად ერთი მილიონი ფუთი ქაღალდი; მოსამზადებელი ხარჯებისათვის თანხა გაღებულია; აგრეთვე მოსამზადებელი ხარჯებისათვის თანხა კავთისხევის ცემენტის ქარხნისათვის, რომელიც წლიურად 7 მილიონ ფ. ცემენტს გამოუშვებს და რომელიც ჯდება 22 მილიონ ნახევარზე მეტი. **ქუთაისის ბარიტის წისქვილის** ასაგებად გადადებულია ნახევარი მილ. მანეთი; ზაფხულისათვის ის მზად იქნება. საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის დადგენილების თანახმად, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამუშავა სადგ. **ლაშესთან** (ხოროგოულის ახლო) **ბოთლების ქარხნის** ასაგები გეგმა. ის დააკმაყოფილებს მთელ ამიერ-კავკასიის მოთხოვნილებას. აი, ეს არის მოსკოვიდან მოვიდა დეპეშით ცნობა, რომ მოსკოვის საბჭოს საჩუქრად მოუძღვნია საქართველოსათვის, მისი ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შესაწყობად. აბრეშუმის სამღებრო ფაბრიკის მთელი მოწყობილობა. ამ საჩუქარმა მეორე ძვირფასი მომაგონა: ქუთაისის მაუდის ფაბრიკაც რუსეთიდან არის ჩამოტანილი. და განა მარტო ამ ორი საჩუქრით თავდება რუსეთიდან მოსული დახმარება?

ვიტყვი აგრეთვე **რკინის გზის** შესახებ. ვის არ გაუგონია ჭორები იმაზე, რომ ბოლშევიკებმა რკინის გზა გაძარცვესო, რომ მათ ყველაფერი რუსეთში წაიღესო.

ავალაპარაკოთ ციფრები. ეს ციფრები შეეხება მთელ ა.-კ. რკინის გზას. 1914 წლის ანგარიშით, რკინის გზის მთელი ღირებულება უდრიდა 275 მილიონ მანეთს, საბჭ. ხელისუფლების გამოცხადების დროს კი—260 მილიონს. ეს ღირებულება შემცირდა 1918 წლიდან. რელსები გაცვდა, შპალები დალპა, შენობები დაინგრა, ხიდები ჩაინგრა, ორთქლმავლების და რონოდების შეკეთება შესუსტდა და თითქმის შეჩერდა და სხვადასხვა. 1914 წ. პირველ იანვრისათვის ორთქლმავლების საერთო რიცხვი 646 უდრიდა, 1922 წლის პირველ ოქტომბრისათვის ეს ციფრი 713 გამოიხატება, 1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის კი მან 882-ს მიაღწია. ამას შემდეგ საბჭოთა კავშირმა კიდევ მოაწოდა საბარგო და სამგზავრო მძლავრი ორთქლმავლები—253.

კმარა! აშკარაა, რომ მენშევიკ-ემიგრანტების ჭორიკანობა დაამტკიცა ციფრმა. რუსეთს საქართველო კი არ გაუძარცვავს, ის მას გაუძლიერებია.

აქ მე მოვიყვან კიდევ ერთ ცნობას და ამით დავამთავრებ სახალხო მეურნეობის შესახებ ლაპარაკს. „კომუნისტი"-ს მე-214 ნომერში ჩვენ ვკითხულობთ: „სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა საწარმოო, საგეგმო და ტეხნიკური განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი სამრეწველო გეგმები. გეგმები გათვალისწინებულია შემდეგნაირად: 1. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ტრესტებისა და შენაერთებისათვის კაპიტალური ხარჯები უნდა განისაზღვროს 2.442.062 მანეთით; დაარსების პროცესში მყოფ აბრეშუმის ტრესტის მომავალი საოპერაციო წლის კაპიტალური ხარჯი განზრახულია 1.593.800 მანეთით. 2. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ახალ შენებათა კაპიტალური ხარჯები 4.125.000 მან. 3. სრულიად საქართველოს ელექტროფიკაციისათვის ხარჯები განზრახულია 6.344.000 მან. 4. ტყვარჩელის ქვა-ნახშირის და გურიის ნავთის ბუდობების კვლევა-ძიებით მუშაობისათვის განსაზღვრულია დაიხარჯოს 717.516 მან. 5. სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის სამრეწველო ხარჯები განსაზღვრულია 517.000 მან." ამნაირად უნდა დაიხარჯოს 16 მილიონამდე. რა დაუპირდაპირო ზემოდ ჩამოთვლილ ფაბრიკა-ქარხნებს, ორთქლმავლებს და ამ უკანასკნელ 16 მილიონს, რა დაუპირდაპირო ყოველივე ამას მენშევიკების ხანიდან? აბა ყველამ ერთად მოვიფიქროთ, მოვიგონოთ ეს ხანა, დაგვეხმაროს თვით **პარიზი,** ვინაიდან მას ის ხანა არასოდეს არ დაავიწყდება. პირადათ მე მაგონდება ერთი მეტად დამახასიათებელი და უფრო ფრიად საარაკო ამბავი. 1919 წ. ოზურგეთის ერობის თავმჯდომარე, გვარის დასახელება საჭირო არ არის, დღეს ის თბილისში ცხოვრობს, საზოგადო კრებას ეუბნება: ყველამ ვიცით, ამხანაგებო, რომ ჩვენ მაზრას უგზოობა ახრჩობს. აუცილებელია ამ ნაკლის გამოკეთება, ამისათვის პრეზიდიუმი გთხოვთ გაიღოთ გზების შესაკეთებლად 5.000 მანეთიო. 1919 წელს, დეკემბერში, ათმანეთიანი ოქრო ღირდა 1.029 მან., მაშასადამე მაშინდელი 5.000 მ., კრება თუ დეკემბერში იყო, 5 თუმანსაც არ უდრიდა. 5 თუმნად მთელი მაზრის გზები უნდა შეეკეთებინაო. მგონი, კმარა.

დაცემული სასოფლო მეურნეობა, საარაკო მრეწველობა. ამ დარგებში სრული სიჩუმეა. ხმაურობს მხოლოდ [illegible]ბის საბეჭდავი მანქანა, ხმაურობენ... მუშები და გლეხები.

ეხლა დროა, დაპირებისამებრ ავალაპარაკოთ თვით პარიზი და მოვიყვანოთ მათ მიერ მოცემული ცნობები და ციფრები.

(გაგრძელება იქნება)

ივ. კაჩუხაშვილი.

---

*) [illegible] 61 ფუთს

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

მიმდინარე არჩევნები და ჩვენი ამოცანები

ამჟამად სოციალისტური აღმშენებლობის დარგში ჩვენს წინაშე იჭრება მრავალი ფრიად რთული, საყურადღებო და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომლებიც ნათლად და გარკვეულად დასმულია ჯერ კიდევ მესამე საკავშირო საბჭოების ყრილობის მიერ და გამოხატულია შემდეგში: „საკავშირო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საწარმოვო ძალების განვითარების ზრდა მოითხოვს საბჭოების სამეურნეო-კულტურულ მუშაობის გაძლიერებას და მათზე სათანადო ახალ პირობების მიხედვით ხელმძღვანელობას და ადმინისტრატიული მართველობის მეთოდების შემოღებას. ეს ამოცანა ამჟამათ არის უმნიშვნელოვანესი და საბჭოები, როგორც ხელისუფლების ორგანოები, უნდა დაუდგნენ სათავეში მთელ მეურნეობას და კულტურულ მშენებლობას საბჭოთა რესპუბლიკებისას და უხელმძღვანელონ მას ისე, როგორც თავის დროზე, ინტერვენციის და სამოქალაქო ომის ხანაში მთელი მათი ყურადღება იყო მიპყრობილი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სამხედრო დაცვისაკენ.

საბჭოების ხელმძღვანელობას სამეურნეო და კულტურულ დარგებში უნდა მოჰყვეს უშუალო შედეგათ შემდეგი კულტურული და პოლიტიკური წინსვლა მუშებ-გლეხების მასების ქვეყნის საერთო სამეურნეო ზრდის საფუძველზე".

აღნიშნული ამოცანები მათი სიდიადის გამო ისმება ჩვენს წინაშე დიდი ხნით. ხელმძღვანელობა ამ ამოცანების გადაჭრაში ეკისრება საბჭოთა ხელისუფლებას—საბჭოებს. საბჭოები წარმოადგენენ სრულიად განსაკუთრებულ, ჯერ მსოფლიოში უნახავს ხელისუფლებას. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის პირობებში (გლეხური ქვეყანა) საბჭოები არიან არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები, არამედ ამავე დროს საუკეთესო და ნაცადი სახელმწიფოებრივი ფორმა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მუშების და გლეხების კავშირისა. ამ კავშირს ოქტომ. 1-ლ დღიდანვე მეთაურობს პროლეტარიატი. ჩვენი შინაური პირობები და ადგილი, რომელიც უჭირავს ჩვენს რესპუბლიკას და საერთოდ კავშირს საერთაშორისო მდგომარეობაში მოითხოვენ, რომ შემდეგშიაც მუშების და გლეხების კავშირს მეთაურობდეს პროლეტარიატი.

საბჭოები არა მარტო განაგებენ სახელმწიფოს, არამედ ამავე დროს არიან სკოლა სახელმწიფოებრივი მმართველობისა. საბჭოები თავისი აგებულობით, თავისი მუშაობის განაწილების წესით აბამენ სახელმწიფოებრივ მმართველობის და ხალხური მეურნეობის საქმიანობაში ფართო მშრომელ მასსებს მუშებს და გლეხებს და ათვისებიებენ მათ სახელმწიფოებრივ მმართველობის და მეურნეობის გამგებლობას. მეორე მხრივ მუშების და გლეხების საბჭოების საქმიანობაში ფართო მონაწილეობის მიღებით საბჭოები არიან საუკეთესო, ნამდვილი კონტროლის ფორმა მშრომელ ნაწილისა ჩვენი სახელმწიფოებრივ ორგანოების და მთლიანათ აპარატის მუშაობა-საქმიანობისა.

ამ რიგათ 1) საბჭოები—ხელისუფლების ორგანოები და პროლეტარიატის—დიქტატურაა, 2) საბჭოები სახელმწიფოებრივი ფორმაა მუშების და გლეხების პოლიტიკურათ და ეკონომიურათ შეკავშირებისა, 3) საბჭოები სახელმწიფოებრივი მმართველობის სკოლაა და 4) მუშების და გლეხების ფართო წრეების კონტროლის ორგანოა სახელმწიფოებრივ აპარატზე.

ჩვენ ყოველთვის საბჭოების გადარჩევის დროს ჯამს უკეთებთ ყველა ჩვენ მიღწევებს და ნაკლსაც, რომელსაც აშკარად ვაღიარებთ და აღვნიშნავთ: (ბიუროკრატიზმი, უხეშობა, რთული და ტეხნიკურათ არა-რაციონალური საბჭოთა აპარატის მუშაობა, რომელიც იწვევს გაჭიანურებას, გართულებულ მიმოწერას და მშრომელ მოსახლეობის გაღიზიანებას). თუ აღნიშნული მოვლენები უმთავრესად ნაშთია ყოფილ წესწყობილების მეორე მხრივ ისინი არსებობენ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არაა საკმარისი მუშების და გლეხების პრაქტიკული მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში. არ არის საკმარისი ანგარიში და კავშირი საბჭოების ამომრჩევლებისადმი და მშრომელი მოსახლეობის მასსიური კონტროლი საბჭოთა აპარატის მუშაობა საქმიანობაზე.

უკანასკნელი კამპანია და მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისა საბჭოების მუშაობა-საქმიანობის განცხოველების და გაღრმავების მიზნით გამოწვეულია სოციალისტური მშენებლობის ზრდის და გამაგრების აუცილებლობით. პროლეტარიატის დიქტატურის უდიდესი პრინციპია პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირი რათა მან შესძლოს ხელმძღვანელის როლის და ხელისუფლების შენარჩუნება.

საბჭოების გადარჩევაში აუცილებელია პროფესიონალური, კოოპერატიული და საერთოდ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა. განვითარებული და შეგნებული მუშებით საბჭოთა აპარატის გაძლიერება, ბიუროკრატიზმის მოსპობის საუკეთესო თავდებია. საბჭოები—სოციალისტური მშენებლობის ორგანოებია, ამ ორგანოების გამაგრებით და მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების მათ საქმიანობაში ჩაბმით ჩვენ უზრუნველვყოფთ სოციალიზმის გამარჯვებას. ამიტომ ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა გაითვალისწინოს მიმდინარე საბჭოების გადარჩევის დროს თბილისის და მისი მაზრის მუშებმა და გლეხებმა და ყველამ დაუღალავი აქტიური მონაწილეობით ხელი უნდა შეუწყოს ისეთი საბჭოების არჩევას, რომლებიც შესძლებენ მორიგ ამოცანების განხორციელებას და ღირსეულათ განაგრძობენ სოციალისტურ მშენებლობას.

ლ. სუხიშვილი.

„სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ჩვენ ფაქტიურად უნდა ჩავაბათ მუშები, ღარიბი და საშუალო გლეხები".

მოლოტოვი.

საარჩევნო კამპანია ფართოვდება

ორგანიზაციულ-ტეხნიკური და წინასწარი საარჩევნო-საანგარიშო მუშაობა საბჭოთა გადარჩევის მოსამზადებლად მთელს საქართველოში თითქმის სავსებით დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოება საკმაო ცნობები იმისათვის, რომ ჯამი გაუკეთოთ ამ მუშაობის შედეგებს, მაგრამ არსებულ მასალების მიხედვით შეგვიძლია ეხლაც აღვნიშნოთ კამპანიის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მომენტები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ადგილებზე შეეფერება იმ დირექტივებს, რომელიც მიცემული იყო. ყოველგან ამ კომისიებში შედიან უპარტიო მუშები, გლეხები და ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები. საარჩევნო უბნების რიცხვი დიდათ გაიზარდა გასულ წელთან შედარებით, რაც ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს არჩევნებში ამომრჩეველთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ჩასაბმელად. საარჩევნო უბნების მოწყობის დროს მხედველობიდან არ იყო გაშვებული ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესები. ტეხნიკური პერსონალის ინსტრუქტაჟი საარჩევნო ფორმების შევსების დარგში საერთოდ საკმაოდ კარგად არის დაყენებული. საარჩევნო კამპანიის საკითხების დამუშავება პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში ძალიან გულდასმით და სერიოზულად არის ჩატარებული. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ მაზრაში ადგილი ჰქონია გადარჩევის ტეხნიკური მომზადებით გატაცების და პოლიტიკური მომზადების მეორე რიგში დაყენების. ეს დეფექტი უკვე აღმოფხვრილია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა სასოფლო პარტორგანიზაციამ საკმაოდ შეითვისა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური მნიშვნელობა და მისი ამოცანები. ცოცხლად ტარდება ღარიბ გლეხთა კრებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით აღმოფხვრილია ის განწყობილება, რომელსაც შარშან იჩენდენ ზოგიერთი ამხანაგები, რომელნიც აღიარებდენ, რომ თითქოს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კულაკები არ არიან და ამიტომ ღარიბ გლეხთა კრებების მოწვევა არ არის საჭირო. ყოველგან იმართება ღარიბ გლეხთა კრებები და ეხლა ყველა ამხანაგებისათვის აშკარაა, რომ კულაკები ყოველგან მოიპოვებიან. მაგალითად, სენაკის მაზრაში წინასწარმა საარჩევნო მუშაობამ სავსებით ცხადყო კულაკების არსებობა, რომელნიც იზრდებიან მევახშეობის ხაზით. ამ მაზრაში მევახშეობა უაღრესად არის განვითარებული. არის შემთხვევები, როცა ვალს ასესხებენ ას-ორას და ზოგჯერ ოთხასორმოცდაათ პროცენტში.

საინტერესოა სენაკის მაზრაში მოხდენილი ცდა. იქ ღარიბ გლეხთა კრებებზე განსახილველად იყო დასმული იმ პირთა სიები, რომელთაც წართმეული აქვთ საარჩევნო უფლებები. ამ სიებს ჯერ ადგენდენ საარჩევნო კომისიები და შესამოწმებლად გამოჰქონდათ ღარიბთა კრებებზე. დამსწრეები დიდ და ცოცხალ ინტერესს იჩენდენ ამ საკითხისადმი. სიებში დამატებით შეჰქონდათ ის პირები, რომელნიც გამორჩათ საარჩევნო კომისიებს. შემოწმება ცხადყოფდა, რომ მართლაც ღარიბთა კრებების მიერ დასახელებული მოქალაქეები ინსტრუქციების ძალით შეტანილი უნდა ყოფილიყვნენ შავ სიებში. ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ ღარიბ გლეხთა კრებები რიცხავდენ შავი სიიდან ამ თუ იმ მოქალაქეს იმ მოტივით, რომ ის არ არის კულაკი. ასეთი წესი,—თვით მასების ჩაბმა საარჩევნო უფლებააყრილ პირების სიების შემოწმებაში უსათუოდ სასარგებლოა და მეტად კარგ შედეგებს იძლევა.

საარჩევნო ინსტრუქცია, განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოქალაქეების საარჩევნო უფლებებს, საერთოდ სწორად ტარდება. რასაკვირველია, იქნება დაშვებული ცალკე შეცდომებიც, ისინი უნდა გამოვასწოროთ, მაგრამ პარტიის და ხელისუფლების მიერ აღებული კურსი სახელმწიფოს მართვა-გამგეობიდან ყველა ექსპლოატატორულ ელემენტების სავსებით გარიყვაზე ადგილობრივ სავსებით ტარდება.

წარსულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საარჩევნო უფლება მოკლებულ პირების რიცხვი. ისე მაგალითად, თელავის მაზრაში შარშანდელი არჩევნების დროს საარჩევნო უფლება წაერთვა 1.765 კაცს, რაიც სრულწლოვანი მოსახლეობის 3,3 პროცენტს შეადგენს; ეხლა კი თელავის მაზრაში საარჩევნო უფლება წართმეული აქვს 6.298 კაცს, რაიც სრულწლოვანი მოსახლეობის 11,8 პროცენტს შეადგენს. ერკეთის თემში (ოზურგეთის მაზრა) შარშან საარჩევნო უფლება წაერთვა 3 კაცს, ეხლა კი 39 კაცს. მოყვანილი ციფრები ახასიათებენ საქართველოს ყველა რაიონებს. არის შემთხვევები, როცა შავ სიებში ხვდებიან საბჭოების წევრები. ჩვენ ვიცით შემთხვევა, როცა შავ სიებში მოჰყვენ სათემო აღმასკომების წევრები (ზუგდიდის მაზრა). ეს მოწმობს იმას, რომ 1926 წელში არჩევნების დროს ჩვენს საბჭოებში ხანდახან ახერხებდენ შეძრომას კულაკური ელემენტები. კულაკები ძალიან ფხიზლად ეკიდებიან საარჩევნო უფლების წართმევას, საჩივრები შეაქვთ საარჩევნო კომისიაში. ჩამოდიან ცენტრში და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს ისინი უკანონოდ იყვნენ შეტანილი შავ სიებში. მთელ რიგ მაზრებში არის შემთხვევები, როცა არჩევნების მოახლოების დროს კულაკები ითხოვენ მოჯამაგირეებს. კულაკური ელემენტი დიდ აქტიობას იჩენს. ახალციხის მაზრის ერთ თემში საქმე იქამდე მივიდა, რომ მუშტით გაუმასპინძლდენ გლეხკომის თავმჯდომარეს.

ღარიბი გლეხობის აქტიობამ ძალიან მოიმატა. ამ მხრივ უდიდეს როლს თამაშობს ღარიბი გლეხობის კრებების მოწყობა. ღარიბი გლეხობას ძალიან მოსწონს საარჩევნო ინსტრუქცია. ღარიბი გლეხობის ერთ კრებაზე ერთმა გლეხმა განაცხადა, რომ მას არ სურს კულაკების გაბოროტება იმიტომ, რომ თუ მას დასჭირდება სესხი, კულაკები უარს ეტყვიან სესხის მიცემაზე. ეს განცხადება დამახასიათებელია მით უფრო, რომ ხშირად ღარიბი გლეხები (სენაკის მაზრაში) ვერ ბედავდენ აშკარად დაესახელებიათ კულაკები, და მიმართავდენ წერილობითი განცხადებებს. ეს მოწმობს იმას, რომ ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია მოითხოვს შემდგომ გაღრმავებას მთელ რიგ პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებათა გატარების ხაზით.

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში უკვე დაიწყო არჩევნები, სხვა რაიონებში კი ამ დღეებში დაიწყება. საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა გამოცხადებისა და ჩვენი საბჭოების შემადგენლობის შესახებ შემდეგ ვიმსჯელებთ. საარჩევნო კამპანიის პირველი პერიოდის მიმდინარეობის წინასწარი და არასრული შედეგები ამტკიცებენ, რომ ადგილებზე შეიგნეს კამპანიის პოლიტიკური ხაზი. იგი სისწორით ტარდება, და რომ ჩვენ გვაქვს მოსახლეობის მთელი მასის აქტივობისა და კერძოდ სოფლის ღარიბი გლეხობის და კულაკური ელემენტების აქტიობის მნიშვნელოვანი ზრდა.

შ. მათიკაშვილი.

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ საბჭოებისა და აღმასკომის ეროვნული შემადგენლობა მთლიანად გამოხატავდეს სათანადო ადმინისტრატიული ერთეულის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას".

საქ. კომპ. ცეკას პლენუმი.

მასწავლებლობა და საბჭოთა არჩევნები

საბჭოები—ეს მშრომელთა მასის ბრძოლის და შემოქმედების ნაყოფია.

რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც მუშათა და გლეხთა მასა სოფლის და ქალაქის ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა, მაშინ თავდასხმის და გამარჯვების ორგანო იყო საბჭო.

მაგრამ, შემდეგ კი, რამდენიმე დროის ძაწძილზე, იგი თითქო ჰკარგავს მასიურ ორგანიზაციის ხასიათს, ვერ უპასუხებს ცხოვრების მიერ წამოყენებულ ახალ საკითხებზე და თავის მუშაობის შინაარსით და მეთოდით აწელებს და აქარწყლებს იმ დიად მნიშვნელობას, რომელიც მას ჰქონდა და უნდა ჰქონდეს მშრომელთა მასის თვითმოქმედების და სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში.

მუშათა კლასის მოწინავე და საუკეთესო ნაწილმა—ჩვენმა პარტიამ—საბჭოების მუშაობის მოდუნებას, რომელსაც მშრომელთა მასის ცხოვრება-ბრძოლაში საბედისწერო როლი შეეძლო ეთამაშა, დროულად აუღო ალღო და მთელი თავისი შეგნებით, ძალით, ენერგიით და ნიჭისყოფით გაილაშქრა ამ ბოროტების წინააღმდეგ და საბოლოოდ დასძლია იგი.

დღეს ჩვენ უკვე მოწმენი ვართ იმის, რომ საბჭოები კვლავ გახდნენ მშრომელთა მასის ხელისუფლების და მმართველობის ორგანო, რომელთა საშუალებით მტკიცდება და ღრმავდება სოციალისტური აღმშენებლობის საქმე საბჭოთა კავშირში.

საერთოდ ჩვენი მეურნეობის, კერძოთ, სოფლის მეურნეობის აღორძინება, მუშების და გლეხების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ღარიბ-ლატაკ და საშუალო გლეხების სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებას, ქალაქად და სოფლად კომპარტიის სწორი და გარკვეული პოლიტიკის წარმოება და იმ კულტურულ მუშაობას, რომელიც სწარმოებდა და სწარმოებს მშრომელთა შორის, შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელთა პოლიტიკურ-კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა და საზოგადოებრივი მუშაობისადმი ლტოლვა.

ჩვენი სადღეისო ამოცანა სწორედ იმაშია, რომ შესაფერისად გამოვიყენოთ ეს ლტოლვა და საბჭოთა სახელმწიფოს საკეთილდღეოთ წარვმართოთ იგი.

იმ დიად ხანაში, როდესაც საბჭოები მშრომელთა მასას საბრძოლველად რაზმავდენ და როცა ისინი, სამოქალაქო ომში ჩაბმულნი, განიცდიდენ სიმშილს, ტანჯვას და დამარცხება-გამარჯვებას, მასწავლებლობის ერთი ნაწილი განზე იდგა და კალმობიობის ამ დიდ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა; მეორე კი, მტრულად განწყობილი, ხელის შეშლას ლამობდა და ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალს უცდიდა.

—და აი, სწორედ ამან შექმნა ის მდგომარეობა, რომ მასწავლებლობამ დროებით დაჰკარგა მშრომელ მასის ნდობა და პატივისცემა და მათ შორის აღმართული იყო ზღუდე.

მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელი კავშირის ტერიტორიაზე ვამჩნევთ, რომ მშრომელმა ინტელიგენციამ იბრუნა პირი, მიხვდა თავის შეცდომებს და ხელისუფლებასა და ჩვენს პარტიასთან ერთად ეწევა სოციალისტურ აღმშენებლობის მძიმე უღელს და აქტიურად ეხმარება საბჭოებს მუშაობის გამოცოცხლება-გაღრმავებაში.

დღეს მით უმეტეს საჭიროა მასწავლებლობა უფრო აქტიურად ჩაერიოს საბჭოების გადარჩევის საქმეში და დაეხმაროს ხელისუფლებას, რათა ამ არჩევნების შედეგად მოგვცეს საბჭოებში ქალაქის და სოფლის პროლეტარული ნაწილის დარაზმვა და უპარტიო აქტივის შექმნას დაედვას მტკიცე საფუძველი.

დღეს ყველასათვის და კერძოდ, მასწავლებლობისათვის აშკარაა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის 5 წლის არსებობას თან მოჰყვა ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა ფენებად დაყოფა, ქალაქში იქმნება ახალი ბურჟუაზია, სოფელში კი, თანდათან მლიერდება „კულაკი" (ბოლა), საერთოდ კი იზრდება ყველა კლასების და ჯგუფების აქტივობა.

სწარმოებს ბრძოლა მეურნეობის კაპიტალისტურ (კერძო) და სოციალისტურ (სახელმწიფო) ელემენტების შორის, ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყვეს საშუალო შეძლების გლეხთა შორის კომპარტიის გავლენის განმტკიცება. ეს ბრძოლა, თავისთავად ცხადია. თავს იჩენს საბჭოების არჩევნების დროს და აი, სწორედ აქ, მასწავლებლობა გადაჭრით უნდა დადგეს მშრომელთა მხარეზე.

საბჭოების გაჯანსაღების და მის მუშაობის გაღრმავების საქმეს თვით არჩევნების გაუმჯობესებით უნდა ჩაეყაროს საძირკველი. არც ერთ მასიურ კამპანიას არა აქვს ისეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა არჩევნებს, აქედან ცხადია, რომ მთელი ჩვენი ყურადღება და ღონისძიება იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რათა არჩევნების უფლების მქონეთა უმრავლესობამ მიიღოს მონაწილეობა, როგორც არჩევნების წინასწარ მუშაობაში, ისე თვით არჩევნებში.

მასწავლებლობას, რომელიც სკოლისა და მოწაფეთა საშუალებით მჭიდროთ არის დაკავშირებული როგორც საერთოდ სოფელთან, ისე კერძოდ ბავშვთა მშობლებთან, საკმაო საშუალება და შესაძლებლობა აქვს იქონიოს გავლენა და მცხოვრებთა დიდი უმეტესობა დააინტერესოს არჩევნებით.

ის ძალა და ენერგია, რომელსაც სკოლის კოლექტივი ხარჯავს სხვადასხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში, ამ შემთხვევაში მთლიანად გამოყენებულ უნდა იქმნეს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

სკოლამ დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს, რათა სისწორით იქმნას შედგენილი ამომრჩეველთა სია, შავი სია (საარჩევნო უფლების არ მქონეთა სია) და საკმაო სისრულით იყოს ჩატარებული წინასწარი საარჩევნო მუშაობა, როგორიც არის:—ადგილობრივი ხელისუფლების საანგარიშო მოხსენება, საბჭოს წევრთა მიერ ჩატარებულ მუშაობის ანგარიში, საბჭოს წევრთა კანდიდატების სიის შედგენა, საბჭოს წევრთა მოვალეობის და უფლების განმარტება, „ნაკაზის" დამუშავება და ბოლოს თვით არჩევნების ტეხნიკური მხარის მოგვარება.

ადგილობრივი ხელისუფლების და თვითეულ საბჭოს წევრის საანგარიშო მოხსენება მარტივ, გასაგები და საინტერესო უნდა იყოს დამსწრეთათვის. მოხსენება ზედმეტი სტატისტიკური ცნობებით არ უნდა იყვეს გადატვირთული, არამედ მთავარი ყურადღება მიექცეს და ხაზი უნდა გაესვას იმ დიდ შემოქმედებითი სააღმშენებლო სოციალისტურ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება. ამავე დროს საკმაოდ ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული ადგილობრივი ხელისუფლების ყოველი წვრილმანი მიღწევანიც კი, (როგორიცაა—ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია, ახალი ფაბრიკა-ქარხნები, არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა, საბინაო-სააღმშენებლო მუშაობა, ახალი რკინის გზები, შარა-გზები, სკოლის შენობების შეკეთება, ხიდების გაკეთება და სხვა.) ყველა ამ მასალის დაგროვებაში და დამუშავებაში მასწავლებლობა საკმაოდ უნდა დაეხმაროს მომხსენებელს.

ბრძოლა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ის ღონისძიებანი, რომელნიც ტარდება მოჭირნეობის რეჟიმის, რევოლიუციონურ კანონიერების და გეგმიან მუშაობის განმტკიცების გარშემო,—ყველა ეს უნდა იყოს გაშუქებული ამ კრებებზე, და მასწავლებლობა არა მარტო უნდა ეხმარებოდეს მომხსენებელს ამ საკითხის გაშუქებაში, არამედ თვით აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს კრებებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის მნიშვნელობის გაშუქებას, რომლის საშუალებით შესაძლებელია ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხის მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნა.

სოფლის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, როგორიც არის სკოლა, ქოხ-სამკითხველო, წერა-კითხვის უც. სალიკ. პუნქტი და სხ. მთელი თავისი მუშაობა უნდა გარდაქმნას და შეუფარდონ საბჭოთა არჩევნების კამპანიას. მასწავლებლობამ და ყველა, ზემოდ დასახელებულ კულტურულ დაწესებულებათა მუშაკებმა უნდა შესძლონ შექმნან ისეთი პირობები, რომ სოფლის ღარიბ-ღატაკი და საშუალო შეძლების გლეხ-კაცობა ერთი მთლიანი ფრონტით გამოვიდენ კაპიტალისტურ ელემენტებისა და „კულაკების" წინააღმდეგ და გააქარწყლონ მათი გავლენა.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კანდიდატთა შერჩევას. საჭიროა ისეთი პირების წამოყენება, რომელნიც სარგებლობენ მასაში გავლენით და ცნობილი არიან, როგორც საბჭოთა აღმშენებლობის თავდადებული და აქტიური წევრნი, და რომელთაც თვით საზოგადოებრივი მუშაობით დაიმსახურეს მოსახლეობის ყურადღება და პატივისცემა.

მასწავლებლობას არამც თუ შეუძლიან დაეხმაროს ადგილობრივ ორგანოებს კანდიდატების შერჩევაში, არამედ თვით უნდა იქნას არჩეული და საბჭოს მუშაობის აქტიური მონაწილე.

ჩვენი საბჭოთა ორგანოები, სოფლის საბჭოდან დაწყებული უზენაესამდე უნდა წარმოადგენდენ ჯანსაღ, მარტივ, საქმიან დაწესებულებებს, რომელთა შენახვა არ უნდა იწვევდეს დიდ ხარჯებს. ამას რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ და ამ საქმის მოგვარებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი რესპუბლიკის ყველა ცოცხალმა ძალებმა.

მასწავლებლობამ თავს უნდა იდვას ამ საქმეში პასუხისმგებლობის ნაწილი და მთელი თავის ცოდნა-გამოცდილება და ენერგია უნდა მოახმაროს რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებას და მშრომელთა კეთილდღეობას.

მარიამ ორახელაშვილი.

„არჩევნების ჩატარების დროს ჩვენ უნდა გვახსოვდეს უმთავრესად სამი რამ: 1) მშრომელთა ხელისუფლების ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება; 2) პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობა და მისი ავტორიტეტისა და ნდობის ამაღლება და გაძლიერება მშრომელთა ფართო მასებში; და 3) საბჭოებში უნდა გაყვანილ იქნენ მუშებისა და გლეხების საუკეთესო ელემენტები".

ფ. მახარაძე.

საბჭოს დეპუტატების როლი წარმოებებში

უკანასკნელ წლებში ჩვენ გვაქვს ერთგვარი გაცხოველება ჩვენი საქალაქო საბჭოების მუშაობაში. დიდ მუშაობას ეწევიან სექციები. მუშათა მასები ჩაბმული არიან საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში. მაგრამ არის საკითხი, რომლის გამოც გვმართებს დაფიქრება. ეს არის საკითხი საბჭოს დეპუტატების როლის შესახებ წარმოებებში.

ამომრჩევლები ხშირად, არჩევნების მეორე დღესვე ივიწყებენ იმას, თუ ვინ არის მათგან საბჭოს დეპუტატი. რას აკეთებს საბჭოს ეს დეპუტატი წარმოებაში? არის თუ არა იგი ინიციატორი იმისა, რომ საბჭოს წინაშე იქნას დასმული თავისი წარმოების ყველა საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც **საბჭოთა წესით** უნდა გატარდენ?

არის თუ არა იგი თავისი წარმოების მუშათა საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორი, გადააქვს თუ არა მას მასებში საბჭოთა აღმშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები, აძლევს თუ არა იგი პასუხს მუშებს საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხებზე (საბინაო საკითხი, საგადასახადო საკითხი, სკოლის, ჯანმრთელობის და სხ. საკითხები)?

არა, საბჭოს დეპუტატი, საბჭოს მოქმედების შესახებ პერიოდული (და ისიც არა წესიერად) ანგარიშის გარდა, არავითარ საბჭოთა მუშაობას არ აწარმოებენ წარმოებებში.

მუშები ყველა საკითხების შესახებ მიმართავენ ფაბქარხკომებს, რომელთაც არ ძალუძთ ყველა საკითხებზე უპასუხონ, გასცენ პასუხი საბჭოს მაგიერად და ყოველი საკითხის გამო იარონ საბჭოში. ფაბქარხკომებს არ შეუძლიათ და არც უნდა იყვენ შუამავლებად მუშებსა და საბჭოს შორის იმ საკითხებში, რომელნიც მუშებს აქვთ წარმოების გარეშე.

არსებითად კი ფაბქარხკომები ადგილობრივ საბჭოების მოვალეობას ასრულებენ, როცა ისინი იძულებული არიან პასუხი მისცენ მუშებს ყველა საკითხებზე, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ პროფმოძრაობასთან.

როცა მუშას სურს თავისი ბავშვის მიცემა სკოლაში, იგი ფაბქარხკომის საშუალებით ეძებს კავშირს საბჭოსთან. რატომ არ შეუძლია მას ეს საბჭოს ამორჩეული დეპუტატის საშუალებით, რომელსაც შეუძლია საბჭოთა ხაზით წასწიოს წინ საკითხი?

თუ მუშების ჯგუფს, რომელნიც ფაბრიკის კედლების გარეშე სცხოვრობენ, სურს დასვას საკითხი განაპირა უბნების განათებისა, კანალიზაციისა, ტრამვაისა და სხ. შესახებ, ვის დახმარებას უნდა მიმართონ, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრას საბჭოში: ფაბქარხკომებს თუ წარმოებისაგან ამორჩეული საბჭოს დეპუტატების დახმარებას?

მრავალი ამისმაგვარი საკითხების მოყვანა შეიძლება საფაბრიკო-საქარხნო ცხოვრების პრაქტიკიდან, მუშების ცხოვრებიდან ფაბრიკის კედლების გარეშე.

ჩვენ გვგონია, რომ ნათლად უნდა გამოირკვეს საბჭოს დეპუტატების მოვალეობა წარმოებებში. ეს ოდნავადაც არ დაამცირებს ფაბქარხკომების როლს.

პირიქით, ფაბქარხკომმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ როგორც საბჭოს მთლიანად, ისე საბჭოს ცალკე დეპუტატებს მათ მუშაობაში; საბჭო და საბჭოს დეპუტატები კი უნდა შეუთანხმდენ ფაბქარხკომებს ყველა იმ საკითხებში, რომლებსაც ისინი საბჭოთა ხაზით ატარებენ ფაბრიკის მუშებს შორის (ანგარიშების წარდგენა, კლუბების გამოყენება, მუშების ჩაბმა სექციურ მუშაობაში და სხვ.).

საჭიროა თუ არა, რომ დიდ წარმოებებში როგორმე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული სახე მიიღონ საბჭოს დეპუტატებმა წარმოებებში?

საჭირო არაა, მიზანშეუწონელია და მავნებელიც.

საბჭოს დეპუტატები მუშაობას აწარმოებენ საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით. საჭიროა საბჭოს დეპუტატების მხოლოდ ინიციატივა და აქტივობა. ისინი უნდა სცდილობდენ, რომ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები განხილულ იქნას წარმოებებში. ისინი უნდა იყვენ ინიციატორები საბჭოს წინაშე საკითხების წამოყენებაში, ისინი თავის დროზე უნდა უდგენდენ ანგარიშს ამომრჩევლებს საბჭოს მუშაობის შესახებ მთლიანად და ცალკე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საბჭოს მოქმედებიდან (მაგალითად, ბინის ქირის საკითხი), ისინი ანგარიშს უნდა ადგენდენ თავიანთ მუშაობაშიაც, როგორც საბჭოს დეპუტატები. საბჭოს დეპუტატები უნდა იყონ საბჭოს მოქმედების კურსში, მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო ლიტერატურა, პასუხი უნდა გასცენ ყველა იმ საკითხებზე, რომელნიც მუშებს აინტერესებენ საბჭოთა ხაზით. საბჭოს დეპუტატებმა საბჭოს წევრების მორიგეობა უნდა დააწესონ წარმოებებში.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ საბჭოს დეპუტატები იღებენ განცხადებებს, იძლევიან რჩევას და პასუხს იმ საკითხებზე, რომელნიც დაკავშირებული არ არიან ფაბრიკასთან ან ქარხანასთან და რომელნიც ეხებიან მუშების ინტერესებს საფაბრიკო-საქარხნო ცხოვრების ფარგლების გარეშე.

მუშას ,ყოველთვის არ შეუძლია რომელიმე საკითხის გამო იაროს საბჭოში. ყოველთვის არ შეუძლია მიაღწიოს ამ საკითხის გადაწყვეტას მაშინაც კი, როცა იგი იქ დადის. მას ყოველთვის არ შეუძლია თვითონ დასვას საკითხი.

იგი მიმართავს ფაბქარხკომს, იქ კი მას ხშირად ეუბნებიან: „მიმართე საბჭოს".

აი, სწორედ აქ იჩენს თავს საბჭოს დეპუტატის როლი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მას, რომელსაც შეუძლია საკითხის გადაწყვეტა დააჩქაროს, მისცეს რჩევა, მიიღოს განცხადება და სხ.

საქმის ასეთი დაყენების დროს მნიშვნელოვნად იწევს საბჭოს დეპუტატების ავტორიტეტი; ეს უკანასკნელნი კი, განთავისუფლებული სხვა საზოგადოებრივი მუშაობიდან, დიდ ინიციატივასა და ენერგიას იჩენენ იმისათვის, რომ მუშათა საზოგადოებრივ აზრს მოუხდინონ მობილიზაცია საბჭოთა მუშაობის ირგვლივ.

ეს საკითხი დეტალურად უნდა იქნას განხილული. მიზან-შეწონილი იქნებოდა, რომ ქალაქის საბჭოების წარმომადგენლებს პროფორგანიზაციებთან ერთად განეხილათ დასმული საკითხი და გადაეწყვიტათ იგი ახლად არჩეული საბჭოების მუშაობის დასაწყისში.

რუბენი.

„სოფლის ნახევრად პროლეტარები ქალაქის პროლეტარების და პროლეტარული პარტიის ბუნებრივი მეგობრები არიან".

მ. ორახელაშვილი.

საბჭოების გადარჩევა და გლეხკომები

მიმდინარე საბჭოთა კამპანიას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. შეუძლებელია სოციალისტური აღმშენებლობის ნაყოფიერი წარმოება, სასოფლო მეურნეობის აყვავება, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოციალიზმისათვის მკვიდრი საფუძვლების შექმნა, თუ მშრომელთა ფართე მასები აქტიურად არ ჩავაბით ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, არ დავრაზმეთ საბჭოების გარშემო.

წარმოუდგენელია აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, ძალა-უფლების შენარჩუნება, თუ საბჭოები არ გადაიქცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის—მუშების, ულარიბესი და საშუალო გლეხობის ჭეშმარიტ ორგანოდ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში გაცხოველება ემჩნევა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ფენებს—კულაკებს, ვაჭრებს და საერთოდ შეძლებულ ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ საბჭოებში გაძვრენას და გავლენის მოპოებას. სწორედ ამიტომ საჭირო ხდება მუშების, ულარიბეს და საშუალო გლეხების საბჭოების ირგვლივ დარაზმვა და მათი კავშირის დაპირისპირება სოფლის და ქალაქის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამაში მდგომარეობს არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა.

გარდა ამისა, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სახელმწიფო აპარატიდან ძველი ჩინოვნიკური სულისკვეთების აღმოფხვრა და საბჭოთა აპარატის დაახლოვება მასებთან საჭიროებს მშრომელთა თვითმოქმედებას და ინიციატივას, რაც შესაძლებელია საბჭოების საშუალებით, მათში მუშების, ულარიბეს და საშუალო გლეხების ფართო მონაწილეობის გზით.

დასასრულ საბჭოები ერთგვარ სკოლას წარმოადგენენ, სადაც მშრომელთა მასები იწვრთნებიან პოლიტიკურად და კულტურულად. აი რატომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევენ მიმდინარე საბჭოთა არჩევნებს. უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ მიმდინარე არჩევნებში შემდეგი სამი ძირითადი ლოზუნგია წამოყენებული: საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცება, ულარიბეს და საშუალო გლეხობის აქტივობის გაძლიერება, და კულაკების და ბურჟუაზიულ ელემენტების გარიყვა და განმარტოება.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში, მაგრამ კითხვა იბადება: როგორ და რა სახით? პირველად ყოვლისა გლეხკომებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო ინსტრუქციის პოპულარიზაციის საქმეს. საჭიროა გლეხკომების პრეზიდიუმმა მოიწვიოს წევრთა წინასწარი საერთო კრება, სადაც მოხსენება უნდა გააკეთოს იმ გლეხკომის წევრმა, რომელიც შედის საბჭოს საარჩევნო კომისიაში. მომხსენებელმა დამსწრეთ უნდა გააცნოს საარჩევნო ინსტრუქცია, განუმარტოს მათ, თუ ვის აქვს და ვის არ აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და სხვ. ამავე კრებაზე მოსმენილი უნდა იქნეს ადგილობრივ საბჭოს ან აღმასკომის წარმომადგენლის მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

გლეხკომის წევრებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ საანგარიშო მოხსენების განხილვაში და მიუდგომლად აღნიშნონ საბჭოს მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მოხსენების და მის გარშემო გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ, საჭიროა გამომუშავებული და განხილულ იქნეს განაწესის (ნაკაზის) პროექტი, რომელიც უნდა ეხებოდეს საბჭოს მოღვაწეობის ყოველ დარგს. ეს პროექტი უნდა იქნეს სინამდვილის გამომხატველი და არა ისეთი, რომლის შესრულება და განხორციელება შეუძლებელი იქნება.

გლეხკომების შემდეგი ამოცანა მიმდინარე არჩევნებში მდგომარეობს იმაში, რომ მათ აქტიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ საბჭოთა ხელისუფლებას, რათა საბჭოებში არ გაძვრნენ მავნე, ბოროტი და ანტისაბჭოთა ელემენტები, როგორიც არიან შეძლებული და ბობოლა გლეხები (კულაკები), ვაჭრები, მღვდლები, ყოფილი პოლიციელები და მათი დამქაშები. ამ ამოცანის საუკეთესო გატარება გლეხკომებს შეუძლიათ **არა ადმინისტრატიული და რეპრესიული ზომებით, არამედ ღარიბი და საშუალო გლეხების შეკავშირებით და დარაზმვით.** წინასწარ საარჩევნო კრებაზე შედგენილ უნდა იქნეს საბჭოში ასარჩევ კანდიდატების სია. ამ სიის განხილვაში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ გლეხკომის ყველა წევრებმა. სასურველია, რომ თვითეული კანდიდატი ცალ-ცალკე იქნეს დახასიათებული. დასახელებული კანდიდატი შეიძლება იყოს როგორც პარტიული, ისე უპარტიო. საბჭოში წამოყენებული პირები უნდა სარგებლობდენ სრული ნდობით და პატივისცემით გლეხთა ფართე მასების თვალში.

გლეხკომებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ, რომ საბჭოების არჩევნებში არ მოხდეს ულარიბეს და საშუალო გლეხების დაპირისპირება. კანდიდატების დასახელებაში გლეხების ეს ორი ნაწილი ერთმანეთს უნდა შეუთანხმდენ. ამ საქმეში გლეხკომებს მართლაც, რომ დიდი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული. მოსალოდნელია, რომ კულაკებმა ფარულად მიიმხრონ შეუგნებელი ღარიბი გლეხობის ნაწილი და თავის ინტერესების მიხედვით გამოიყენონ ისინი საბჭოთა არჩევნებში. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ **მენშევიკები და სხვა ანტისაბჭოთა პარტიები** მოგვევლინონ უპარტიოთა **ნიღაბს ქვეშ** და მოინდომონ საბჭოში გაძვრენა. ორივე შემთხვევაში გლეხკომებს მართებთ სიფხიზლე—მათ უნდა გამოააშკარავონ ასეთი შემთხვევები და ამხილონ აშკარა თუ ფარულ მოწინააღმდეგეთა შავი ზრახვები.

მორიგი ამოცანა, რომელიც სდგას გლეხკომების წინაშე მომავალ არჩევნებში არის ულარიბეს გლეხების აქტივობის ზრდისათვის ხელის შეწყობა. წარსულ არჩევნებში კულაკობა გაცილებით მეტს აქტივობას იჩენდა, ვიდრე ულარიბესი გლეხობა. მიმდინარე არჩევნებში ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რომ სოფლის ულარიბესი გლეხობა პირველ რიგში იდგეს აქტივობის მხრივ. გლეხკომებმა უნდა ჩაატარონ ფართე სააგიტაციო კამპანია თავის ულარიბეს წევრთა შორის, საბჭოთა არჩევნებში უახლოესი და ცხოველი მონაწილეობის მიღების შესახებ. არც ერთი ულარიბესი გლეხი არ უნდა დააკლდეს საარჩევნო კრებას, თვითეულმა მათგანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს წამოყენებულ კანდიდატების დახასიათებაში, საანგარიშო მოხსენების განხილვაში, განაწესის გამომუშავებაში და სხვა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საბჭოთა არჩევნების წარმატებით ჩატარება.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე საბჭოთა არჩევნების წინასწარ კრებებზე ცალკე მოხსენების მოსმენა გლეხკომების მუშაობის შესახებ. საჭიროა, რომ წინასწარ კრებებზე, სადაც მოხსენებას აკეთებს საბჭოს ან აღმასკომის წარმომადგენელი, გამოვიდეს აგრეთვე დამოუკიდებელი მოხსენებით გლეხკომის წარმომადგენელიც. თუ ეს რაიმე მიზეზით მოუხერხებელია, მაშინ გლეხკომის პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს ზომები, რომ საბჭოს ან აღმასკომის წარმომადგენელმა თავის მოხსენებაში შეიტანოს საკითხი გლეხკომის მოღვაწეობის შესახებაც.

დასასრულ გლეხკომებმა ერთი წუთითაც კი არ უნდა დაივიწყონ ის გარემოება, რომ ისინი არიან საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე და ხელის შემწყობი ორგანიზაციები. მათ არამც და არამც არ უნდა დაუპირისპირონ თავიანთი მოქმედება საბჭოებისა და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას. თვითეული ნაბიჯი, საბჭოთა არჩევნების დროს მათ მიერ გადადგმული უნდა შეთანხმებული იქნეს სათანადო პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან.

პარტია და ხელისუფლება გლეხკომებზე დიდ იმედებს ამყარებს. არჩევნების წარმატებით ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მომზადებულად შეხვდებიან გლეხკომები ამ არჩევნებს. საჭიროა დიდი დაკვირვების და წინდახედულობის გამოჩენა. გლეხკომებში მომუშავე ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მთელი ყურადღება საბჭოების ხელ-ახალ არჩევნებს უნდა მიაპყრონ, ეს არჩევნები ერთგვარი პოლიტიკური გამოცდაა გლეხკომებისათვის. ვნახოთ დაიჭერენ თუ არა ისინი ამ გამოცდას, გაამართლებენ თუ არა იმ იმედებს, რომელსაც ვამყარებთ მათზე.

კ. ხომერიკი.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

საბჭოთა არჩევნების მსვლელობის შესახებ ლაპარაკი ჯერ შეიძლება მხოლოთ გარეგნული გადახედვით, ვინაიდან ციფრობრივი მასალები ამჟამათ არა გვაქვს ხელთ.

დღემდის მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებდა, თვით არჩევნები ეს არის დაიწყო და სათანადო ცნობები არჩევნებზე ჯერ არ მოსულა ცენტრამდის.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ის ზოგადი ცნობები, რომლებიც არიან ჩვენ განკარგულებაში, ცხადათ ღაღადებენ, რომ წლევანდელი არჩევნები დიდათ განსხვავდებიან გასული წლების არჩევნებისგან.

წელს ბევრათ უფრო შეგნებით, გარკვევით და ინტერესებით ებმება მშრომელი მოსახლეობა თავის მოქალაქეობრივი ვალდებულების ასრულების საქმეში.

როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობა თანდათან გაერკვა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურაში, შეითვისა ის და ეხლა ნაკლებათ აქვს ადგილი ისეთ გაუგებრობას, რასაც ჰქონდა წინეთ. ყველა ბუნდოვან საკითხებზე თავის დროზე იქნა მიცემული ადგილებზე სათანადო ახსნა-განმარტებები ცაკისა და ცენტრალურ საამრჩევლო კომისიის მიერ.

წელს აგრეთვე დროულათ იქნენ ჩამოყალიბებული ადგილობრივი საარჩევნო კომისიები და უბნები. შეკრებილი იქნა ცნობები საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა შესახებ. მათთაც, ვინც მოკლებული იყო ამ უფლებას წინა წლებში და შემდეგ მდგომარეობის მიხედვით აღდგენილი უნდა ყოფილიყვნენ, მიიღეს სათანადო ზომები, რათა არ დარჩენილიყვნენ არჩევნების გარეშე.

წინასწარი საარჩევნო კამპანია,—კრებები, მოხსენებები საბჭოების წარსული მუშაობის შესახებ,—ყოველგან დიდი გაცხოველებით იქნა ჩატარებული. მხოლოთ ზოგან ცუდმა ამინდმა იქონია დამაბრკოლებელი გავლენა.

ღარიბ გლეხკაცობის შეკავშირება და მათი დარაზმვა სოფლის ბობოლების წინააღმდეგ უსათუოდ დიდ როლს ითამაშებს ამ არჩევნების დროს. წელს აღარა აქვს ადგილი იმ არასასურველ მოვლენას, როდესაც საბჭოთა არჩევნებში აქტიობას იჩენდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც ეს უფლება არც კი ჰქონდა კონსტიტუციით მინიჭებული და პასიური რჩებოდა უფრო ღარიბი და ნაკლებათ განვითარებული მშრომელი ხალხი,—მოჯამაგირეები, მწყემსები და სხვა.

არჩევნებზე მოსაწვევი პირადი უწყებები საკმაო რიცხვით იქნა დაბეჭდილი ცენტრში და თავის დროზე დაეგზავნა ადგილებს. ამასაც დიდი გავლენა ექნება მოსახლეობის არჩევნებში აქტიურ მონაწილეობის მიღებაზე. [illegible] ყოველ სოფლის მოსახლეობას ეცოდინება დრო და ადგილი, სადაც უნდა გამოცხადდეს მოქალაქეობრივ უფლების განსახორციელებლათ.

წელს აღარც ისინი შეიწუხებენ თავს, ვინც მოკლებული არის ამ უფლებას, რადგან წინდაწინ ეცოდინებათ, რომ ზედმეტია მათი დასწრება იქ, სადაც არავინ ეპატიჟება!

განსაკუთრებით ყურადღება აქვს წელს მიქცეული ამომრჩევლების და არჩეულთა ყოველმხრივ აღრიცხვას და მათი სოციალური მდგომარეობის გამორკვევას. ამ მიზნით ცენტრში დაბეჭდილი და დაგზავნილი იქნა ადგილებზე სათანადო ცხრილები.

საარჩევნო კომისიებში ადგილობრივი ორგანიზაციების და საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენლების შეყვანით არჩევნების საქმეში ჩაბმული არიან ფართეთ ყველა ეს ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც, მიღებულ ცნობების თანახმა, დიდ აქტიობას იჩენენ.

ამნაირათ, საბჭოთა ხელისუფლების მეექვსე წლის თავს ჩვენ ვეგებებით საქართველოში არჩევნების გაცხოველებულ მსვლელობით, რომლის დროსაც მშრომელი მოსახლეობა იჩენს დიდ პოლიტიკურ სიმწიფეს.

მიმდინარე არჩევნების მწყობრათ და შეგნებულათ ჩატარება ერთხელ კიდევ ჩასცემს ლახვარს გულში საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგულთ.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ს. თოდრია.

„ჩვენ არჩევნების დროს უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს არის ნამდვილი საბჭოთა დემოკრატია, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ არჩევნებში მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ მშრომელმა მასებმა".

მ. კალინინი.

წერილები ადგილებიდან

საქმე დაყოვნებას არ ითმენს

(წერილი ზემო სვანეთიდან)

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჩვენს მაზრაში გაიხსნა 22 დაბალი საფეხურის და ერთი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. დაარსდა სალიკვიდაციო სკოლები და სამკითხველოები. პირველ ხანებში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ 1926 წლის დასაწყისშივე, მაზრის ფინანსიური ხელმოკლეობის გამო ყველა თემებში დაიხურა ქოხ-სამკითხველოები და სალიკვიდაციო სკოლები.

ამჟამად მთელ მაზრაში არ არსებობს არც ერთი ქოხ-სამკითხველო. რაც შეეხება ოთხწლიან შრომის სკოლებს, არც აქაა სახარბიელო მდგომარეობა. როგორც აღვნიშნეთ, 22 ოთხწლიანი შრომის სკოლა არსებობს 40 მასწავლებლით. სკოლებში მოწაფეთა რიცხვი დიდია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ 40 მასწ. ვერ ყოფნის 22 სკოლას, ზოგიერთ სკოლებში მასწავლებელს უხდება მეცადინეობა ოთხ ჯგუფთან, რაც ძალიან აფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას. ამავე დროს, მასწავლებელთა მდგომარეობაც ცუდია, მათ ეძლევათ თვიურ ხელფასად მხოლოდ 40 მან. ლაპარაკი იყო ჯამაგირის გაორმაგებაზე, მაგრამ სინამდვილეში მასწავლებლობა ვერ ეღირსა ამას. ჯამაგირებსაც ვერ ღებულობენ თავის დროზე, ხანდახან 4—5 თვე აგვიანდება უგზოობის გამო, რაც უმწეო მდგომარეობაში აყენებს მათ.

ამას დაუმატოთ სასწავლო ნივთების ნაკლებობაც. მაგალითად, იმ სკოლას, რომელსაც 100 მოწაფე ჰყავს, შეხვდა მხოლოდ 30 ცალი კალამი და ამის შეფარდებით რვეულები, წიგნები და სხვა. ეს არის მთელი წლის მასალა და მოწაფეებიც ვერ ეღირსებიან მეტს. ახლა გზები თითქმის შეკრულია დიდი თოვლის გამო, და წიგნის მაღაზიები ზემო-სვანეთში არ არსებობს; რომ შეიძლებოდეს იქ ყიდვა.

დიდს ვერაფერს გააკეთებს ზემო-სვანეთის მასწავლებლობა ასეთ პირობებში.

ორიოდე სიტყვა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ, რომელიც დაარსდა 1925—26 სამოსწავლო წლის დასაწყისში, სოფელ ბეჩოში. აქ მდგომარეობა სულ სხვანაირია. სკოლა მოწყობილია მშვენიერად ყოველმხრივ, მას არ აკლია არც სასწავლო ნივთები, არც გასართობები—ნარდიდან დაწყებული და ფიზჰარმონიით დამთავრებული. გასულ სამოსწავლო წელს სკოლაში არსებობდა მხოლოდ ერთი ჯგუფი ოცი მოწაფით, აქედან სისტემატიურად ესწრებოდა 16 მოწაფე. ამ 16 მოწაფეს ჰყავდა. ერთი გამგე, 2 მასწავლებელი და ორიც ხელოსნობის მასწავლებელი სულ ხუთი. გამგეს პირველ ხანებში ეძლეოდა 300 მან. თვიური ხელფასი, მასწავლებლებს 200 მან. (ორ ხელოსნობის მასწავლებლებს ნაკლები ეძლეოდა) ასე რომ ამ 16 მოწაფეზე დაიხარჯა დაახლოვებით 10.000 მანეთი ერთი წლის განმავლობაში.

მიმდინარე წელში სკოლას მოემატა მეორე ჯგუფი და მომატებული იქნა ერთი მასწავლებელი. ამჟამად მოწაფეთა რიცხვი 1 და 2 ჯგუფში უდრის 46-ს. მასწავლებლები კი არის 6-ი. მათი ხელფასი ასეთია: გამგეს 200 მან., სამ მასწავლებელზე 150 მან. თითოს, თვიური ხელფასი და ორს 50 მან. თითოზე.

როგორც ზევით გვაქვს ნათქვამი, ხშირი შემთხვევა, რომ ოთხ ჯგუფთან, სადაც 60—70 მოწაფეა, უხდება მეცადინეობა ერთ მასწავლებელს და მისი ხელფასი უდრის 40 მან. თვეში. იმასაც ვერ ღებულობს თავის დროზე. იმავე ზემო-სვანეთში, ბეჩოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში 46 მოწაფესთან მეცადინეობს 6 მასწავლებელი, და მათი თვიური ხელფასი არის 200 გამგ. და 150 მანეთი. ამასაც არ სჯერდება ამ სკოლის გამგე შ. მახარაძე, ბეჩოს ოთხწლიან შრომის სკოლის შენობას აღებს მორგებული კლიტით, ნებადაურთველად დაილაცებს იქიდან სკოლის ინვენტარს თავის სკოლისათვის.

მართალია გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული, ამის შესახებ ხაზგასმითაა ნათქვამი ახ. სოც. ორგანიზაციების სრულიად რუსეთის მეექვსე ყრილობაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარტო ასეთ სკოლებს მიექცეს ყურადღება და დაბალი საფეხურის სკოლები განადგურდეს, თუ დაბალი სკოლები არ იქნა, ვერც მაღალი ტიპის სკოლები გვექნება. საჭიროა საბჭოთა არჩევნების დროს ამ საკითხს დიდი ყურადღება მიექცეს და გამოსწორებული იქნას ეს ნაკლი. თუ ერთ სკოლას, სადაც ორი ჯგუფია 46 მოწაფით, ამდენი ყურადღება ექცევა, 6 მასწავლებელი ჰყავს. არ უნდა დავივიწყოთ არც მეორე ტიპის სკოლა, სადაც 60 მოწაფეა 4 ჯგუფით და ამ უკანასკნელს 2 მასწავლებელი მაინც მიეცეს. ამნაირად მესამედი—მეოთხედი ყურადღება მაინც მიექცეს ოთხწლიან შრომის სკოლებს ზემო-სვანეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში 22 სკოლა 1.320 მოწაფით, განადგურების გზას ადგია. მიმდინარე არჩევნების დროს ეს საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა დაისვას ბეჩოში. ბეჩოს ახალმა საბჭომ აქ მეტი ფხიანობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინოს.

მოძმე.

კამპანია კამპანიაში

(ს. დარჩელი, ზუგდ. მ.).

22 იანვარს დარჩელში დანიშნული იყო საარჩევნო კრება. მაგრამ, როგორც ეს აქ ხშირად იცის, ამ დღეს ამინდმა გვიმტყუნა: განუწყვეტელი წვიმა მოვიდა და სიცივემაც მაგრათ მოგვიჭირა. აღმასკომის თავმჯდომარე და კომუჯრედის მდივანი, რომ მოწვეული არ ყოფილიყვნენ, ადგნენ და სხვა სოფელში გაემართნენ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ.

არ ვიცით იქ ეს კამპანია, როგორ ჩაატარეს, მაგრამ სალამოზე რომ ისინი ნაკამპანიევი ჩამოვიდნენ, ეს კი უდაო ფაქტია. უჯრედის მდივანმა გეგეჭკორმა, იმის ნიშნად რომ კამპანია საუცხოოდ ჩაატარა, ამოიღო რევოლვერი და იქაურობა დააქუხა სროლით. აღმასკომის თავმჯდომარე ხუჭინია კი ამ საარჩევნო „კამპანიის" შემდეგ ისეთ მხიარულ გუნებაზე იყო, რომ სულ ცერებზე დახტოდა.

იმ დღეს აქ წარმოდგენა უნდა წასულიყო. ნაკამპანიევი ძმა ბიჭები გამოცხადდენ დაბაზში. აღმასკომის თავმჯდომარე ბარბაც-ბარბაცით გამოვიდა და მოითხოვა, გინდათ არ გინდათ, ჩემი საანგარიშო მოხსენება მოისმინეთო. მაგრამ იმდენათ მთვრალი იყო, რომ ენა აღარ ამოჩრჩილებოდა და აბა რა მოხსენება უნდა გაეკეთებინა მას.

თავმჯდომარეს მდივანი წამოეშველა. მაგრამ, ვაი, ასეთ წამოშველებას. სცოდნა ისევ თავმჯდომარესთვის ეცლია. დაიწყო ლაყლაყი, რას მიედ-მოედებოდა, ალახმა უწყის, მოჰყვა ღობე ყორეს და იმდენათ მოაბეზრა თავი კრებას. რომ ამ სირცხვილს მთვრალმა თავმჯდომარემაც კი ველარ გაუძლო და სადღაც ჩუმად გაიპარა.

ასე მშვენივრათ ჩაატარეს „კამპანია" ჩვენი თემის ხელმძღვანელ მუშაკებმა. შეიძლება სიფხიზლეში მათ ისევ მოითხოვონ კრების მოწვევა ანგარიშის ჩასაბარებლათ, მაგრამ რაღა დროს? ანგარიში უკვე ჩაბარებულია. 22 იანვარს მომხდარი აურ-ზაური, და მთვრალი მოხსენებლები, საუკეთესო მაჩვენებელი იყვნენ იმისა, თუ რა ხალხია მოკალათებული ჩვენს საბჭოში. ანგარიშის უკეთ ჩაბარება „ღმერთმა" შეარცხვინოს.

ზოგჯერ თურმე სტოლთან კამპანიაც სასარგებლო ყოფილა საარჩევნო კამპანიისათვის.

ახკომელი.

უვარგისი საბჭო

(გამოჩინებულის თ., ქუთ. მ.)

საბჭოს აღმასკომი და მისი სარევიზიო კომისია აკეთებენ სოფლებში მოხსენებებს ავიანი მუშაობის შესახებ. გამოირკვა შემდეგი: სკოლების შენობები უმწეო მდგომარეობაშია, ავეჯეულობა დამსხვრეულია, იატაკი დამტვრეულია, ბავშვები სიცივისაგან კანკალებენ. მინები ალაგ-ალაგ დალეწილია.

ამას გარდა სამკითხველოს არ ექცევა ყურადღება. გზების საკითხი ხომ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხათ გამხდარა ამ თემის ზოგიერთ სოფლისათვის. მაგ. ტოლების; ვაზი-უბნის და სხვებისათვის. ყოვლად შეუძლებელია ამ გზებზე გავლა. ამას გარდა თემში ადგილი ჰქონია ფართეთ მიწების ყიდვა-გაყიდვას, რაც ყოვლათ დაუშვებელია. თვით საბჭოს ზოგ წევრს უსახელებია თავი. აღმასკომს მიუღია ზოგის წინააღმდეგ ზომები, მაგრამ ზოგი კიდევ დარჩენილა „ხელუხლებელი".

კამათში გამოსული გლეხები თითქმის ყოველ სოფელში აღნიშნავდენ ყველა ამ ნაკლოვანებებს და მოითხოვდენ მომავალ საბჭოს წევრებათ ყოფილიყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მართლათ სპეტაკი მშრომელნი არიან და პატიოსანი ელემენტები. ალაგ-ალაგ გამოდიოდენ ზოგი საბჭოს წევრნი, რომლებიც თავს იმართლებდენ, მაგრამ ამაოთ. საჭიროა მომავალ არჩევნებში არ იქნას გაყვანილი ისეთი პირები, რომლებიც სისტემატიურათ არ ესწრებიან კრებებს, რომლებიც მიწის ყიდვა-გაყიდვას ეწეოდენ და სხვა.

ბოლოს აღსანიშნავია ერთი რამ, გამოჩინებულის თემი დიდი თემია თავის ტერიტორიით. მცხოვრებთა რიცხვით. აღმასკომს კი ჰყავს ერთი თავ-რე, ერთი მდივანი და ერთიც მილიციონერი. რაც ჩემის აზრით არა საკმაო, საჭიროა მაზრამ გაითვალისწ. ეს და მიემატოს თემალმასკომის აპარატს ერთი მილიციონერი და საქმის მწარმოებელი. ამას ყოველი სოფლის კრება აღნიშნავდა და ავალებდა მომავალ საბჭოს მიეღო ამისათვის სათანადო ზომები.

ხან-კანი.

ჩვენი სამზადისი

(ცაიშის კახათი, ზუგ. მ.)

საარჩევნო კომისიამ ჩვენი თემი დაჰყო 4 საარჩევნო უბნად. შეადგინა სია ხმის უფლების მქონეთა და არ მქონეთა. ამ უკანასკნელთა შორის 60 კაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დიდი რიცხვი ხმის უფლების არ მქონეთა გამოწვეულია განსაკუთრებით იმით, რომ ჩვენს თემის ერთ-ერთ უბანში გლეხობა აწარმოებს წვრილმან ხელზე ვაჭრობას. თემში ვაჭრების საგრძნობი რიცხვიცაა.

17 იანვარს კომუჯრედის თაოსნობით და კომკავშირის უჯრედის დახმარებით მოწვეული იქნა ღარიბი გლეხობის, საშუალო გლეხობის აქტივის და მშრომელი ინტელიგენციის კრება. კრებაზე მოისმინეს მოხსენება ამხ. ჯინჯოლიასი სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ, რომელიც კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. შემდეგ მოსმენილი იქნა თემაღმასკომის ანგარიში, ესეც კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად. მოხსენების შემდეგ წარდგენილი იქნა კომუჯრედის და კომკავშირის უჯრედის განაწესი, მეორე განაწესი შემოიტანა ერთმა ღარიბმა გლეხმა. კრებამ ორივე განაწესი გააერთიანა და ისე მიიღო.

მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები და კამათი. შემდეგ გადასინჯული იქნა მომავალ საბჭოს კანდიდატთა სია, კომუჯრედის მიერ წარდგენილი, რომელიც კრებამ ორი პიროვნების შეცვლით მიიღო.

19 იანვარს მოხდა საზოგადო კრება, სადაც მოსმენილი იქნა თემ ალმასკომის ანგარიში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადო კრება ყოფილა 4 ჯერ, გარჩეულა 15 საკითხი. საბჭოს კრება—18 ჯერ, გარჩეულა 91 საკითხი, ალმასკომის სხდომა—38 ჯერ, გარჩეულა 158 საკითხი. საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა ერთი ექვს თვალიანი შენობა, რომელიც დაეთმო გლეხურ ახალგაზრდობის სკოლას, გზები გაფართოებულია და მთავარ გზაზე ხრეშია მოყრილი, გადასახადი 91 პროც., აკრეფილია, გლეხკომში ჩაბმულია მოსახლეობის 89 პროც., კოოპერაციის წევრთა რიცხვი სანახევროდ გაიზარდა.

ახალი საბჭოს განაწესში სხვებთან ერთად შეტანილია სამკითხველოს, საფეხშლო პუნქტის გახსნა და ტელეფონის ხაზის გადმოყვანა.

ი. შამუგია.

„ნაბდიანებს" საბჭოში არ გაუშვებთ

(გურია)

გურია განაგრძობს გაცხოველებულ სამზადისს საბჭოთა არჩევნებისათვის.

გურიაში უკვე დასრულდა საარჩევნო სიების შედგენა და ხმის უფლება აღკვეთილ პირთა აღრიცხვა. უკანასკნელთა რიცხვი შედარებით გასულ წელთან, საგრძნობლად გაიზარდა. არის თემი, სადაც შარშან მხოლოდ 24 მოქალაქეს ჰქონდა აღკვეთილი საარჩევნო უფლება, წელს კი ეს რიცხვი ასზე მეტია.

აღსანიშნავია, როგორც საერთო მოვლენა, რომ ადგილებზე წრევანდელი საარჩევნო დებულება ყველგან კმაყოფილებას იწვევს.

განსაკუთრებულის სიფრთხილით მიმდინარეობს კანდიდატების შერჩევა ახალ საბჭოებისათვის.

კანდიდატთა სიების საბოლოო ჩამოყალიბება ხდება პარტიის ღია კრებებზე, რომლებსაც ესწრება ღარიბი გლეხობა, პროფკავშირის წევრები, საშუალო გლეხობის აქტივი და სხვა.

რადგან ასეთი კრებები თითქმის ყველგან დასრულებულია, ჩვენ შეგვიძლია უკვე ზოგიერთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. დასწრება ამ კრებებზე ღარიბების მიერ უნდა ჩავსთვალოთ დამაკმაყოფილებლად, თუმცა ზოგჯერ ცუდი ამინდების გამო, ნაკლებად მოსჩანან ქალები.

2. ღია კრებები საკმაო აქტივობას იჩენენ, გარკვეულად მოსჩანს ღარიბ გლეხობის მიერ თავის მოვალეობის გაგების სურათი. წინანდელ „სხვათა შემყურე მდგომარეობას" ნაკლები ადგილი აქვს. ღარიბი გლეხი ხედავს რა თავის გვერდით ისეთ მოკავშირეებს, როგორიცაა პარტია, პროფკავშირები და სხვ. წელში იმართება, თავს სხვანაირად გრძნობს.

„გვეყო, საზოგადო საქმე აქნობამდე ნაბდიან ხალხს (მხედველობაშია შეძლებული გლეხობა) ქონდა აღებულიო",—ოხუნჯობდა ერთ კრებაზე ღარიბი გლეხი.

5 თებერვლიდან დაიწყება ჩვენში საბჭოთა გადარჩევა. წინასწარი სამზადისის მიმდინარეობა საკმაო გარანტიას იძლევა იმის, რომ არჩევნებს წარმატებით ჩავატარებთ.

მეგობარი.

ვემზადებით არჩევნებისთვის

(სოფ. ბოხლევი, შორაპ. მ.)

საარჩევნო სამზადისი ჩვენს თემში დიდი ხანია რაც დაიწყო. არჩეულია საარჩევნო კომისია, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს თემის სხვადასხვა კუთხეებში მოწვეულ კრებებს და ამზადებს მოსახლეობას მომავალი არჩევნებისათვის. ამომრჩეველთა სიები დამზადებულია.

28 იანვარს მოხდა თემის მცხოვრებთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება თემალმასკომის მუშაობის შესახებ, 2. მოხსენება საექიმო პუნქტის გამგის ექიმ როზოვისა: „გრიპის მოსალოდნელი გავრცელება და მასთან ბრძოლა", 3. საარჩევნო ინსტრუქციების გაცნობა და მიმდინარე კითხვები.

პირველი კითხვის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ბიქტორ ჭუმბურიძე, მან ვრცლად აღნუსხა ალმასკომის საქმიანობა და აგრეთვე მომავალი მუშაობის გეგმა. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ის იწონებს თემალმასკომის მუშაობას.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექიმ როზოვის მოხსენება. მან მოკლეთ აუხსნა ხალხს გრიპის ანუ „ისპანკის" ისტორია, ბუნება და მასთან ბრძოლის საშუალებანი. გლეხობა კმაყოფილი დარჩა ამ მოხსენებით. დაბოლოს წაკითხულ იქნა საარჩევნო ინსტრუქციები, რის შემდეგ კრება დაიშალა.

აია.

კულაკები გარიყულია

(თერჯოლა, შორაპნ. მ.).

თერჯოლის თემი დაყოფილია 9 საარჩევნო უბნად. ყველა უბნებში ჩატარებულ იქნა ღარიბ გლეხთა საზოგადო კრებები. გაკეთდა მოხსე-ბი. თემ-საბჭოს და ალმასკომის ერთი წლის მუშაობის შესახებ და მიეცა დავალებები მომავალ მუშაობისათვის საბჭოს, რომელიც აირჩევა მომავალში.

გაკრულია სიები უფლება წართმეულ მოქალაქეთა 116 კაცის რაოდენობით. ხმა წართმეული აქვთ თანახმად ინსტრუქციისა მღვდლებს, დიაკვნებს, ვაჭრებს, კულაკებს, მათ ცოლებს და შვილებსაც, თუ მათ კმაყოფაზე არიან. მაზრიდან მოგზავნილი ამხანაგი ესწრება უბნებში მოხსენებებს და აგრეთვე თითონაც აკეთებს ასეთებს.

ცენტრიდან გვინახულა შინსახკომის წარმომადგენელმა და დაესწრო ერთ უბანში აქტივთა კრებას. საარჩევნო კომისიას დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივი სოფლის მშრომელი ინტელიგენცია როგორც მასწავლებლობა, ისე სხვები.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ საბჭოში გაყვანილ იქნება ულარიბესი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი, მოჯამაგირეები, წითელარმიელი, გლეხი ქალები და მშრომელი ინტელიგენცია.

ყველა ესენი შეერთებული ძალით გამოდიან არჩ-ბში კულაკური ელემენტების და საბჭოთა ხელისუფლების მავნე პირების წინააღმდეგ.

ვალ—ია.

ღარიბ-საშუალო გლეხობა კულაკების წინააღმდეგ

(სენაკის მაზრა)

საბჭოთა არჩევნების სამზადისი მთავრდება. მაზრის ყველა თემებში უკვე დასრულდა ამომრჩეველთა სიების შედგენა. დასრულდა აგრეთვე იმ მოქალაქეთა სიების შედგენა, რომელთაც არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთი სიები უკვე გამოქვეყნებულია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის არჩევნებმა დარაზმა ღარიბი და საშუალო გლეხობა კულაკურ, ვაჭრულ და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების წინააღმდეგ.

კულაკებისათვის, ვაჭრებისათვის და საბჭოთა წყობილების გაუსწორებელი ელემენტებისათვის არჩევნების უფლების მოსპობამ აშკარათ დაანახვა ჩვენს ღარიბ და საშუალო გლეხ., რომ საბჭოთა წყობილება მათი ჭეშმარიტი დამცველია. აი მაგალითიც: ამას წინეთ ერთ-ერთ სოფელში გახლდით. ჩემს ახლო გლეხების ჯგუფმა თავი მოიყარა. ჩამოვაგდეთ ლაპარაკი არჩევნებზე. შევეხეთ არჩევნების უფლების საკითხს. ერთ-ერთმა დაძინძულ ტანისამოსიანმა გლეხმა ქუდი გადაიძრო (ძველი ჩვეულებაა, კიდევ არ დავიწყებია) და სთქვა: „წინეთ კულაკები, ვაჭრები და თავად-აზნაურები იყვნენ „კაცებში", მამასახლისის არჩევნებს მათ კითხავდენ და არა ჩვენ, ღარიბ ლატაკებს, ეხლა კაცები ჩვენ ვართ, ღარიბებს გვეკითხებიან და გვაკეთებინებენ სახელმწიფო საქმეს, ამიტომ არის მოსაწონი საბჭოთა ხელისუფლებაო". მოძმე გლეხობამ [illegible] დაუმოწმეს და ეს მართალიც იყო. უკვე ჩვენი საარჩევნო სისტემა თვალს უხელს ყველას და არწმუნებს საბჭოთა წყობილების უპირატესობაში სხვა წყობილების წინაშე მშრომელი ხალხისათვის.

ამ თავითვე შეიძლება ითქვას: არც კულაკი, არც ერთი ვაჭარი, და საბჭოთა წყობილების შეურიგებელი მტერი არ გაჰყავს საბჭოში. დარაზმული ბრძოლა ღარიბ და საშუალო გლეხებისა კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ—ამას ნათლად ამტკიცებს.

ბ. უჩანეიშვილი.

წინასწარი სამზადისი მოვათავეთ

(თიანეთი)

არჩევნების მოსამზადებლად თიანეთში ჩამოვიდა თბილისის ალმასკომიდან ამხ. ადიკაშვილი, რომელმაც გააცნო საბჭოს კრებას არჩევნების სისტემა და მოუწოდა ყველას, რომ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა ამ არჩევნებში. მისი თანდასწრებით გამოყოფილი იქნა საარჩევნო კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით; თემალმასკომის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. საარჩევნო კომისია ჩამოყალიბდა შემდეგნაირათ: ორი წარმომადგენელი სოფლის საბჭოდან, ერთი ქალთა ორგანიზაციიდან, ერთი კომკავშირიდან და 2 გლეხკომიდან. კომისიას ჩამოსულმა ამხ. ადიკაშვილმა თან დაუტოვა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელნა მას არჩევნებში.

საარჩევნო კომისიამ წაართვა საარჩევნო ხმის უფლება მთელს თემში ას თორმეტ კაცს. უნდა ითქვას, რომ ხმის წართმევის დროს ჰქონდა ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი [illegible] კერძო ინტერესებით, მიდგომას, მაგრამ ეს თანდათანობით გამოაშკარავდა, ვინაიდან ამას მიაქცია ყურადღება პარტორგანიზაციამ. განცხადებები საარჩევნო ხმის დაბრუნების შესახებ ადგილობრივ კომისიის გადაშინჯვის შემდეგ გადაეგზავნა სამაზრო საარჩევნო კომისიას დასკვნისათვის.

არჩევნების დროსათვის მთელი თიანეთის თემი დანაწილდა ოთხ პუნქტათ. იანვრის სხვადასხვა რიცხვებში არჩევნების ჩასატარებლად; არჩევნები პირველ პუნქტში (დულუზაურში) იქნება 26-ში, ახალსოფელში—27-ში, ფშოტაში—28-ში და თიანეთში 29-ში.

თვითეულ პუნქტზე წინ და წინ პარტორგანიზაციის მიერ მიმაგრებული იყვნენ მოუზადებული ამხანაგები, რომლებსაც უნდა გაეცნოთ ხალხისათვის არჩევნების მნიშვნელობა და სისტემა. თიანეთის თემში ხალხი არჩევნებისათვის შესაფერისათ მომზადებულია, მაგ. ის კრიტიკულად აფასებს წამოყენებულ კანდიდატებს. როდესაც 22 იანვარს პარტორგანიზაციამ წარმოადგინა კრებაზე საბჭოს კანდიდატები, ხალხმა მოითხოვა სიიდან ზოგიერთების გამორიცხვა და მათ ადგილას სხვების ჩამატება.

ტექნიკური მუშაობა არჩევისა თითქმის მოთავებულია. საარჩევნო უწყებები რიგდება სოფლებში, სიები ადგილობრივ შედგენილია.

იუსტინეშვილი.

„ჩვენ საბჭოებში ქალებმა უნდა დაიჭირონ ის ადგილი, რომელიც მათ უთუოდ ეკუთვნით".

ფ. მახარაძე.

ამომრჩეველთა აქტივობა გაიზარდა

(სართიჭალა, თბილ. მაზ.)

სართიჭალის თემში თითქმის დამთავრდა წინასწარი მომზადება არჩევნებისათვის. მშრომელი გლეხობა დიდი ხალისით ეკიდება ძველი საბჭოს წევრების სიის განხილვას.

აღსანიშნავია ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი. გლეხობა აშკარად გამოდის იმ კანდიდატის წინააღმდეგ, რომელიც ვერ შესძლებს მუშაობას საბჭოში. ულარიბესი გლეხობის თათბირები დიდ აქტივობას იჩენენ. ისინი მოითხოვენ, რათა საბჭოში გაყვანილი იყვნენ ისეთები, რომლებიც საქმისადმი გულშემატკივარნი არიან. საბჭოების საანგარიშო მოხსენებიდან ირკვევა, რომ სექციები ვერ ასრულებდენ თავის დანიშნულებას მაგალითად მოისუსტებს ალმშენებლობითი და სანიტარული სექციები.

ვინაიდან ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა გლეხობის აქტივობა—საერთო საქმისადმი, უნდა ვიყოთ სავსებით დარწმუნებული, რომ წელს არ მოყვებიან საბჭოს წევრად ისეთები, რომლებიც მხოლოდ ლამაზ სიტყვებს ისვრიან და საქმით კი არაფერს აკეთებენ.

ხმის უფლება ჩამორთმეულების სია უკვე გაკრულია სათანადო ადგილზე. კულაკურად განწყობილ გლეხობის მანიფესტაციებს ადგილი არ აქვს ჩვენს თემში.

საბჭოს არჩევნები სართიჭალის თემში დაიწყება 6 თებერვალს. კომისიის წევრებს მუშაობა დანაწილებული აქვთ.

ა. დ. მათხოჯელი.

მშრომელი გლეხობა აქტივობას იჩენს

(საჭამიასერი, ოზ. გურია)

საბჭოთა არჩევნების წინასწარ სამზადისს დიდი ხანია შეუდექით. არჩეულია საარჩევნო კომისია, რომელიც ენერგიულად მუშაობს.

მოხსენებები საბჭოს მუშაობის შესახებ ჩატარებულია ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის კრებებზე. გლეხობა როგორც მამაკაცები, ისე ქალები, მხურვალე, ცხოველ მონაწილეობას ღებულობენ წრევანდელ საბჭოების გადარჩევის სამზადისში. აკრიტიკებენ წარსული წლის საბჭოს მუშაობას და შეაქვთ მრავალი შესწორებები და მითითებები. გამომუშავებულია საბჭოს დეპუტატების სიები არჩევნებისათვის და თვალსაჩინო ალაგზეა გამოკრული.

ვინაიდან ჩვენი რაიონი არ წარმოადგენს ეკონომიურად მძლავრ რაიონს, ხმა წაერთვა მხოლოდ 34 კაცს. მათი გასაჩივრების შემდეგ რამოდენიმეს დაუბრუნეს ხმის მიცემის უფლება. ზოგი საარჩევნო უფლება წართმეულთაგანი არ ისვენებს. ცდილობს სახელი გაუტეხოს საბჭოების გადარჩევას და ისინი ყოველგვარ ოინებს მიმართავენ. მაგრამ გლეხობამ უკვე იცის ვის საქმეს აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება და მტრების გამოსროლილ ანკესზე არავინ წამოეგება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ წრევანდელ საბჭოების გადარჩევაში გლეხობა შარშანდელთან შედარებით უფრო მეტ აქტივობას იჩენს და ეჭვი არ არის, რომ არჩევნები ჩინებულად ჩატარდება.

საჭამიასერელი.

კულაკებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

(ნიგოითის თემი, გურია)

ნიგოითის თემის საარჩევნო კომისიამ უკვე გამოაკრა სია იმ პირთა, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ, ასეთები არიან: წვრილი ვაჭრები, მევახშეები, ყოფილი მემამულეები და ჯაშუშები, რომელთა რიცხვი ნიგოითის თემში 67-ია.

კვირას, 23 იანვარს, შესდგა ნიგოითის თემის კომპარტიის კომკავშირელების, პროფკავშირების, ქალთა დელეგატების, ღარიბ და საშუალო გლეხობის გაერთიანებული კრება. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა გურკომის პ.-მდივანი ამხ. კ. გურგენიძე. შემდეგ შემუშავებულ იქნა მომავალ საბჭოს წევრთა საკანდიდატო სია. ორმა-სამმა პირმა მოინდომა თავისი რეაქციონური სული შეეტანა კრებაში და ამას ისინი სხვადასხვა რევოლიუციონური ფრაზებით ამართლებდენ, მაგრამ კრება მათ ფანდებს არ აყვა და უპასუხისმგებლო ელემენტებმაც ყურები ჩამოყარეს.

კრებამ შედგენილი სია ერთხმად საყოველთაოდ სცნო და დიდი კმაყოფილებით დაიშალა, ეტყობოდა, რომ ნიგოითის თემის კომიტეტს საარჩევნო სამზადისი სასურველად ჩაუტარებია.

ნიგოითის თემი დაყოფილია ორ საარჩევნო უბნად. ამ დღეებში თემის აღმასკომის თავმჯდომარე მოახდენს სოფლად კრებებს გასული მუშაობის შეფასების ჩასატარებლად.

უპარტიო.

ჩემი შეკითხვა აკეთის აღმასკომს

(ს. აკეთი, გურია)

ვინ არ იცნობს ს. აკეთში ყოფილ მემამულეს და აზნაურ ბიქტორ მგელაძეს უწინ მის საშემოსავლო წყაროს წარმოადგენდა მიწის ლალა და თვითონ კი ცხოვრობდა უშრომლად ფუფუნებით; მაგრამ დახე ბედს! გასაბჭოებამ შეუცვალა მას ფერი. მიწები ჩამოართვეს, რომელიც გადასცეს ღარიბ გლეხობას.

ასე, რომ შემოეცალა საშემოსავლო წყარო და ამ ბოლო ხანებში ხელი მიჰყო მიწების გაყიდვას. გასულ წელს მან რამოდენიმე ქცევა მიწა მიჰყიდა 300 მანეთად აკანის თემის მცხოვრებს ბიქტორ ივლიანეს-ძე თედორაძეს. ეს მდგომარეობა არ გამოეპარა აღმასკომის თავმჯდომარეს. ოქტომბრის რიცხვებში დაიბარეს კიდეც სამმართველოში მყიდველ გამყიდველი, მაგრამ მოხერხებული სიტყვით ორთავემ თავი დააღწია პასუხისგებას. უნდა ითქვას, რომ მას კიდევ ბევრი მიწები აქვს და მოსალოდნელია კიდევ გაყიდოს.

სანამ უნდა აუხვიოს თვალები ამ გაიძვერამ ხელისუფლებას, ან რას უყურებს ადგილობრივი აღმასკომი?

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, მე საჭიროდ მიმაჩნია შევეკითხო ჩვენს აღმასკომს, რა ზომებს იღებს ის მიწების მყიდველ-გამყიდველთა წინააღმდეგ?

ლახვარი.

მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას

(ს. ქვემო მაჩხაანი)

აქ მოწვეული იქნა მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენებას აკეთებს სიღნაღიდან ჩამოსული ამხანაგი ი. ფხეიძე. ამხანაგმა განმარტა საბჭოების და მათი არჩევნების მნიშვნელობა, მშრომელ ხალხის როლი არჩევნებში, არჩევნების ინსტრუქცია და სხვა. მომხსენებელმა სხვათაშორის ხაზი გაუსვა მასწავლებლობის და საერთოდ მშრომელ ინტელიგენციის მონაწილეობის მნიშვნელობას არჩევნებში.

მოხსენების დამთავრებისას კრების მონაწილენი იძლევიან შეკითხვებს, რომლებზედაც ღებულობენ სრულ ახსნა-განმარტებას. შეკითხვები იმდენად ბევრი იყო, რომ კრებამ გასტანა დაახლოებით ოთხი საათი. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ყოველი ძალ-ღონით შეუწყოს ხელი საბჭოს მუშაობის შემდგომ გამოცოცხლებას.

მდი—ნი.

ბნელი პირები ამოძრავდენ

(დიდი ჯიხაიში)

რაკი მოახლოვდა არჩევნები, მშრომელთა მტრები, როგორც ნამამასახლისარები, კულაკები ამოძრავდენ, დაიწყეს მზადება, რომ თვითონ გაძვრენ, ან თავისი კაცები გაიყვანონ საბჭოში.

ადგილობრივი ღარიბი გლეხკაცობა ფრთხილად უნდა იყოს და თავიდან მოიშოროს ეს ვაჟბატონები. თვალყური უნდა ადევნონ, რათა საბჭოში არ შეეპაროს არც ერთი ნაპოლიციელი, ნამღვდლარი, ყოფილი მოიჯარადრენი ან მსგავსი პირები. ღარიბ და საშუალო გლეხობამ უნდა გარიყოს ისინი გაერთიანებული ძალებით და საბჭოში გაიყვანოს მშრომელთა ერთგული მუშაკები.

ძველი მუშაკი.

საბჭოში კულაკები და დიაკვნის ცოლებია

(ზემოხეთის თ., გურია)

წასულ წელს საბჭოში მუშაობა მოისუსტებდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საბჭოში თავი მოიყარა კულაკებმა და დიაკვნის ცოლებმა. საბჭოს თითქმის არაფერი გაუკეთებია. შარშან არჩევნების დროს გლეხობას არ აცლიდენ, კულაკები თვითონ თავის თავს ირჩევდენ.

თემში საერთოთ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. არ არის გზები, რომლებიც წვიმისაგან ძლიერ გაფუჭებულია. „საბჭოში სხედან კულაკები და დიაკვნის ცოლებიო". ასე გაიძახის გლეხობა. ეს რომ ხელმეორეთ არ განმეორდეს, საჭიროა მეტი თვალის დაჭერა, საბჭოში უნდა გადიოდეს მშრომელი გლეხი და არა კულაკი.

თრკისპირელი.

ენერგიული აღმასკომი

(ქუთაისის მაზრა)

ჩვენი თემი ჩამორჩენილ თემად ითვლებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. უკანასკნელ წლებში კი აქ აშენდა სკოლები. გადიდდა მასწავლებლებთა რიცხვი. ჩამოყალიბდა ორი კოოპერატიული განყოფილება და სხვა. არსებობს გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი, რომელიც სანიმუშო გლეხკომათაა მიჩნეული მთელს მაზრაში. აღმასკომი აკეთებს საზოგადო გზებს, უკეთებს სკოლებს რემონტს, უძღვება თემში მიწათ-მოწყობის საქმეს და სხვა. მიმდინარე არჩევნების დროს გლეხები ალბად ღირსეულათ დააფასებენ აღმასკომის ამგვარ აქტივობას.

ი. დიოსანი.

მზათ ვართ არჩევნებისათვის

(კოჯრის თ., თბილ. მ.)

კოჯორის თემშიც ტარდება ახალ არჩევნების კამპანია. ყველა სოფლებში ეწყობა საარჩევნო კრებები. დამთავრდა ულარიბესი გლეხობის და პარტუჯრედის წარმომადგენლების გაერთიანებული კრებები, სადაც წინასწარ ასახელებენ საბჭოების კანდიდატებს ულარიბესი და საშუალო გლეხობიდან.

ეხლა კულაკი ვეღარ შეიპარება საბჭოში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კოჯორის თემიც წარმატებით ჩაატარებს არჩევნებს.

საერთო კრებები და თვით არჩევნები მოხდება 5 თებერვლიდან 10 თებერვლამდე.

აჭაური.

საჭირბოროტო გზა

(ნაკურალეშის თ., ლეჩხ. მ.)

სოფ. ცხუკუშერისთავში გაივლის სათემო გზა, სადაც არის გასავალი ღელე. გლეხს არ შეუძლია არას დროს აქ ხარ-ურემი მშრალად გაიყვანოს. ქვეითი კაცსაც გაუჭირდება დაუსველებლად გასვლა. ხშირად გვინახავს ტალახში ჩაყრილი მოწაფეებიც. ხშირი შემთხვევაა, რომ აქ ტალახში ურმები ეფლებათ და უტყდებათ. არა აქვს ამ გზას სხვა მიმართულებით შემოსავლელი, რომ სოფელი ასე არ დაიტანჯოს. ამიტომაა, რომ გლეხები დაჟინებით თხოულობენ გზის გაკეთებას, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. გასაკეთებელი აქ ბევრი არაფერია. [illegible] ამ გზას.

ძველმა [illegible] ამ ღელეზე [illegible] სამჯერ გაივლიდა და ხედავდა ხალხის ასეთ გაჭირვებას, არ შეიწუხა თავი, არ მიაქცია ყურადღება გზას. ეხლა გვყავს ახალი თემალმასკომის თავმჯდომარე. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით არც ის იძლევა დიდ იმედს, რომ ეს საჭირბოროტო გზა გაკეთდება.

კ. სვანიძე.

გამოაშკარავება ანტისაბჭოთა (მენშევიკები და სხვ.) ელემენტებისა, რომლებიც უპარტიოთა ნიღაბ ქვეშ ეპოტინებიან საბჭოებს, მათ დასანგრევათ და მშრომელთა რეჟიმის დასამხობათ. არც ერთი ადგილი საბჭოებში მშრომელი ხალხისა და რევოლიუციის ამ შეურიგებელ მტრებს და მოღალატეებს.

ვატარებთ წინასწარ მუშაობას

(აკეთის თემი, გურია)

საარჩევნო კომისია გამოყოფილია 7 კაცის რაოდენობით. შედგენილია ხმის მქონე და არა მქონეთა სიები, რომლებიც ახლო ხანში გამოიკვრება. 22 იანვარს თემში მოწვეული იყო კომპარტიის, კომკავშირის და პროფესიულ კავშირის წევრების, დელეგატ ქალების და აქტიურ გლეხკაცებისა და ქალების გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა მაზრიდან მოსულმა ამხანაგმა გერ. ჯიბლაძემ. დაახასიათა საბჭოთა მშენებლობის მიღწევები, შემდეგ გააცნო კრებას არჩევნების ინსტრუქცია, თუ ვის ეძლევა ხმის მიცემის უფლება და დასასრულ გაიმართა მსჯელობა მომავალ კანდიდატების გარშემო.

მ.—ლი.

ვებრძვით საბჭოთა წყობილების მტრებს

(აბაშის თემი, სენ. მ.)

თემის თოთხმეტივე უბანში ჩატარდა საბჭოს და აღმასკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებები. მოეწყო აგრეთვე ულარიბესი და ღარიბი გლეხობის, ქალთა გაერთიანებული კრებები. მიუხედავად იმისა, რომ არ არის კარგი დარი, ყოფილ წითელ არმიელთა და დელეგატ ღარიბი გლეხობის კრებებზე გლეხობის ფართე მასა ესწრებოდა.

გლეხობა წინასწარ საარჩევნო კამპანიაში ცხოველ მონაწილეობას ღებულობს. საბჭოში ასარჩევ თვითეულ დეპუტატზე საკმაო ხანს მსჯელობენ და ისე გამოაქვთ დადგენილებები. ზოგან საბჭოთა ხელისუფლების მტრები ცდილობენ სხვადასხვა ხრიკებით თავის კანდიდატების გაყვანას, მაგრამ ამაოდ. გლეხობა ყველგან აშავებს მათ. განზრახულია თემში არჩევნები დამთავრდეს 20 თებერვლამდე, საარჩევნო კომისიას კალენდარული გეგმა ამ პერიოდში მუშაობის საწარმოებლად უკვე შედგენილი აქვს.

პერო.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები

თბილისში

არჩევნები მბეჭდავებთან

წითელ დროშოსან ორდენის სტამბაში

სტამბის წითელი კუთხე მუშებით აივსო. შესწყდა მანქანების ხმაური და დაისვენეს ასოთ ამწყობების ხელებმა. წითელ კუთხეში, ლენინის მორთულ [illegible] თავს იყრიან ახალგაზრდა და მოხუცი მუშები, ცოლებით და დედებით. თავი მოიყარა 45 მუშამ და 15 დიასახლისმა.

დარბაზში შემოვიდა არჩევნების ჩამტარებელი კომისია და კრებაც გაიხსნა.

ნაკაზის წაკითხვის შემდეგ, დამსწრეებს შეაქვთ წინადადება ნაკაზს დაემატოს ახალი მუხლები.

— შეამცირონ ტრამვაის ტარიფი, გაგვიხსენით ახალი ამბულატორიები. შეაკეთეთ ქვა-ფენილები, გაიაფდეს კინოში შესასვლელი ბილეთები და სხ.

გათავდა მსჯელობა და ასახელებენ კანდიდატურებს. საბჭოს წევრათ აირჩიეს სტამბის ძველი მუშა ამხ. ი. კუსტა, რომელმაც თავის მოკლე სამადლობელ სიტყვაში დაპირება მისცა ამომრჩევლებს, რომ მთელის ენერგიით შეეცდება მასზე დამყარებულ იმედების გამართლებას.

„კრასნი ვოინის" სტამბაში

მუშაობის დასრულებამდე ერთი საათით ადრე მუშებმა თავი მოიყარეს საარჩევნო კრების დარბაზში. კრებას დაესწრო უკლებლივ ყველა მუშა თავიანთი ოჯახის წევრებით.

ნაკაზი დეპუტატებისადმი წაკითხულ იქნა ქართულ და რუსულ ენებზე. დამსწრეებმა ნაკაზში ჩასამატებლად შეიტანეს ახალი წინადადებები, რომელთა უმრავლესობა კრებამ მიიღო.

საბჭოს დეპუტატად გავიდა ამხ. ხარის ჯანგიროვი (კომუნისტი) და კანდიდატად ამხ. ზენბერფარბი (უპარტიო).

მეოთხე სტამბაში

1-ლ თებერვალს, 3 საათზე, პოლიგრაფიული ტრესტის სტამბაში შესდგა თბილისის საბჭოს დეპუტატების ხელახალი გადარჩევა. საარჩევნო კრებას დაესწრო 100 ამრჩეველი, აქედან 40 ქალი.

ნაკაზში ამრჩეველებმა შეიტანეს მთელი რიგი დამატებებისა მბეჭდავთა და სტამბის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების, სასკოლო ქსელის გაფართოების და სხ. შესახებ.

საბჭოს წევრათ არჩეულ იქნა ამხ. ნაზარეტიანი (კომუნისტი) და კანდიდატათ ამხ. ნუგეშიძე. (უპარტიო).

სახკომსაბჭოს სტამბაში

გუშინ ნაშუადღევის 3 საათზე შესდგა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო ყველა მუშა-მოსამსახურეები. დღის წესრიგში დასმული იყო: საბჭოს დეპუტატების არჩევა და მათთვის სათანადო ნაკაზი"-ს მიცემა. კრებამ ქალაქის საბჭოს დეპუტატად აირჩია ამხ. გრ. გაბუნია, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო „ნაკაზი" შემდეგი დამატებით.

1) ახალმა საბჭომ ყურადღება მიაქციოს ქუჩებში სისუფთავის დაცვას.

2) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განაპირა უბნების ქუჩების მოკირწყვლას და სანიტარულ პირობების დაცვას.

3) გაფართოებულ იქნეს საბავშვო ბაღები და ბავშვთა ბაგები.

4) დაკლებულ იქნეს სწავლის ფული სასწავლებლებში.

5) აშენებულ იქნეს სკოლა ერთობის უბანში.

არჩევნებში და ხსენებულ ნაკაზის მიცემაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა.

საკონდიტრო ფაბრიკაში

კოოპერატიული მრეწველობის საკონდიტრო ფაბრიკაში არჩევნები დაიწყო 1-ლ თებერვალს დღის ორ საათზე.

კრებაზე გამოცხადდა 63 მუშა და 11 დიასახლისი. ნაკაზის წაკითხვის შემდეგ დამსწრეებმა შეიტანეს მრავალი შესწორებანი და დამატებანი გარე უბნების კეთილმოწყობის, პროდუქციის გაიაფების, სამკურნალო ქსელის გაუმჯობესების და სხვა საკითხების გარშემო.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. მალაქაშანიძე, რომელმაც აღნიშნა მიმდინარე არჩევნების მნიშვნელობა და მოუწოდა დამსწრეებს აერჩიათ მუშების ნამდვილი წარმომადგენლები, რომელთაც უნარი შესწევთ მუშაობის და საქმიანობის.

კრებამ საბჭოს წევრად აირჩია ამხ. ორმოცაძე, ხოლო კანდიდატად ამხ. რუხაძე.

კამოს სახელობის საქარხნო საფაბრიკო სკოლაში

დღის 4 საათზე კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მუშა-მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს ადგილობრივ კლუბში. დარბაზში უკრავდა სასულე ორკესტრი.

„ინტერნაციონალის" ჰიმნის ქვეშ თავმჯდომარემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

კრებამ, რომელსაც დაესწრო 183 კაცი და 37 ქალი, აირჩია 2 დეპუტატი და 2 კანდიდატი.

საბჭოში არჩეულ იქნენ: ამხ. დავითაშვილი (ახკომკავშირელი) და ამხ. პანინსკი (მუშა - კომუნისტი), კანდიდატებათ ამხ. გოგიჯანოვი (კომუნისტი) და ამხ. ცხაკაია (უპარტიო).

დღეს მოხდება არჩევნები

მეოთხე რაიონში

საარჩევნო კრებები შესდგება

1. თემქაში—მუშაობის დასრულების შემდეგ.
2. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბაში—ადგილობრივი მუშებისათვის.

გრეხილი ავეჯეულობის ქარხანაში—მუშაობის შემდეგ.

4 თბილისის აღმასკომის მე-2 სტამბაში.

5. „საწერ-კალამის" საკინძავ სახელოსნოში.
6. სახკომსაბჭოს გარაჟში.
7. პოლიგრაფტრესტის ასოთჩამომსხმელ ქარხანაში.

აღნიშნულ ადგილებზე იკრიბებიან ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები. ამრჩევლებმა თან უნდა იქონიონ საარჩევნო უწყებები.

პროფკავშირების მონაწილეობა არჩევნებში

კავშირის წევრები

პროფკავშირების წევრ-ამომრჩეველთა რიცხვი თბილისში, აღრიცხვის შედეგების თანახმად უდრის 60 ათას კაცს. ამ რიცხვში არ შედიან უმუშევრები და მათი სარჩენები.

უმუშევართა კრებები

თბილისის საარჩევნო კომისიას განზრახვა აქვს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით გამოიმუშაოს იმ უმუშევართა კრებების მოწვევის წესი, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლება.

არჩევის წესი

თბილისის საარჩევნო კომისიის დადგენილების თანახმად პროფკავშირის წევრები ირჩევენ დეპუტატებს თავიანთ წარმოება-დაწესებულებებში.

უმუშევარი პროფკავშირის წევრები ირჩევენ ქალაქის მასშტაბით და მოსწავლეობა—თავიანთ სასწავლებლებში.

მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრები აირჩევენ იმისდამიხედვით, თუ სად უფრო მოსახერხებელია მათთვის, რაზედაც დასტურს მიიღებენ საარჩევნო კომისიიდან.

რაიონულ საარჩევნო კომისიებში

პირველ რაიონში

პირველი რაიონის საარჩევნო კომისიის ცნობით 4 საარჩევნო პუნქტს უკვე დაურიგდა არჩევნებზე ოჯახის წევრთა დასასწრებლად მოსაწვევი ანკეტები. მთელ პირველ რაიონში მონაწილეობა არჩევნებში მიიღებს 2500-მდე მუშა-მოსამსახურემ და 11.000-მდე მათი ოჯახის წევრმა. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ, როგორც კავშირის, ისე არა კავშირის წევრები. კომისიის ცნობით, არაპროფკავშირის წევრები მთელ რაიონში 1500 კაცამდეა.

არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან 2888 მუშა-მოსამსახურე და მათი 3100 ოჯახის წევრი, თბილისის სადგურიდან 1918 მუშა-მოსამსახურე და 1359 ოჯახის წევრი, რკ. გზ. სამმართველოდან 1720 მუშა-მოსამსახურე და 1352 ოჯახის წევრი, რკ. გზ. მატერიალურ საწყობიდან (მთ 12) 320 მუშა-მოსამსახურე და 336 ოჯახის წევრი, სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბნიდან 447 მუშა-მოსამსახურე და 256 ოჯახის წევრი, რკინის გზის სტამბიდან 166 მუშა-მოსამსახურე და 192 ოჯახის წევრი, სად. თბილისის მოძრაობის დარგიდან—1506 მუშა-მოსამსახურე და 1359 ოჯახის წევრი, რკინის გზის ნავთსადენიდან და საშემოსავლო ნაწილიდან—442 მუშა-მოსამსახურე და 271 ოჯახის წევრი. რკინის გზის საავადმყოფოდან 387 მუშა-მოსამსახურე და 174 მათი ოჯახის წევრი, ა.-კ. ტრანსპორტის მომხმარებელ საზოგადოებიდან („ზაკტპო")—234 მუშა-მოსამსახურე და 193 ოჯახის წევრი, საქონლის სადგურიდან—473 მუშა-მოსამსახურე და 350 ოჯახის წევრი, ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალაროდან—41 მუშა-მოსამსახურე და 89 ოჯახის წევრი, რკ. გზის გარაჟიდან—38 მუშა-მოსამსახურე და 49 ოჯახის წევრი, საგზაო პროფ განათლების კურსების მსმენელებიდან—257 და 120 ოჯახის წევრი, სალიანდაგო სამმართველოდან—222 მუშა-მოსამსახურე და 178 მათი ოჯახის წევრი. რკ. გზ. შავი ზღვის სანაპირო სამმართველოდან—55 მუშა-მოსამსახურე და 58 ოჯახის წევრი, რკ. გზ. სატყეო განყოფილებიდან—46 მუშა-მოსამსახურე და 81 ოჯახის წევრი, რკ. გზ. სატელეგრაფო სახელოსნოდან—99 მუშა-მოსამსახურე და 63 ოჯახის წევრი, საგზაო კომიტეტიდან—57 მუშა-მოსამსახურე და 66 ოჯახის წევრი, რკ. გზ. მეორე დამცველი რაზმიდან—361, ხოლო ოჯახის წევრები 360, ა.-კ. საგანგებო კომისიიდან (დ. ტ. ჩ. კ.)—52 მუშა-მოსამსახურე და 33 ოჯახის წევრი, ჯანმრთელობის განყოფილებიდან—138 მუშა-მოსამსახურე და 148 ოჯახის წევრი, საუბნო დამზღვევ სალაროს პენსიონერები—1.330 კაცი, განათლების მუშაკთა კავშირიდან—545 მუშა-მოსამსახურე და 218 ოჯახის წევრი, აგურის ქარხნებიდან—90 მუშა-მოსამსახურე და 61 ოჯახის წევრი. რკ. გზ. საალმშენებლო ტექნიკუმიდან—217 მუშა-მოსამსახურე და 14 ოჯახის წევრი, რკინის გზის პასუხისმგებელ შრომის არტელიდან—174 მუშა-მოსამსახურე.

მთელ რაიონში არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 25.000 კაცი.

მეორე რაიონში

მესამე საარჩევნო რაიონში საბჭოთა არჩევნები იქნება 5 თებერვლიდან. 5 თებერვალს არჩევნები დანიშნულია შემდეგ ადგილებში:

ტყავის ქარხანა № 8—ქარხნის შენობაში საღამოს.

ცხიმოვან ნივთიერებათა („ჟირომას") ქარხანა—ქარხნის შენობაში, მუშაობის დასრულების შემდეგ.

ადგილებზე

(ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ცნობები)

სიღნაღი

წინასწარი საარჩევნო სამზადისი სიღნაღის მაზრაში უკვე დასრულდა.

გუშინ დაიწყო საბჭოთა არჩევნები.

ლეჩხუმის მაზრა

წინასწარი საარჩევნო სამზადისი ლეჩხუმის მაზრაში დასრულდა 29 იანვარს.

საბჭოთა არჩევნები დაიწყება 10 თებერვალს და დამთავრდება 25 თებერვალს.

აფხაზეთი

წინასწარი საარჩევნო სამზადისი წარმატებით მიმდინარეობს.

საარჩევნო სამზადისი დასრულდება 5 თებერვალს.

საბჭოთა არჩევნები დაიწყება 7 თებერვალს.

ახალქალაქის მაზრა

წინასწარი საარჩევნო კამპანია ცოცხლად ჩატარდა.

გუშინ დაიწყო არჩევნები.

საარჩევნო სამზადისი დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრიდან დაბრუნდა შინსახკომის ინსტრუქტორი ს. ცინცაძე.

ამხ. ცინცაძემ დუშეთის მაზრაში საარჩევნო სამზადისის და თვით საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

დუშეთის მაზრაში არის 18 სათემო ერთეული, რომელიც დაყოფილია 142 საარჩევნო უბნად. ჩატარებულ იქნა ღარიბი გლეხობის კრებები.

ბაზალეთის თემში ამომრჩეველთა აღწერა დაიწყო 14 იანვარს. თემში შედის 54 სოფელი და ირიცხება 1.703 კომლი. თემი დაყოფილია 20 საარჩევნო უბნად.

საბჭოთა არჩევნები დაიწყება 27 თებერვალს და დამთავრდება 6 მარტს.

ანანაურის თემში შედის 15 სოფელი და ირიცხება 501 კომლი.

საარჩევნო უფლება მოკლებულ პირთა სიები გამოკრული იყო სათანადო ადგილზე.

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა რიცხვი უდრის 62 კაცს.

ფასანაურის თემში ირიცხება 16 საარჩევნო უბანი. 43 სოფელში ამომრჩეველთა აღწერა უკვე დასრულებულია. თემის საარჩევნო კომისია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს.

სათემო საარჩევნო კომისიას ჰქონდა 5 საქმიანი სხდომა; სხდომებზე ეცნობოდენ საარჩევნო ინსტრუქციას და ჰქონდათ მსჯელობა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხების გარშემო.

ფასანაურის თემში ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 200 კაცს; საარჩევნო უფლება წაერთვა 83 კაცს.

სათემო აღმასკომის მიერ 7 საარჩევნო უბანში ჩატარებულია საანგარიშო კამპანია.

ღარიბი გლეხობის კრებების ჩატარება რამდენიმეჯერ დაგვიანებით დაიწყო ცუდი ამინდების გამო.

ჟინვალის თემში იყო შემთხვევები, როცა საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიები შედგენილი იქნა საარჩევნო კომისიის ცოდნის გარეშე. თემის აღმასკომის მდივანს წინადადება მიეცა საჩქაროდ მოიწვიოს საარჩევნო კომისიის სხდომა და საარჩევნო უფლებას მოკლებულთა პირთა სიები განიხილული და დამტკიცებული იქნას ხელმეორედ.

მუხრანის თემში საარჩევნო კამპანიის ტექნიკური მხარე მოიკოჭლებს. მუშაობას ხელს უშლიდა თოვლი და ყინვები.

25 იანვარს დაიწყო არჩევნები ანანურის თემში. არჩევნები ცოცხლად ტარდება.

შალიკაანთკარის საარჩევნო უბანში გამოცხადდა ამომრჩეველთა 55 პროცენტი.

ბანწურტკარის საარჩევნო უბანში საარჩევნო უფლებას არ ყოფილა მოკლებული არც ერთი პირი. გამოცხადდა ამომრჩეველთა 60 პროცენტი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ქალმა.

საერთოდ დუშეთის მაზრაში კულაკურ გავლენას ადგილი არა აქვს.

ახალციხის მაზრაში

ახალციხე, 1 თებერვ. მაზრაში დამთავრდა მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა გადარჩევისთვის. მაზრა დაყოფილია 108 საარჩევნო უბნათ. წინასწარ საარჩევნო კრებებზე ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები თემსაბჭოების საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოდიოდენ და აკრიტიკებდენ შესრულებულ მუშაობას და აგრეთვე საბჭოების ცალკე წევრებს, რომლებიც საკმაოდ ვერ ემსახურებოდენ ღარიბ გლეხების ინტერესებს. (ადს).

აკურის თემში

თელავი, 1 თებერვ. 30 იანვარს არჩევნები დამთავრდა აკურის თემში. დაესწრო ამრჩეველთა 42 პროცენტი. არჩეულია 40 წევრი, მათ შორის 4 კომუნისტი, 11 კომკავშირელი და 6 ქალი.

სამაზრო საარჩევნო კომისიაში ყოველდღიურათ შემოდის 40 საჩივარი საარჩევნო უფლება წართმეულ პირთაგან.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ინფორმაციაში საარჩევნო მოსამზადებელი მუშაობის შესახებ ოზურგეთის მაზრაში შეცდომით აღნიშნული იყო, რომ საარჩევნო კომისიაში შედის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორი.

ინსტრუქტორი საარჩევნო კომისიაში არ შედის.

როგორ იყენებს კერძო კაპიტალი სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გამოკვლევათა მასალებიდან)

კერძო პირებისათვის კრედიტის ფარულად მიწოდება

საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილების თანახმად, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისია შეუდგა საქმის გამორკვევას საზოგადოება „ბაღდადი"-სა და მოქ. ჯაყელსა და ქავთარაძეს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ. წერილობითი მასალებთან გაცნობით და ამ საქმეში ჩარეულ პირთა დაკითხვის გზით კომისიამ გამოარკვია შემდეგი:

წარსული წლის 26 ოქტომბერს ამხანაგობა „ბაღდადმა" ზემოდ დასახელებულ კერძო პირებს ხელშეკრულებით მიჰყიდა 10.000 ვედრო ღვინო ფრანკო-საწყობი თბილისში თითოეულ ვედროზე 55 კაპეიკის დართვით თვითღირებულებაზე. მთელი გაყიდული ღვინო ინახებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საწყობში ბანკის ზედამხედველობის ქვეშ და ეძლეოდა კონტრაგენტებს ნაწილ-ნაწილად თვითეულ შემთხვევაში წაღებულ ღვინის ღირებულების დაფარვით. კონტრაგენტებს მთელი ღვინო უნდა წაეღოთ 9 თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ვადის გასვლის შემდეგ დატოვებული ღვინო რჩება ამხანაგობა „ბაღდადს", ხოლო ზარალის ასანაზღაურებლად ამხანაგობა გასანაღდებლად აღებენს თამასუქებს, რომლებიც მან მიიღო კონტრაგენტებისაგან უკანასკნელთა მიერ თავის-თავზე აღებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად; ამავე დროს კონტრაგენტები ამხანაგობას უხდიან 12 პროც. წლიურს იმ ღვინის ღირებულებასთან შეფარდებით, რომელიც წაუღებლად დარჩა და სხვ.

ასეთი ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამხანაგობა „ბაღდადი" გამგეობის წევრის ამხ. ჩიკვანიძის სახით სასოფლო-სამეურნეო ბანკს სთხოვს, რომ ამხანაგობისათვის წინად გახსნილი კრედიტი 40.000 მანეთის რაოდენობით კიდევ გადიდებულ იქნეს 45.000 მანეთით. ბანკის გამგეობის წევრებმა (თავმჯდომარე—ამხ. ვაშაკიძე იმ დროს კიათურაში იყო) უარი განაცხადეს კრედიტის გადიდებაზე, დაუტოვეს რა ეს საკითხი გადასაწყვეტად თავმჯდომარეს ამხ. ვაშაკიძეს. ამხ. ჩიკვანიძე სასწრაფოდ მიემგზავრება კიათურაში ამხ. ვაშაკიძესთან, ხოლო უკანასკნელი ტელეგრაფით აძლევს (28 ოქტ. 26 წ.) განკარგულებას ბანკს ამხანაგობა „ბაღდადისათვის" საჭირო კრედიტის გახსნის შესახებ. ამის შემდეგ ბანკმა ქუთაისის განყოფილებას მისწერა გაეხსნა ამხანაგობისათვის დამატებითი კრედიტი 30.000 მანეთის რაოდენობით.

დაკითხვის დროს ბანკის გამგეობის წევრებმა განაცხადეს, რომ თუმცა ისინი კომერციული თვალსაზრისით ამ ოპერაციას ამხანაგობისათვის ხელსაყრელად სთვლიდენ, მაგრამ, ვინაიდან არსებითად ის კერძო კრედიტის ხასიათს ატარებდა, ამიტომ მათ შეუძლებლად მიიჩნიეს ამხანაგობისათვის კრედიტის მიცემა.

ამხ. ვაშაკიძემ კომისიას განუცხადა, რომ ის განკარგულების გაცემის დროს ხელმძღვანელობდა მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგობის მატერიალური ინტერესებით, ვინაიდან ის მისაღებად სთვლიდა პირობებს, რომლებიც წამოაყენეს ხსენებულ კონტრაგენტებმა, როცა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოების მხრივ ღვინოზე არ იყო მოთხოვნილება.

ამხანაგობა „ბაღდადი"-ს გამგეობის თავმჯდომარის განცხადებით ამხანაგობა იძულებული იყო დაედვა ხელშეკრულება ხსენებულ კონტრაგენტებთან, ვინაიდან ღვინოზე არ არსებობდა მოთხოვნილება და, გარდა ამისა, არც ერთი ორგანიზაცია არ იძლეოდა ვედრო ღვინოში ხელსაყრელ ფასს.

საქმის ვითარების გამორკვევის და შექმნილ მდგომარეობის შეფასების შემდეგ, კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ ხელშეკრულება კომერციული თვალსაზრისით მართლაც ხელსაყრელია ამხანაგობისათვის მაშინდელი ღვინის ბაზრის ცუდი კონიუნქტურის გამო. მაგრამ, ვინაიდან არსებითად ეს ოპერაცია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ კერძო პირებისათვის ფარულად კრედიტის მიცემას, ამიტომ კომისიამ ამ გარიგებაში პასუხისმგებლად იცნო ამხ. ვაშაკიძე, რომელიც, თუმცა გამოდიოდა ამხანაგობის მატერიალურ ინტერესებიდან, მაგრამ თვით ოპერაციის ხასიათის გამო, ვალდებული იყო თავი შეეკავებინა კრედიტის მიწოდებისათვის და აგრეთვე მიეთითებინა ამხანაგობისათვის მის მიერ დადებულ ხელშეკრულების მიუღებლობაზე.

აღნიშნავი ხელშეკრულება დადებულ იქნა, ერთის მხრით, ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობასა და, მეორეს მხრით—მოქ. ჯაყელსა და ქავთარაძეს შორის 5.000 ვედრო ღვინის მიწოდებაზე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ზესტაფონის ამხანაგობამ მის მიერ ჩვეულებრივი კრედიტის სახით მიღებულ 15.000 მანეთის ზეგით დამატებით კრედიტი არ მიუღია.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო კომისიის მოხსენება (ღონისძიებები) შემდეგი დამატებებით:

კერძო კონტრაგენტებთან ხელშეკრულების დადებისათვის კოოპერატიულ ამხანაგობა „ბაღდადი"-ს და „ზესტაფონი"-ს გამგეობებს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, რომ, თუ განმეორდა ასეთი გარიგებები კერძო პირებთან, ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის წესით.

გაუქმებულ იქნეს ხელშეკრულება მოქ. ჯაყელსა და ქავთარაძესთან. ღვინოების რეალიზაციისათვის (მათ რიცხვში ამხანაგობა „ბაღდადი"-ს და „ზესტაფონი"-ს მიერ უკვე დამზადებულ ღვინოებისა) და კერძო კონტრაგენტების განსადევნათ სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის ასპარეზიდან საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დაევალოს სასწრაფოდ მოიწვიოს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის წარმომადგენელთა თათბირი ხსენებული საკითხის გადასაწყვეტად და საბოლოოდ მოსაწესრიგებლად.

„საქართველოს ღვინო"-ს მოქმედება

საქართველოს მეღვინეთა კავშირის „საქართველოს ღვინო"-ს გამოკვლევამ, რომელიც მოახდინა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა, აღმოაჩინა, რომ ადგილი ჰქონდა პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა პოლიტიკის დარღვევას სახელმწიფო ვაჭრობის დარგში და რომ „საქართველოს ღვინო"-ს მუშაობა სავსებით ეწინააღმდეგებოდა კოოპერაციის პრინციპებს, რაც გამოიხატა შემდეგში:

„საქართველოს ღვინო"-ს დამამზადებელი მუშაობა მცირეოდენის გამოკლებით იყო მტკიცედ—სააღრიცხვო, კოოპერატიული დამზადება კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ სწარმოებდა. გასაღებითი ოპერაცია კი საქართველოს და აზერბაიჯანის ფარგლებში სწარმოებდა არა კოოპერატიულ, არამედ კონტრაგენტურ საფუძვლებზე, ე. ი. კერძო პირების საშუალებით. „საქართველოს ღვინო"-მ ამ მიზნით კერძო პირთან—მოქ. გიორგი ბერიძესთან დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად კონტრაგენტ ბერიძეს გადაეცა გენერალური წარმომადგენლობა და მიენიჭა მონოპოლიური უფლებანი „საქართველოს ღვინო"-ს გასაღებაზე თბილისის და მთელი საქართველოს ფარგლებში. ამ ხელშეკრულებით მოქ. ბერიძე იღებდა ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინის 20 პროცენტის შეღავათით პრეისკურანტის ფასებთან შედარებით იმ პირობით, რომ თავის მხრით შეღავათი მიეცა კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის 15 პროცენტი, ხოლო კერძო პირთათვის—საკუთარი მოსაზრების მიხედვით. ბითუმად გაყიდვის დროს მოქ. ბერიძე იღებდა საკომისიოს კავშირის გამგეობასთან შეთანხმებით ყოველ კერძო შემთხვევაში. იმავე ხელშეკრულების აზრის მიხედვით, „საქართველოს ღვინო"-ს განყოფილებებს ვაჭრობა უნდა ეწარმოებიათ მხოლოდ და მხოლოდ პრეისკურანტის ფასებში და არ შეეძლოთ შეღავათების მიცემა. ამგვარად, საქართველოს მეღვინეთა და მევენახეთა კოოპერატიული კავშირი, როგორიც არის „საქართველოს ღვინო", რომელიც მოწოდებულია დაბალი საფეხურის კოოპერატივები დააყენოს სწორ კოოპერატიულ გზაზე და იყოს კოოპერატიული მუშაობის საუკეთესო მაჩვენებელი, თავისი პროდუქციის რეალიზაციისათვის იწვევს კერძო პირს და, აძლევს რა მას მონოპოლიურ უფლებას ღვინით ვაჭრობაში, ხელფეხს იბორკავს, თავისივე წარმოების პროდუქციას მომხმარებლისათვის მიწოდების საქმეში კერძო ინიციატივას აძლევს უპირატესობას კოოპერატიულ ორგანიზაციების წინაშე და ამით ძირს უთხრის კოოპერაციის პრესტიჟს.

თუმცა საქართველოს მეღვინეთა კავშირის გამგეობის ხელშეკრულებითა და დადგენილებით მოქ. ბერიძის კერძო კლიენტებს შეეძლოთ ესარგებლათ კრედიტით 5.000 მან. ფარგლებში, მაგრამ ფაქტიურად 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის მათზე ირიცხებოდა დავალიანება 30.000 მან. რაოდენობით.

ღვინის ბითუმათ გაყიდვის დროს მოქ. ბერიძე საკომისიოს იღებდა 20 კაპ. ვედროზე. ამგვარად, მან მიიღო 600 მან. 3.000 ვედრო ღვინოში, რომელიც გაჰყიდა საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავაჭრო წარმომადგენლობამ შუა-აზიაში, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელია ის, რომ ყიგულევის ამხანაგობისათვის მიყიდულ 8.000 ვედრო ღვინოში მოქ. ბერიძემ საკომისიო 1.600 მან. მიიღო სრულიად მაშინ, როდესაც ამ ამხანაგობამ ფაქტიურად წაიღო მხოლოდ 2949 ვედრო ღვინო. „სოფლის კავშირის" მიერ საწარმოო გამოკვლევის შემდეგ საკომისიოს განსხვავება 1.010 მან. 20 კაპ. რაოდენობით მოქ. ბერიძეზე იქნა დარიცხული. საერთოდ კი, 1925 წლის 15 ნოემბრიდან 1926 წლის 1 დეკემბრამდე მოქ. ბერიძემ საკომისიო მიიღო სულ 18.531 მან. 18 კაპ. რაოდენობით.

შემდეგ გამოკვლევა აღნიშნავს, რომ 1926 წლის 12 ივლისამდე წარმომადგენლობა ბაქოში გადაეცა აგრეთვე კერძო ვაჭრებს—ვერკოვიჩს და იანვარაშვილს, რომელნიც სარგებლობდენ „საქართველოს ღვინო"-ს კრედიტით და ფირმით.

წარმომადგენლობა ბათომშიაც გადაეცა კერძო ვაჭრებს—ჟღუშაძეს და ცინცაძეს.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია, გაეცნო რა მასალებს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელნიც მიმართული არიან „საქართველოს ღვინო"-ს გაჯანსაღებისაკენ, მან დაადგინა,—პასუხისგებაში მისცეს „საქართველოს ღვინო"-ს გამგეობის თავმჯდომარე სავაჭრო პოლიტიკის დარღვევისათვის.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორის ი. ქუთათელაძის ბოროტმოქმედებანი

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საგრენაჟო მრეწველობის მდგომარეობა ჩვენში. გამოკვლევა უმთავრესად შეეხო საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსპექტორის მოქ. ი. ქუთათელაძის მოქმედებას, რომელიც მეთაურობდა მთელ სათესლე საქმეს საქართველოში, და გამოარკვია შემდეგი:

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში საქართველო და ამიერ-კავკასიის მეზობელი რესპუბლიკები განიცდიდენ აბრეშუმის თესლის დიდ ნაკლებობას, ვინაიდან ოსმალეთმა, საიდანაც შემოჰქონდათ მთელი თესლის რაოდენობის 70 პროცენტამდე, არახელსაყრელი ეკონომიური პირობების გამო ვერ შესძლო დაეკმაყოფილებია ჩვენი მოთხოვნილება აბრეშუმის თესლზე. ამ მიზეზის გამო აუცილებელი შეიქნა საკუთარი აბრეშუმის თესლის დამზადებას შესდგომოდით და ამ მიზნისათვის გამოგვეყენებია ყველა შესაძლებლობანი.

ამის გამო 1926 წ. მარტში ამიერ-კავკასიის ცაკმა გამოსცა დადგენილება, რომელიც აწესრიგებს ადგილობრივი კერძო აბრეშუმის თესლის განვითარებას და განმტკიცებას და მთელ რიგ შეღავათებს აძლევს კერძო მეთესლეებს, სახელდობრ: ა) სათესლე საქმეს შეიძლება ეწეოდეს ყველა კერძო პირები, არტელები, ამხანაგობანი და სხვ., რომლებიც იცნობენ ამ წარმოებას; ბ) მეთესლეებს ეძლევათ უფლება დაამზადონ არჩეული აბრეშუმის პარკები, რომელნიც გამოსადეგი არიან თესლისათვის; გ) მეთესლეები განთავისუფლებულნი არიან ყოველი სახის გადასახადებისაგან სამი წლის განმავლობაში, გარდა სახელმწიფო, საშემოსავლო გადასახადისა, აგრეთვე მათ ეძლევათ უფლება, რომ საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოიტანონ თესლის დამზადებისათვის საჭირო ინვენტარი.

მაგრამ მეაბრეშუმეობის ინსპექტორის მოქ. ქუთათელაძის პრაქტიკაში შემოღებულ იქნა კერძო მეთესლეთა მუშაობის სრულიად სხვაგვარი სისტემა, სახელდობრ: აბრეშუმის თესლის მიწოდება მათთვის, ფინანსების მიწოდება და აგრეთვე ინვენტარის კერძო პირებისათვის გადაცემა, კერძო მეთესლეთა მუშაობაზე ტეხნიკური ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანიზაციების სპეციალისტების საშუალებით ხორციელდებოდა. საერთოდ გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ კერძო მეთესლეები არავითარ ისეთ კაპიტალურ ხარჯებს არ ეწევიან, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს მისცეს რაიმე ეკონომიური ეფექტი და მდიდრდებიან სახელმწიფოს ხარჯზე.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მეაბრეშუმეობის ინსპექტორ ი. ქუთათელაძეს და კერძო მეთესლეებს—ოგანოვისა და პეტრიდისს შორის არსებობდა პირადი დამოკიდებულება; გამოირკვა, რომ მეაბრეშუმეობის ხსენებული ინსპექტორი 1921 წლიდან 1924 წლამდე კომპანიონად იყო ოგანოვების კერძო მეთესლეთა ფირმაში და სავის კომერციულ კავშირს ფირმასთან აწარმოებდა თავისი ძმის გედეონის ქუთათელაძის საშუალებით; ამასთანავე, პირველი სამი წლის განმავლობაში ი. ქუთათელაძე ოგანოვების ფირმისაგან იღებდა მთელი პროდუქციის 50 პროცენტს. პაის შეტანა ოგანოვების ფირმაში ი. ქუთათელაძის მიერ, თავისი ძმის გედეონის საშუალებით არ არის გამორკვეული, მაშასადამე, ი. ქუთათელაძე ოგანოვების ფირმისაგან სამაგიეროს იღებდა იმ დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევდა მას, სარგებლობდა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით (აბრეშუმის პარკის გაცემა ნისიად, ფინანსების მიწოდება და აგრეთვე ინვენტარის მიცემა). 1924 წელში ი. ქუთათელაძეს თავისი ძმის გედეონის საშუალებით აღარ აქვს კავშირი ოგანოვების ფირმასთან იმის გამო, რომ გედეონმა მიითვისა ოგანოვების ფირმის მიერ მიცემული ფული, რომელიც მას უნდა გადაეცა ი. ქუთათელაძისათვის. ამის შემდეგ გედეონ ქუთათელაძე თვითონ შეუდგა საკუთარი სათესლე საქმის შექმნას და მოაწყო ვითომდა კოოპერატიული სათესლე ამხანაგობა „გრენერ"-ის სახელწოდებით. ამ „ამხანაგობის" ფირმით გედეონი თავისი ძმისა—ი. ქუთათელაძისაგან იღებდა აბრეშუმის პარკს ნისიად, ფულს, ინვენტარს და სხვ. და ყველა სახელმწიფო ორგანიზაციებში უპირატესობითაც კი სარგებლობდა სხვა მეთესლეებთან შედარებით.

1924 წლიდან ი. ქუთათელაძე ოგანოვების ფირმასთან კავშირის დასამყარებლად აყენებს თავისივე შვილს გოგის და ოგანოვების ფირმაში შეაქვს პაი. თავისი შვილის საშუალებით, ი. ქუთათელაძე პაის რაოდენობის მიხედვით იღებს მოგებას 1925 წლამდე და 1926 წელში კი ხსნის თავის საკუთარ სათესლე დაწესებულებას ქუთაისში თავისი შვილის სახით ოგანოვების ფირმით. ი. ქუთათელაძე, იყო რა მეაბრეშუმეობის ინსპექტორი და ამავე დროს ქუთაისის სათესლე სადგურის გამგე, ანგარიშში კერძო მეთესლეებთან ასწორებდა ქუთაისის სადგურის კალკულაციით, ამასთანავე კომერციული კავშირი ჰქონდა კერძო მეთესლეებთან, ხელოვნურად ადიდებდა კალკულაციას, დაახლოებით, 60 პროცენტით, რითაც იგი სარგებლობდა თვითონ და საშუალებას აძლევდა სხვებს სარგებლობა მიეღოთ გლეხობისათვის მისაყიდი თესლის ფასების აწევის ხარჯზე. ასეთი მუშაობის გამო 1926 წელში სახელმწიფო ორგანიზაციებმა კერძო მეთესლეებს მისცეს 27.729 მან. ზედმეტი თანხა და ეს იმის შემდეგ, როცა კალკულაცია სათანადო კომისიის მიერ შემცირებულ იქნა მიხმედვად, მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა თვითონ ი. ქუთათელაძის მხრივ. კალკულაციის ასეთი შემცირება რომ არ მომხდარიყო, კერძო მეთესლეები მოიგებდენ 67.000 მან., როგორც ეს ხდებოდა წინა წლებში.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ი. ქუთათელაძე, ხელმძღვანელობდა რა პირადი ინტერესებით, სათესლე საქმეში მუშაობის საშუალებას არ აძლევდა საუკეთესო მეთესლეებს (პეტრიდისს), რომლებთანაც მან ვერ შესძლო ისეთი კომერციული კავშირის დამყარება, როგორც ოგანოვთან, რითაც იგი ასუსტებდა ადგილობრივ მეთესლეობას და აღიდებდა თესლის იმპორტს საზღვარგარეთიდან ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც იგი რამდენიმეჯერ გაემგზავრა საზღვარგარეთ.

თუმცა საქართველოში იყო და დღესაც არის საშუალებანი კერძო მეთესლეობის განდევნისათვის, მაგრამ ქუთათელაძე კომერციულ კავშირში იმყოფებოდა კერძო მეთესლეებთან და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამას, ხელს უშლიდა წარმოების ამ დარგის სახელმწიფოს ხელში გადასვლას.

ამგვარად, მეაბრეშუმეობის ინსპექტორმა ი. ქუთათელაძემ, უზრუნველჰყო რა სათანადო გავლენა ყველა ინსტანციებში, 6 წლის განმავლობაში დაუსჯელად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა თავისი პირადი მიზნებისათვის.

გამოკვლევა აღნიშნავს აგრეთვე წმინდა ორგანიზაციული ხასიათის ნაკლთა მთელ რიგს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მეაბრეშუმეობის ინსპექციამ არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ პრაქტიკულ მუშაობაში ჩაება ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც საფუძვლიანი სპეციალური განათლება ჰქონდათ მიღებული საზღვარგარეთ, რის გამოც მთელი პრაქტიკული მუშაობა აბრეშუმისა და აბრეშუმის თესლის საქმეში ხელში ჩაიგდო 2 პირმა და მათი შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოები შეიძლება გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ პრაქტიკულად მომზადებული კადრის უყოლობის გამო. მეორე დეფექტი—გამოშვება ბაზარზე დიდი რაოდენობის თესლისა, რომელიც მცირეოდნად იყო დაზიანებული პებრინით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი თესლი მოსავალს ამცირებს 15 პროცენტით, იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას გლეხებში, იგი დღემდე არ არის განდევნილი ბაზრიდან და არაა შეცვლილი სავსებით საღი თესლით, თუმცა ადგილობრივ თესლის მდგომარეობა იძლევა ამ საშუალებას.

გამოკვლევა აღნიშნავს აგრეთვე მავნე პარალელიზმს მეაბრეშუმეობის ინსპექციის (რომელსაც თავისი სადგური აქვს ქუთაისში) და თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურის მუშაობის შორის.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია, იღებს რა მხედველობაში ზემოხსენებულს და აღნიშნავს რა, რომ მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ი. ქუთათელაძე სისტემატიურად ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, შეცდომაში შეჰყავდა ხელისუფლების ორგანოები და სახელს უტეხდა მათ მოსახლეობის თვალში, ადგენს: მოიხსნას ი. ქუთათელაძე ყველა თანამდებობიდან, საქმე გადაეცეს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს, რომ იგი—ქუთათელაძე, და აგრეთვე მისი ძმა—გედეონი მიცემულ იქნან პასუხისგებაში და საქმის გარჩევას მიეცეს საზოგადოებრივ-საჩვენებელი ხასიათი.

გარდა ამისა, კოლეგიამ დაამტკიცა მთელი რიგი ღონისძიებათა, რომელნიც მიზნად ისახავენ: ა) კერძო მეთესლეობის განდევნას, ამასთანავე მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი, მეაბრეშუმეობის ინსპექციას და საქართველოს მეაბრეშუმეობის გამგეობას ევალება მიიღოს ზომები იმისათვის, რომ წარმოების ეს დარგი მოექცეს მთლიანად სახელმწიფოს ხელში; ბ) პებრინით მცირეოდნად დაზიანებული თესლის ბაზრიდან განდევნას; გ) კალკულაციის გაუქმებას თესლზე, რომელიც ქუთაისის სადგურმა შემოიღო, ამასთანავე წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს და საქართველოს მეაბრეშუმეობის გამგეობას, რომ კალკულაციის გამოკვლევას საფუძვლად დაუდოს საქართველოს მეაბრეშუმეობის გამგეობის სათესლე დაწესებულების კალკულაცია; დ) პარალელიზმის აცილებას თბილისის და ქუთაისის აბრეშუმის სადგურების მუშაობაში; ე) ახალგაზრდა სპეციალისტების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში და სხვ.

წითელ ჯარში

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მე-5 პარტკონფერენცია

მეექვსე სხდომა

პირველი თებერვლის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ლანდას მოხსენება პოლიტიკურ მუშაობის მორიგ ამოცანებზე.

— წითელი არმია — ამბობს ამხ. ლანდა — გადასულია მშვიდობიან მდგომარეობაზე და სავსებით შეეგუა მას. მაგრამ მშვიდობიანი დროის პირობებში წითელი არმია უნდა ემზადოს ომისათვის.

არსებობს აზრი, რომ ჩვენ ჩამორჩენილი ვართ ტეხნიკურად. ეს არ არის სწორი. ჩვენი ტეხნიკა არ ჩამორჩება ჩვენი მეზობელ სახელმწიფოების ტეხნიკას. უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ დიდი გამოცდილება სამხედრო, სამოსწავლო და პოლიტიკურ დარგში.

შეეხო რა მეთაურთა შემადგენლობის მდგომარეობას, ამხ. ლანდამ აღნიშნა, რომ მეთაურნი უნდა განტვირთონ სხვადასხვა დავალებებისაგან, რომელნიც უშლიან ხელს მათ მუშაობას და თვითგანვითარების საქმეს.

ამხ. ლანდა შეჩერდა ერთუფროსობის საკითხზე არმიაში და სთქვა, რომ ერთუფროსიანობაზე გადასვლა სრულიადაც არ ამტკიცებს პოლიტაპარატის მნიშვნელობას არმიაში. საჭიროა არმიაში ხელმძღვანელობის მთლიანი ფორმის შექმნა.

შემდეგ, ამხ. ლანდა შეეხო სამხედრო პროპაგანდის წარმოებას მოსახლეობის შორის და აღნიშნა, რომ სამხედრო განყოფილებები სამოქალაქო გაზეთებში არა სდგანან შესაფერ სიმაღლეზე, იქ მოთავსებული მასალა არ არის საინტერესო ფართო მასებისათვის.

მოხსენების ბოლოში ამხ. ლანდა ჩერდება არმიის მუშაობაზე საომარ დროისათვის მოსამზადებლად.

მეცხრე სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. ლანდამ გასცა პასუხი შეკითხვებზე.

კონფერენციამ ამოირჩია კომისია, შემდგარი 29 კაცისაგან, რომელსაც მიენდო რეზოლიუციის გამომუშავება ამხ. ლანდას მოხსენების ირგვლივ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა არმიის პარტკომისიის მდივნის ამხ. სტელმახის მოხსენება პარტკომისიის მუშაობაზე.

ი.

სამხედრო კუთხეების გაჯანსაღებისათვის

ქართულ დივიზიის პარტკონფერენციაზე მრავალმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ის სამხედრო კუთხეები, რომლებიც დღეს-დღეობით არსებობენ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას.

სამხედრო კუთხეები ჯერ ვერ გარდაიქცნენ მოსახლეობის გასამხედროების ცენტრებად და თავის მუშაობაში ვერ ჩააბეს არა თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი, არამედ ცვალებადი წითელი არმიელებიც. შეკრებათაშორისო პერიოდში ცვალებადი წითელი არმიელი ბევრ ადგილას არ იღებს არავითარ მონაწილეობას სამხედრო კუთხის მუშაობაში და სავსებით ჩამოშორებულია სამხედრო საქმიანობას, რაც უეჭველია არასასურველ გავლენას ახდენს მის მომზადებაზე.

სამხედრო კუთხის მიზანს კი შეადგენს მუშაობა ცვალებად წითელარმიელთა შორის ერთი შეკრებიდან მეორე შეკრებამდე, რათა ცვალებადმა არ დაივიწყოს ის ცოდნა, რომელიც მან შეკრებაზე შეიძინა. კუთხის უახლოესი მიზანია აგრეთვე სამხედრო ცოდნის გავრცელება მოსახლეობას შორის. აი ამ მიზნებს ჩვენი სამხედრო კუთხეები ვერ აღწევენ.

დივიზიის პარტკონფერენციამ მიიღო დადგენილება სამხედრო კუთხეების გაჯანსაღების შესახებ.

სამხედრო უწყება თავის მხრივ იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა სამხედრო კუთხეების მუშაობა ჩაყენებულ იქნეს ისეთ პირობებში, რომ მათ შესძლონ თავისი დანიშნულების შესრულება. იგი აწვდის კუთხეებს მუშაობისათვის საჭირო მასალას, ცოცხალ ძალას, უწევს ხელმძღვანელობას. სამხედრო უწყების მიერ მომზადებულია კუთხეების გამგეები. მხოლოდ საჭიროა და აუცილებელი, რათა ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღმასკომების, პარტორგანიზაციების, გლეხკომების და სხვათა სახით გაუწიონ სამხედრო კუთხეებს როგორც იდეიური, ისე ქონებრივი დახმარება.

მრავალი სამხედრო კუთხე მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, მრავალ სამხედრო კუთხეს არ მოეძებნება საჭირო მოწყობილობა, როგორიც არის მაგიდა, სკამები და სხვა. ადგილობრივი ხელისუფლება კი არ აქცევს კუთხეების ასეთ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას.

სამხედრო კუთხეებს არ მოეძებნებათ არავითარი თანხები მიმდინარე მუშაობისათვის. მათ არა აქვთ შეძლება გამოუშვან კედლის გაზეთი და გამოიწერონ ცენტრალური და სამხედრო გაზეთები.

ეს მდგომარეობა შეცვლილ უნდა იქნეს, სამხედრო კუთხეებს სჭირიათ მეტი ყურადღება უპირველეს ყოვლისა ადგილობრივ პარტორგანიზაციების მხრივ.

სამხედრო კუთხეები უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ მატერიალურად. მათ უნდა მიეცეს შესაძლებლობა გააფართოონ თავისი მუშაობა და გამოვიდნენ იმ არანორმალურ მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფებიან დღეს.

ს. ხუციშვილი.

მეაბრეშუმეობის კურსები

აღორძინების გზაზე დამდგარი მეაბრეშუმეობა საქართველოში მოითხოვს ახალ ძალებს და რაიონებში კულტურულ მომუშავეთა კადრის გაძლიერებას, რომლებიც შესძლებენ როგორც არსებულ მდგომარეობის განმტკიცებას, ისე საჭირო ზომების მიღებით მეაბრეშუმეობის წინ წაწევას, ვინაიდან ჩვენი მეაბრეშუმეობა დღეს-დღეობით ძალზე ჩამორჩენილია. ის რამდენიმედ პრიმიტიულ მეაბრეშუმეობის წარმოების ხანაში იმყოფება. რადგან საქართველოს განსაკუთრებული პირობები აქვს მეაბრეშუმეობის განვითარების მხრივ, ამისათვის უნდა ვეცადოთ დაჩქარებით გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან, მით უფრო დღეს, როდესაც კონიუნქტურა ბაზრებისა, როგორც საერთაშორისო, ისე რუსეთის, თავისი მაღალი ფასებით აბრეშუმის ნაწარმოებზე, გვაძლევს საშუალებას დავაინტერესოთ ჩვენი მეაბრეშუმენი.

თანამედროვე განვითარებულ მეაბრეშუმეობის ქვეყნებში ადგილი აქვს მთელ რიგ მიღწევებს, როგორც, მაგ. აბრეშუმის ჭიის კვების ეკონომიური მეთოდების შემოღება, ჯიშების გაუმჯობესება, პარკის ხმობის მექანიზაცია და სხვა. ჩვენში კი მეაბრეშუმე აბრეშუმის ჭიის მოვლისათვის ორმაგ შრომასა და საკვებს ხარჯავს, მინიმალური გარანტიით კარგ მოსავლის მიღებაში.

ვინაიდან ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი აბრეშუმის მრეწველობის განვითარებისათვის დამოკიდებულია უმთავრესად იმ მუშაკებზე, რომელნიც ჩაბმულნი არიან და ანდა ჩაბმულ უნდა იქნან ამ საქმეში და ასეთების რიცხვი კი ცოტაა, როგორც რაოდენობით, აგრეთვე ღირსებით, „საქართველოს აბრეშუმ"-მა, როგორც დაინტერესებულმა ორგანიზაციამ, გადასწყვიტა ა. წ. 1-ლ თებერვლიდან მოაწყოს ქ. თბილისში თვენახევრიანი კურსები, რომელნიც განმეორდება ყოველ წლიურად იმ მიზნით, რათა მოამზადოს საბრეშუმო რაიონებისათვის მცოდნე პირები, რომ ამით ადგილებზე შესძლონ როგორც კულტურული მუშაობის წარმოება, ისე ტეხნიკური მხარის რაციონალიზაცია.

კურსანტების შერჩევას „საქართველოს აბრეშუმი" აქცევდა დიდ ყურადღებას, რისთვისაც ამ საქმის მოგვარება მინდობილი ჰქონდა „საქართველოს აბრეშუმი"-ს რწმუნებულებთან ერთად, ადგილობრივ ხელისუფლებას და ორგანიზაციებს. კურსებზედ მოწვეულნი არიან სულ დაახლოვებით 50 კაცამდე, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან კმაყოფით. ადგილები კურსებზე ასეა განაწილებული: ზუგდიდის მაზრის სხვადასხვა რაიონები აგზავნის—7 კაცს, ოზურგეთის—5, სენაკის—5, ქუთაისის—5, შორაპნის—1, რაჭა-ლეჩხუმის—2, აჭარისტანის—1, ამ. საქართველოს—4 და ტრესტის საგრენაჟო სადგურები და ძაფ-სახვევი ქარხნები გზავნიან თითო ორ მსმენელს.

პროგრამის მიხედვით კურსანტები მოისმენენ მეაბრეშუმეობის მრეწველობის სხვადასხვა საგნებიდან 150 ლექციას.

კურსების დამთავრებისას კურსანტები, რომელნიც ნაყოფიერად შეითვისებენ წაკითხულ საგნებს (რაც შემოწმებული იქნება გამოცდებით), გაემგზავრებიან ადგილებზედ და „საქართველოს აბრეშუმი" საზოგადოდ, მოთხოვნილების და მიხედვით, უპირატესობას მიანიჭებს მათ ამა თუ იმ სამუშაოებზე. გარდა ტეხნიკური მუშაობისა კურს განვლილი მოქალაქენი მოწოდებულნი იქნებიან საზოგადო მოღვაწეებად თავიანთ რაიონებში მეაბრეშუმეობის დარგში.

ასეთი წესი სპეციალურ კურსების მოწყობა აუცილებლად საჭიროა, რადგან გვექნება მაქსიმალური გარანტია, რომ კურსდამთავრებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ კერას და გაავრცელებენ ფართე მასაში შეძენილ ცოდნას.

შ. ცქიტიშვილი.

ავტო-ტრანსპორტი საქართველოში

ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის სამმართველოსთან არსებული საქართველოს ავტო-ინსპექციის ცნობებით, უკანასკნელ ხანებში ახალი ავტომობილების დიდი რიცხვი შემოაქვთ საზღვარ-გარეთიდან ამერკომის საშუალებით. ამ ავტომობილებს იღებენ აღრიცხვაზე ისე, რომ მათ არ ეძლევა სარეგისტრაციო მოწმობანი, მაგრამ მათ ეხებათ ქალაქის ნომრის შეძენის უფლება. კერძო პირების ავტომობილებიც არის აყვანილი აღრიცხვაზე ავტო-ინსპექციის მიერ. თბილისში მყოფი მთელ ავტო ტრანსპორტის რეგისტრაცია ხდება ავტო-ინსპექციასთან. პერიოდულად ავტო-ინსპექცია ავტო-ტრანსპორტის აღრიცხვას ახდენს საქართველოს ქალაქებში. ავტომობილების რეგისტრაცია ამ ჟამად გამარტივებულია: აღრიცხვა ხდება მყიდველის და გამყიდველის წერილობით განცხადების თანახმად და საჭირო არ არის ნოტარიული დოკუმენტების ან ოფიციალური საბუთების წარდგენა.

ავტო-ინსპექციის ცნობებით, საქართველოს ავტო-ტრანსპორტი სულ შეადგენს 848 ერთეულს, მათ რიცხვში: 331 მსუბუქი ავტომობილი, 249 საბარგო, 56 ავტობუსი, 172 მოტოციკლეტი და სხ.

აფხაზეთის ავტო ტრანსპორტი შესდგება 83 ერთეულისაგან: 12 ავტობუსი, 35 მსუბუქი, 18 საბარგო ავტომობილი, 8 მოტოციკლეტი და სხვა.

იტალიის საავტომობილო საზოგადოება „ჩიჩე"-ს მიერ გრძელვადიანი სესხის გახსნის გამო, უკანასკნელ ხანებში საქართველოში ძალიან ვრცელდება ამ საზოგადოების ავტომობილები „ფიატი".

ამ ჟამად საქართველოში ძალიან არის გავრცელებული აგრეთვე ავტომობილები „დოდჟი". მოთხოვნილება ფორდის ავტომობილებზე ფრიად უმნიშვნელოა.

საქართველოს ყველა დიდ ავტო-მეურნეობათა ამიერ-კავკასიის „ავტოპრომტორგი"-ს ხელში გაერთიანების გამო შესწყდა კონკურენცია მათ შორის.

ამ ჟამად მცირეოდენი კონკურენცია სწარმოებს მხოლოდ „ავტოპრომტორგი"-სა და კოოპერატიულ საზოგ. „მოტორს" შორის.

საქართველოს ყველა დიდი გარაჟების კონკურენციის შემდეგ ყველა საავტომობილო ხაზების ექსპლოატაციას თითქმის მხოლოდ „ავტოპრომტორგი" აწარმოებს.

საქართველოს ავტო-მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისში დაარსებულია 2 სკოლა: ერთი—ავტომუშაკების მოსამზადებლად და მეორე—მოტო-მუშაკების მოსამზადებლად.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 2 თებერვალს საღამოს 5 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშ კორთა საერთო კრება.

დასწრება ყველა მუშკორთა თვის დაუგვიანებლად სავალდებულოა.

„გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ბიურო სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს, გამოცხადდენ რედაქციის ბინაზე 2 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე.

გვრიტიშვილი ნინო, ტალიკაძე, გუნია ლევან, ნადირაძე ალ., ბერაძე ვ., ჟუონია ა., ბარბაქაძე ვ., დოლიძე ს., ხებრელაშვილი ვ., ბაჯიაშვილი ს., ხიდისთაველი ს., ნაზარბეგიშვილი ვ., მღვრალიშვილი ვ., ჯაში უ., ნოვთლულელი შ., ასლამაზიშვილი ნ., ხერუაშვილი გ., გოგიბერიძე ი., აფხაზავა გ., ნიკოლაიშვილი ა. და უმბრიევი.

კიდევ ერთი კარგი ნიმუში მომჭირნეობისა

საყუდში ორთქლმავლები ხშირად დგანან გამზადებული შესასვლელად. ამ შემთხვევაში მანქანები უნდა იყვნენ მზად, რათა მოთხოვნისათანავე ორთქლმავალი გავიდეს სამუშაოდ.

ორთქლმავლები კი გამზადებული ხანდახან 10 საათი და მეტი დგანან საყუდში. ამ ათ საათში იწვება 20—30 ფუთი სათბობი.

ყოფილ წევის უფროსს ლეონტიევს მოუვიდა თავში ერთი „გენიალური" აზრი, არაა საჭირო ენთოს ცეცხლი 10 საათის განმავლობაში. უნდა გავესიწროთ მომჭირნეობა სათბობ მასალაზე. ამიტომ ასწიეთ ორთქლი 100—150 გირვანქამდე. შემდეგ ჩააქრეთ ცეცხლი; როცა ორთქლი დაიწევს 5—10 გირვანქამდე, ისევ დაანთეთ ცეცხლი, ისევ ასწიეთ ორთქლი და ისევ ჩააქრეთ—იყო მისი ბრძანება.

საყუდმა ასრულა უფროსის განკარგულება და მართლაც მომჭირნეობა გამოვიდა თვალსაჩინო, თუ 1924 წელს თბილისის საყუდში, მაგალითად იანვარში დაიწვა სათბობი მასალა ორი ათასი ფუთი. 1926 წელს ამავე თვეში, ახალი განკარგულების ცხოვრებაში გატარების შემდეგ, დაიწვა ათასი ფუთი. მხოლოდ ერთ თვეში, მხოლოდ ერთ საყუდში გამოვიდა მომჭირნეობა ათასი ფუთი.

ლეონტიევს სიხარულს საზღვარი არ აქვს. ის უკეთებს მოხსენებას უმაღლეს ადმინისტრაციას: დახედეთ და ბიჭი ვარ. რა ნაყოფი გამოიღო ჩემმა განკარგულებამ.

ახლა ვნახოთ რა შედეგი მოჰყვა ამ განკარგულებას. ჯერ კიდევ ზაფხულშივე გამოიღო ნაყოფი ორთქლის აწევამ და ცეცხლის ჩაქრობამ.

ცხადია ორთქლიანი ქვაბის ყველა ნაწილები ძალზე ცხელი და გავარვარებულია, როცა საცეცხლურში ცეცხლი ანთია. რაც უნდა თბილი ამინდი იყოს გარეთ, ჰაერი ბევრად ცივია, შედარებით იმ სათბობთან, რომლითაც გაძღენთილია სორთქლე ქვაბის ყველა ნაწილები.

როცა ცეცხლს ჩააქრობთ, ქვაბის კედლები და ამწილები კიდევ დიდხანს რჩება ცხელი. ამ ცხელ კედლებს ხვდება გარედან შემოსული ცივი ნიავი. ამ ცივმა ნიავმა სავსებით დაარღვია აქ არსებული წონასწორობა. რადგან ქვაბში ძალზე ცხელი წყალი და ორთქლია, ამიტომ ქვაბის შიგნითა ნაწილი ცხელია. გარეთა ნაწილი კი როცა ცივი ნიავი მოხვდა გაცივდა. ამნაირად კედლის ერთი მხარე, გაცივდა მეორე კიდევ ცხელია. ასე მივიღეთ ჩვენ არა ზომიერი გაცხელება-გაცივება ისეთი კედლისა, რომელშიც გაყვანილია 200—300 საკვამლმოწმინდი მილი, ამ გარემოებამ დაარღვია სიმაგრე-სიმტკიცე ამ მილებსა და კედელს შუა და აი აქედან იწყო ორთქლმა და ცხელმა წყალმა გარედ დენა.

ეს დენა ხანდახან ისეთი დიდია, რომ ის აქრობს საცეცხლურში ცეცხლს. ხდის ორთქლმავალს უვარგისად და სათბობ მასალას ასჯერ მეტს სწვავს, ვიდრე გაკეთდა მომჭირნეობა ცეცხლის ჩაქრობის გამო.

ახლა ამას მიუმატეთ რამდენიმე ორთქლმავალმა ვერ შესძლო, სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო, გზაში მუშაობა, დასტოვა მატარებელი და დაბრუნდა უკან საყუდში.

რამდენი ზედმეტი სათბობი დასწვეს მემანქანეებმა გზაში ხსენებულ მილებში ორთქლის და წყლის გამოსვლის გამო.

აბა ერთი გამოიანგარიშოს წევის დარგმა, რომელი აჯობებს. მიაღწია ლეონტიევმა სათბობის მომჭირნეობას?

ნეტავი ინჟინერ ლეონტიევის მემკვიდრენი კიდევ აპირებენ მისი „ეკონომიის" პოლიტიკის გაგრძელებას?

დუდაბი.

საურთიერთო სალაროს ნუ მისცემთ ვაჭრულ ხასიათს

თბილისის რკინიგზის საავათმყოფოს ადგილკომთან არსებობს საურთიერთო დამხმარე სალარო, რომელიც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ვისაც უჭირს და არ უჭირს ყველას აძლევს სალაროს გამგეობა სესხს, თუ კი განცხადება შეიტანა სესხის შესახებ. რათ გინდა ფული სალაროებში, გავასესხოთ წევრებზე პროცენტებით—გაიძახის გამგეობა.

ეს კი არ არის საურთიერთო სალაროს დანიშნულება. ბევრი ისეთი წევრებიც ჰყავს სალაროს, რომლებსაც ერთ წელიწადზე მეტი აქვთ წაღებული ფული და არ შემოაქვთ. გამგეობა კი ყურადღებას არ აქცევს.

ზოგჯერ ქონდა სალაროს წევრებს უბედური შემთხვევები, მაგრამ როდესაც მიმართავდენ გამგეობას, სალაროში ფული არ იყო და რას ასესხებდენ. სალაროს კი ამ დროს ფულები პროცენტებზე ქონდა გასესხებული; ნუ თუ ადგილკომი არ ხედავს სალაროს გამგეობის მოქმედებას. საჭიროა ადგილკომმა ყურადღება მიაქციოს და შეისწავლოს საურთიერთო სალაროს დანიშნულება.

მუშკორი—კოლოდიუმი.

მიეცით სპეცტანთსაცმელები

რკინისგზის საავათმყოფოს მუშები რამდენი ხანია საზამთრო სპეცტანისამოსს უცდიან, მაგრამ დღესაც არაფერი ეშველა მის მიღებას. ზამთარი თითქმის გადის და საავათმყოფოს მომვლელ ქალებს და სანიტრებს ჩუსტების მეტი არაფერი არ მიუღიათ. მართალია, მუშების ნაწილმა მიიღო სპეცტანსაცმელები, მაგრამ განყოფილების მომუშავეებზე ჩუსტების მეტი არ მიუღიათ, როდესაც მათ უხდებათ გარედ სიცივეში სიარული.

საჭიროა მათაც მიეცეს სრული სპეცტანსაცმელები.

მუშკორი გრამ-იტონი.

ნათლიმამობა

თბილისის სარონოდო ფარეხში უფროს ოსტატის თანაშემწედ დანიშნულია ვინმე პარმენ სირბილაძე. ვინ დანიშნა, ან როგორ მოხვდა ის უფ. ოსტატის თანაშემწედ? უფრო გამოცდილს, მცოდნეს და დაინტერესებულს ხსნიან. არამცოდნეს კი ნიშნავენ, რომელმაც რონოდის ნაწილის სახელებიც არ იცის. ის უცოდინარობისათვის განდევნეს ბაქოიდან. შემდეგ მიიღეს სამტრედიაში, ბოლოს როგორღაც შეძვრა თბილისის სარონოდო ფარეხის სამორიგეო ოთახში გამცილებელ - გამზეთველების საწყობის გამგედ, აქედან კი უფროსი ოსტატის თანაშემწედ.

იანვრის დასაწყისში შესაკეთებლად დააყენეს სახალხო რონოდი № 2145. მას სჭირდებოდა შეკეთება. ბრიგადირის ჩვენებით ეს რონოდი უნდა გაკეთებულიყო რამოდენიმე დღეში. საუბედუროდ პ. სირბილაძემ თავისებურად მოინდომა შეკეთება, რომელმაც 10-ჯერ და 15-ჯერ მეტი ხარჯები გამოიწვია, ვიდრე ამას თითონ რონოდი თხოულობდა და დღემდეც ხსენებული რონოდი შეკეთებაშია. მას არა ესმის რა რონოდის შეკეთებისა და უფ. თანაშემწედ კი დანიშნეს. ვინ დანიშნა, რაშია საქმე? საჭიროა გამოირკვეს ვინ დანიშნა პ. სირბილაძე ამ თანამდებობაზე. ის გადაყვანილი უნდა იქნეს იმ თანამდებობაზე, რაც მას შეეფერება.

დროა ნათლიმამობა ერთხელ და სამუდამოდ ძირფესვიანად ამოფხვრას, განსაკუთრებით რონოდის ფარეხში.

მუშკორი ალი ოღლი.

დაიცავით შრომის კანონები

რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით ხაშმაში, ბალაჯარში, აჯიკაბულში, ევლახში და სხვ. ახალი წესით მოეწყო ახალი სალაროები. მოლარეებს დაეკისრათ, როგორც ყოველგვარი ჯილდოების დარიგება მუშა-მოსამსახურეებზე, ისე ადგილობრივ შემოსავლის ანგარიშთ-წარმოება და თბილისში გზავნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი სხვადასხვა სახის მოვალეობის დაკისრებამ ამ ხალხზე, მეტად საშინელი შრომის პირობები შეჰქმნა. ავიღოთ მაგალითისათვის აჯიკაბული—აქ მოლარე იწყებს მუშაობას დილის 7 საათზე და ათავებს საღამოს 5 საათზე. შემდეგ იწყებს დარიგებულ ჯილდოების ანგარიშს, ამას მისდევს სადგურის შემოსავლის ანგარიში და მისი გამზადება თბილისში გასაგზავნად. ღამის 1 საათზე უნდა შეხვდეს თბილისიდან მომავალ მატარებელს ფულების მისაღებად, ვინემ ამ უკანასკნელს გასინჯავდეს და დაითვლიდეს გადის ორი-სამი საათი. შემდეგ ღამის 4 საათზე ხვდება თბილისისაკენ მიმავალ მატარებელს ანგარიშების გასაგზავნად თბილისში. ამრიგად მის განკარგულებაში, დასვენება-დაძინებისათვის, რჩება თავისუფალი დრო ოთხი-ხუთი საათი—ასეთი მდგომარეობა გრძელდება ყოველდღე. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ ამ ხალხის უმრავლესობას არ აქვთ მოწყობილი სალაროები და არც ღამის გასათევი ბინები, მაგალითად, როგორც ევლახი, მკითხველისათვის ნათელი წარმოსადგენი იქნება ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიაც ამ ხალხს უხდება ცხოვრება.

არც საქ. პასუხისმგებელ შრომის არტელის გამგეობა და არც რკ. გზათა სამმართველო არ უწევს თავს ამ შრომის კანონების გარეშე დაყენებულ მოლარეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ასეთ არა ნორმალურ მოვლენას ხომ შეუძლია ერთის მხრივ ათასობით ზარალი მიაყენოს რკინის გზას და მეორე მხრივ კი ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანოს თვით მშრომელნი.

მ. ო—რი.

ფ. მახარაძის უბანი. (ყოფ. საბურთალო)

დელეგატების დელეგატებზე ვაგზავნით, პრესაშიც ბევრჯერ გამოვამჟღავნეთ, აქედან არჩეულ საბჭოს წევრებსაც ბევრჯერ დავავალეთ, რომ სასმელი წყალი მოეცა ჩვენთვის ქალაქის აღმასკომს, მაგრამ არ იქნა და არა. გასულ ზაფხულს დაიწყო მუშაობა ამ უბნის ერთ ნაწილში—ახალშენში. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, ეხლა მაინც გვეშველა თქო, მაგრამ უცბად მიგვატოვეს, ვერც იმ ნაწილში მოათავეს ქსელის გაფართოება და ის ნაწილი კი, რომელსაც საბურთალო ეწოდება და რომლის მცხოვრებნი უფრო მეტ გაჭირვებას განიცდიან, უწყლობით მთლად მიატოვეს. ამ უბანში არის ერთი ონკანი, რომელსაც ზოგიერთი მცხოვრებლები 1—2 ვერსით არის დაშორებული. ამასთან ეს ონკანი სამხედრო გზის პირადაა, რის გამო დილიდან საღამომდე მწკრივში არიან და ისმის ლანძღვა-გინება.

აღმასკომი, შეკითხვ ამხ. დიასამიძეს, რას ავიმდურის ის ჩვენ, და თუ არ გვიმდურის როდის გვაღირსებს წყალს.

გულშემატკივარი.

მუშათა ქრონიკა

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"

— 21 იანვარს კოლოფების ქარხნის სარედაქციო კოლეგიამ ქარხანაში გამოუშვა კედლის გაზეთის სპეციალური №-ი ლენინის სამი წლის გარდაცვალების და 1905 წლ. 9 იანვარს დახოცილ მუშების ხსოვნის აღსანიშნავად.

კედლის გაზეთი დამაკმაყოფილებელია, როგორც შინაარსით აგრეთვე გარეგნობითაც.

— ამავე ქარხნის კულტკომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა კულტმუშაობის ექვსი თვის გეგმა.

პროფკავშირებში

საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის რეზოლიუციების შესასწავლად

ა. კ პროფსაბჭომ ყველა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს და სახალხო შეერთების მუშაკთა და რკინისგზელთა ა. კ. კომიტეტებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აღნიშნავს შემდეგს:

— ეხლახან დამთავრდა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მე-7 ყრილობა, რომელმაც ჯამი გაუკეთა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების მიერ გასული ორი წლის განმავლობაში ჩატარებულ დიდ მუშაობას. მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად ყრილობამ აღნიშნა აგრეთვე მთელი რიგი უარყოფითი მომენტები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენი პროფორგანიზაციების მუშაობაში.

ამასთანავე მე-7 ყრილობამ საბჭ. კავშ. პროფმოძრაობის წინაშე წამოაყენა მთელი რიგი რთული ამოცანები, რომლებიც გამოწვეულია ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და მრეწველობის ახალ, მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე გადაყვანის მორიგი ამოცანებით.

მე-7 ყრილობის მიერ წამოყენებული ამოცანები შეიძლება პრაქტიკულად გადაწყვეტილი იქნეს ა. კ., პროფორგანიზაციების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გადაწყვეტის საქმეში ჩაბმული იქნებიან კავშირების მრავალი ასეული ათასი წევრები.

რომ უზრუნველყოფილი იქნეს კავშირების წევრების ასეთი მონაწილეობა ამ ამოცანების გადაწყვეტაში, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ყრილობაზე მიღებული დადგენილებები და იქ გარჩეული საკითხები გავაცნოთ საკავშირო მასას.

ყრილობის მუშაობის გაშუქება უნდა შეადგენდეს პროფკავშირების საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის შინაარსს უახლოეს პერიოდში; ამასთანავე ყრილობის დადგენილებების დამუშავება უნდა ხდებოდეს არა კამპანიის წესით, არამედ გეგმაშეწონილად, როგორც მორიგი მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს მუშაობა არ უნდა გამოიხატოს მარტო რეზოლიუციების გარჩევაში, რომ ეს გადაწყვეტილებები გასაგები გახდეს პროფაქტივისა და კავშირების წევრებისათვის, საჭიროა მათი დაკავშირება ადგილობრივ პრაქტიკასთან და მათი დასაბუთება სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მოხსენებიდან ამოღებულ ცნობებით.

ქუთაისის პროფბიუროში

ქუთაისის სამაზრო პროფბიუროს გამგეობის სხდომაზე, განხილული იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოს სახკინმრეწველობასთან დადებული კოლხელშეკრულება ქუთაისის კინოებზე, რაც გამგეობამ დაამტკიცა.

შემდეგ პროფბიუროს გამგ. მოის. ამხ. მონიავას მოხსენება ბაღდადის სამდივნოს მუშაობის გამოკვლევის შესახებ, ბაღდადის სამდივნოს მუშაობა გამგეობამ სცნო დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მომავალში მუშაობის უფრო გასაღრმავებლად გამგეობამ მისცა სათანადო პრაქტიკული მითითებანი ზოგიერთ საკითხებზე, უმთავრესი ყურადღება მიექცა იმას, რომ იგზავნებოდეს წერა-კითხვის უცოდინარნი და მცირე მცოდნენი სალიკვიდაციო სკოლებში, გაეწიოს განსაკუთრებული ხელმძღვანელობა მიწა-ტყის კავშირის მოჯამაგირეთა შორის მუშაობის წარმოებაში და მიღებული იქნას ზომები რათა კავშირების წევრნი მთელი 100 პროც. ჩაბმული იქნან კოოპერაციაში.

ვ. სულაქველიძე.

პროფ. ქრონიკა

— **დახმარება უმუშევრებს.** აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო უმუშევარ კავშირის წევრებისათვის ადგილობრივ მოაწყოს იაფფასიანი სასადილო. აქედან ყოველდღიურად სრულიად უფასოთ გაცემული იქნება 50 სადილი.

— **კურსების გახსნა.** საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ც. გ. და ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ც. გ. ერთად მუშაკთა გადასამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გახსნა კურსები ქართულ და რუსულ ენაზე, მეცადინეობა დაიწყო ა. წ. 18 იანვარს.

— **მისასალმებელი დეპეშა.** აჭარისტანიდან შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა მიიღო საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ:

„აჭარისტანის განათლების მუშაკების მეექვსე კონფერენცია ესალმება პროფსაბჭოს, რომელიც სდგას მუშათა მასების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და განათლების მუშაკებს, რომლებიც მეტად საპასუხისმგებლო მუშაობას ეწევიან მშრომელთა შორის.

— **განმარტება.** ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილება განუმარტავს ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, რომ კავშირების უმუშევართა წევრები თავის წარმომადგენლებად ყრილობებსა და კონფერენციებზე გასაგზავნად ირჩევენ არა აღრიცხვაზე მყოფ უმუშევართა რიცხვიდან, არამედ საზოგადო კრებებზე გამოცხადებულ უმუშევართა რიცხვის მიხედვით.

აბდურაჰიმ ახვერდოვი

(მისი 35 წლის იუბილეს გამო)



გამოჩენილი თურქი ბელეტრისტი აბდურაჰიმ ახვერდოვი დაიბადა შუშას მაზრაში 1870 წლის მაისში. მან ადრე დაკარგა მამა, ყოფ. სახაზრო სამართველოს თარჯიმანი და ამიტომ დაწყებითი განათლება მას მიაღებინა მისმა ბიძამ, ხოლო შემდეგ მამინაცვალმა.

საშუალო განათლება მან მიიღო შუშას და თბილისის რეალურ სასწავლებლებში. საშუალო განათლების დასრულების შემდეგ 1891 წ. ახალგაზრდა ახვერდოვი მიემგზავრება ყოფ. პეტერბურგში, სადაც შევიდა საგზაო ინსტიტუტში, მაგრამ მალე მიანება მას თავი და გადავიდა უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1899 წ. მომავალი მწერალი ხელს ჰკიდებს მასწავლებლობას და განჯის გუბერნიიდან არჩეულ იქნა დეპუტატად 1-ლ სახელმწიფო სათათბიროში.

სათათბიროს დაშლის შემდეგ ახვერდოვი ბრუნდება ამიერ-კავკასიაში და ეწევა სამწერლო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

პირველი თავისი თხზულება და, აგრეთვე, პირველი დიდი დრამა ახვერდოვმა დასწერა პეტერბურგში 1892 წელს.

შემდეგ ამას მოჰყვა მისი სხვა ნაწარმოებნი: „ალა მამამედ შახ კაჯარი", „უბედური ახალგაზრდა", „ფარი ჯადუ" (უდიდესი დრამები), „ხალხის მეგობარნი", „მირზა ფატალი ახუნდოვი", „მშეერი ბავშები", „ვინ არის დამნაშავე?" და სხვა წვრილი კომედიები.

უკანასკნელ ათ წლის განმავლობაში მის მიერ დაწერილია შემდეგი რევოლიუციონური პიესები: „ლადიმშის სიყვარული", „ხის ჩრდილ ქვეშ", „სიმართლის კარი", „ვაყიდა", „წითელი დედაკაცი", „ოქროს ვერძი".

მწერალს გადმოთარგმნილი აქვს „ჰამლეტი", „გაზავატი", „ებრაელნი" და „პუპი".

ამ ჩამოთვლილ ნაწარმოებს გარდა, ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა თურქულ გამოცემებში გაბნეულია 35 წლის განმავლობაში მის მიერ დაწერილი ფელეტონები, მოთხრობები, წერილები და სხ.

ამჟამად ეს დიდი დრამატურგი და მწერალი კითხულობს თურქული ლიტერატურის ისტორიის ლექციებს აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სახელმწიფო თურქულ დრამის მიერ არჩეული საიუბილეო კომისია დარწმუნებულია, რომ ა. ახვერდოვის 35 წლის განმავლობაში ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობის ალსანიშნავი იუბილე, დანიშნული 1927 წლის 4 თებერვლისთვის თბილისში, რუსთაველის თეატრში, ფართე გამოხმაურებას ჰპოვებს როგორც თბილისში, ისე მის გარეთ, განსაკუთრებით მშრომელთა მასებში.

საიუბილეო კომისიის საპატიო თავმჯდომარენი:

ს. აღამალი-ოღლი, ს. ხანოიანი, ფ. მახარაძე, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. დ. ჰუსეინოვი, კარინიანი, დ. ვ. კანდელაკი, მ. ყულიევი, ჭარიამი (რახილაშვილი), ა. მრავიანი, ტ. შახბაზი, აკოფ აკოპიანი, მუსაბეგი, მ. დ. ბაგიროვი.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე: რ. ნეჯაფოვი.

საიუბილეო კომისიის წევრნი:

მ. ა. აბასოვი, ზ. ა. აბასოვი, ტ. ბლუზაბლოვა, ა. ახუნდილი, ზ. გუხეიქავშვილი, ა. ყარიბი, ნ. გოცირიძე, შ. დუდუჩავა, მ. ჯაფარლი, ი. ისპაჰანელი, მ. ა. ნარიმანოვი, ა. შირვანსკი, ა. შარიფოვი, ვ. პაპაზიანი, ა. სალახლი, ა. სარუხანიანი, კ. სუზხანკულოვა, ა. სურხატიანი, ა. ტაგი-ზადე, ა. იუზბაშევი, ა. იუსუფოვი.

კომისიის მდივანი: ა. სეიდი.

ყრილობები და თათბირები

ა.-კ. მეორე სამალარიო ყრილობა

მეორე დღე

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებები ადგილებიდან. ეს მოხსენებები იძლევიან შემდეგ სურათს მალარიის გავრცელებისას სხვადასხვა რაიონებში:

აჭარისტანში

აჭარისტანში მალარიის გავრცელებისა და მასთან ბრძოლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მეველიძე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აჭარისტანში მალარიის გავრცელებას ძლიერ უწყობს ხელს დაჭაობიანებულ ადგილების სიმრავლე. სულ აჭარისტანში არის 5.050 დესეტინა ჭაობი. აჭარისტანში არსებობს მალარიასთან მებრძოლი 19 დაწესებულება.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება მომავალ მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ მალარიასთან ბრძოლის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ქინიზაციას და სამალარიო სადგურების გამრავლებას და შესაფერი თანხის გადიდებას.

ბაქოში

ქალ. ბაქოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების წარმომადგენელი ამხ. შიფრინი, აღნიშნავს, რომ მალარია დიდ ზიანს აყენებს ქალაქს და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მოწყობილია მალარიასთან მებრძოლი ქსელი—ავადმყოფობა მაინც არ მცირდება.

ერევანში

ერევანსა და მის რაიონში მალარიის გავრცელების შესახებ მოხსენებას აკეთებს ექ. ბადალიანი. იგი აღნიშნავს, რომ ირევნის რაიონში არსებობს მალარიით დაავადების ყველა ფორმები. მოსახლეობის სამი მეოთხედი ავათ არის ამ სენით.

სენის გავრცელების მიზეზათ, მომხსენებელი ასახელებს წყალთა მეურნეობის ცუდად დაყენებას და მთელ რიგ სხვა მიზეზებს.

თბილისში

თბილისში და მის მაზრაში მალარიის გავრცელების შესახებ მოხსენებას აკეთებს ექ. კანდელაკი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქალაქის აღმასკომის მიერ მიღებული ზომებით ქალაქის განაპირა უბნებში მალარია თითქმის სრულებით მოისპო. ხოლო მაზრაში ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის სასურველათ მოგვარებული საქმე. ეს ითქმის უმთავრესად ყარაიაზის რაიონზე, სადაც აღნიშნული სენი განსაკუთრებულ სიმძაფრით მძვინვარებს.

წითელი ჯვრის მოხსენება

საქ. წითელი ჯვარის საზოგადოების სახელით ყრილობაზე მოხსენებით გამოდის ამხ. ზერიძე.

მომხსენებელი ეხება იმ ზომებს და ღონისძიებებს, რომელიც მიუღია საქ. წითელი ჯვარის საზოგადოებას მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

გარდა ამისა წითელი ჯვარის საზოგადოება შეუდგა სამალარიო სადგურების გახსნა-მოწყობას და საექიმო პუნქტების დაარსებას პროვინციაში, ხოლო თბილისში მოწყობილი აქვს ცენტრალური ამბულატორია.

სომხეთის წითელი ჯვარის საზოგადოების მუშაობის გარშემო მოხსენებით გამოდის ამხ. ადიბეგიანი.

სულ სომხეთის საზოგადოებას მოწყობილი აქვს სამი ტროპ. სნეულებათა სადგური და რაოდენიმე პუნქტი. 1926 წლის განმავლობაში სულ გატარებულია ამ დაწესებულებებში 35.776 ავათმყოფი.

მეოთხე სხდომა

ყრილობის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება ა.-კ. რკინის გზების და კ. წითელ-დროშოვანი არმიის სანიტარული სამმართველოს წარმომადგენლების.

მალარია რკინის გზებზე

მომხსენებელი ექ. კანდელაკი, აღნიშნავს, რომ ზოგიერთ რაიონებში მალარიის გავრცელებას ხელს უწყობს რკინის გზა, ვინაიდან ფერდობებიდან ჩამოსული წყალი გუბდება რკინის ლიანდაგთან და აჭაობიანებს რაიონს. ამის გამო შემუშავებულია მთელი რიგი ზომები ასეთი ადგილების დასაშრობათ, რისთვისაც მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია შესაფერი თანხის გადიდება.

მალარია არმიაში

წითელ არმიის ნაწილებში მალარიის გავრცელების შესახებ მოხსენებით გამოდის ექ. შტეინგელი, რომელიც უშლის ყრილობას ვრცელ სურათს, თუ სად ან რომელ რაიონში უფრო გავრცელებულია ეს ავადმყოფობა არმიაში.

ჯარის რიგებში საშუალოთ ყოველწლიურათ ავათ ხდება ამ სენით საგრძნობი პროცენტი. ამის გამო გადაწყვეტილია საბანაკო რაიონებში სასწრაფოდ იქნას გატარებული სხვადასხვა პროფილაქტიური ღონისძიებანი.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ ყრილობის მეოთხე სხდომა დაიხურა.

მესამე დღე

დილის სხდომა

ყრილობის მუშაობის მესამე დღის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი მოხსენებათა გარშემო. ორატორები აღნიშნავდენ ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობას და განმარტავდენ რომ საჭიროა ზოგიერთგან უფრო გაღრმავებული იქნეს მალარიასთან ბრძოლის საქმე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. მარლანოვსკიმ, პროფ. დრონზდოვსკიმ, ექ. აბაკელიამ, ჯანსახკომის სანიტ-ეპ. განყ. გამგემ ნაზარეტიანმა და სხ.

სხდომის დასასრულს ყრილობაზე წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები უზბეკისტანის ჯანსახკომიდან. რ. ს. ფ. ს. რ. ჯანსახკომის წარმომადგენელ—სისინიდან, სომხეთის მთავრობისაგან და სხვ.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე სიტყვა მიეცათ მომხსენებლებს ოპონენტებისთვის პასუხის გასაცემათ.

შემდეგ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. მარლანოვსკი, რომელიც შეეხო მალარიასთან ბრძოლის საქმეს სხვადასხვა ქვეყნებში.

მალარია ევროპაში

მომხსენებელი მარლანოვსკი აღნიშნავს, რომ მალარია არის ერთი უძველესი სენთაგანი, რომელსაც იცნობდა ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი.

პირველათ მალარიასთან ბრძოლა დაიწყეს ძველმა რომაელებმა და ამას უნდა მიეწეროს, რომ დღესაც იტალია ითვლება, ისეთ ქვეყნად, სადაც ყველაზედ უკეთაა მოწყობილი ამ სენთან ბრძოლის საქმე. 1925 წლის განმავლობაში მომხსენებელს პირადათ ჩამოუვლია ყველა უცხო ქვეყნები და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი და კერძოთ, ამიერ-კავკასია არც ისე ჩამორჩენილია ევროპიულ ქვეყნებთან მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

ევროპაში მალარია მძვინვარებს თითქმის ყველა სახელმწიფოებში შვეციაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში და ამერიკაში.

ამერიკაში, მომხსენებლის გადმოცემით მალარიასთან ბრძოლას აწარმოებენ აეროპლანებიდან სხვადასხვა წამლების მოპკურებით, რითაც აბსოლიუტურათ მოისპეს ციებ-ცხელება პანამის ყელზე.

სენთან ბრძოლის ახალი საშუალება

სენთან ბრძოლის ახალი საშუალების შესახებ მოხსენება გააკეთა ექ. ვოსკრესენსკიმ, რომელმაც აღნიშნა ბრინჯის პლანტაციების ხანგამოშვებითი მორწყვის მნიშვნელობა მალარიასთან ბრძოლის საქმეში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბრინჯის პლანტაციები იწვევენ მალარიის კოღოების გავრცელებას, ამიტომ აზერბეიჯანში ჩატარებულ იქნა პლანტაციების ხანგამოშვებითი მორწყვა ახალი საშუალებით, რამაც შესამჩნევათ შეამცირა მალარიის გამავრცელებელ მწერების რიცხვი.

მოხსენების დასრულების შემდეგ სხდომა დაიხურა.

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

მესამე სხდომა

კამათი ამხ. ივანოვის მოხსენების გარშემო

ამხ. ივანოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 29 ამხანაგმა. ყველა ორატორები აღნიშნავდენ შრომის დისციპლინის შესუსტებას რკინის გზაზე. ადმინისტრატიული დარგის წარმომადგენლები მოითხოვდენ ადმინისტრაციის უფლებების გაფართოებას. პროფორგანიზაციების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ ზოგიერთ ადმინისტრატორების თვითნებობას, რაც ზოგ შემთხვევაში გამოიხატება მუშა-მოსამსახურეთა შტატის მასიურ შემოკლებაში. ასეთ შემთხვევებს განსაკუთრებით ჰქონია ადგილი მოძრაობის დარგში. ადგილზე ადმინისტრაცია ხშირად სწყვეტს ისეთ საკითხს, რის უფლებაც არ აქვს პროფორგანოსთან შეთანხმების გარეშე.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ მართალია ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დიდი მუშაობა შეასრულა, მაგრამ მიუხედავად ამისა მოუგვარებელია ისეთი გადაუდებელი საკითხები, როგორიც არის მაგალითად, ისრების ცენტრალიზაციის მოწყობა, შპალების გამოცვლა, მოძრაობის მოწესრიგება და სხვ. ამას გარდა ოპონენტები უთითებდენ ბიუროკრატიზმის კერძო მაგალითებზე, რომელსაც ადგილი აქვს ადმინისტრატიულ აპარატში და მოითხოვდენ აპარატის რაციონალიზაციის დაუყოვნებლივ გატარებას. შეეხნენ აგრეთვე მოწყობეთა ტარიფისა და დაბალი მუშათა თანამდებობის საკითხს.

თითქმის ყველა ოპონენტმა აღნიშნა შრომის დისციპლინის დაქვეითება რკინის გზებზე და მოითხოვეს სათანადო კამპანიის ჩატარება.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ივანოვის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ლევშოვმა, სტეფანოვმა, დემენტიევმა და სხვ.

ოპონენტები შეეხნენ უმთავრესად ტეხნიკურ საკითხებს.

საპასუხო სიტყვაში ამხ. ივანოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რკ. გზის ტრანსპორტი ტეხნიკურ გაუმჯობესების გზაზეა დამდგარი, მაგრამ მას ესაჭიროება ტეხნიკურ მიღწევათა განმტკიცება. ამისათვის საჭიროა მუშაობა შრომის დისციპლინის აღსადგენათ და ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად.

შემდეგ იგი შეჩერდა რკ. გზის ფინანსიურ მდგომარეობაზე და აღნიშნა მიღწევები და ნაკლოვანებანი ამ დარგში. მანვე აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია ვერ სარგებლობს იმ უფლებებით, რომელიც მას აქვს და ამიტომ მისი უფლებების გაფართოებაზე ლაპარაკი ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

ამხ. ივანოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო გამგეობის მუშაობა და გამოჰყო კომისია 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა რეზოლიუციის პროექტის დამუშავება.

ამით დაიხურა მეოთხე სხდომა.

მეხუთე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. უსტიაშვილის მოხსენება საკილომეტრო ჯილდოების გადიდების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯილდოების გადიდებას საფუძვლად დაედო რეალური ხელფასის განმტკიცების პრინციპი. ამის გამო, საკილომეტრო ჯილდო ვრცელდება სამანევრო ორთქლმავალთა ბრიგადებზე და იმ ორთქლმავალთა ბრიგადებზე, რომელთა გახურება სწარმოებს ნახშირის საშუალებით. ბრიგადების ხელფასი იზრდება თვალსაჩინოთ.

რაც შეეხება კონდუქტორთა ბრიგადების საკილომეტრო ჯილდოს გადიდებას, ეს საკითხი ამ ჟამად მუშავდება საგზაო კომიტეტსა და რკ. გზ. გამგეობაში.

საკილომეტრო ჯილდოების გადიდება ვრცელდება ვაგონების გამშვეთავეებზე და გამწურებლებზეც.

ამხ. უსტიაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. გრიგორიანმა, გოგოლაშვილმა და სხვ., რომლებმაც აღნიშნეს საკილომეტრო ჯილდოების გავრცელების საჭიროება მიმწოლ ორთქლმავალთა ბრიგადებზეც.

ამხ. უსტიაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ დაიხურა მეხუთე სხდომა.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

გუშინ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში შემდეგი ამინდი იყო:

თბილისში

მოწმენდილი, მზიანი დღე. დილით ღრუბლიანი. ტემპერატურა 6,2 გრადუსი. ქარი არ ქრის.

სოხუმში

მოწმენდილი დღეა. ქარი არ ქრის. ზღვაზე სიწყნარეა. ტემპერატურა 2,7 გრადუსია.

ბათომში

ზღვაზე სიწყნარეა. ქარი არ ქრის მოწმენდილია. ტემპერატურა 2,8 გრადუსი.

სამტრედიაში

მოწმენდილი, მზიანი დღეა. ტემპერატურა 0,4 გრადუსს უდრის. ქარი არ ქრის.

ჭიათურაში

ღრუბლიანია. ტემპერატურა—1,5 გრ.

ბორჯომში

ღრუბლიანია. ტემპერატურა—9,8 გრ. სიწყნარეა.

აბასთუმანში

მოწმენდილია. ტემპერატურა—12,7 გრადუსი. სიწყნარეა.

გუდაურში

ღრუბლიანი დღეა. ტემპერატურა—8,9 გრადუსს უდრის. ქრის სუსტი ქარი.

გორში

სიწყნარეა. ღრუბლიანი დღეა. ქარი არ ქრის. ტემპერატურა—11,1 გრ.

საგარეჯოში

ღრუბლიანია. ქრის სუსტი ქარი. ტემპერატურა—3,6 გრ. უდრის.

ლენინაკანში

ღრუბლიანია. ქრის სუსტი ქარი. ტემპერატურა—20,6 გრადუსს უდრის. რაიონში ხანგამოშვებით წვიმს. ჯაჯურის უღელტეხილზე სიწყნარეა.

ბაქოში

ხანგამოშვებით სწვიმს. ღრუბლიანი დღეა. ტემპერატურა 5,2 გრადუსს უდრის.

ამრიგად, შემჩნეულია ქარების საერთო მიწყნარება და ტემპერატურის აწევა, თუმცა სომხეთში ყინვები კვლავ გრძელდება. კასპიისა და შავიზღვაზე სიწყნარეა. შავიზღვის სანაპიროებზე კარგი დარები დგას. კასპიის ზღვის სანაპიროებზე ხანგამოშვებითი სუსტი წვიმებია.

ანგარიშწარმოების

გამარტივება

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძირითად ამოცანებს ანგარიშწარმოების დარგში შეადგენს ანგარიშწარმოების, კალკულიაციის, ბალანსის და სხვ. ყველაზე უფრო საუკეთესო ფორმების შემუშავება და შემოღება დაწესებულებებში.

ამისდა მიხედვით და ახალი გეგმის დირექტივების თანახმად, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამჟამად შეუდგა ანგარიშწარმოების სისტემის შესწავლას სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში; აღნიშნული მუშაობის მიზანია ანგარიშწარმოების, რაც შეიძლება მარტივი და ნათელი სისტემის შემუშავება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ ორგანიზაციის ნამდვილი მდგომარეობის და მუშაობის გაცნობა.

საკითხის შესწავლის პროცესში მუშათა და გლეხთა ინსპექცია გამოარკვევს და შეიმუშავებს ანგარიშწარმოების საჭირო სისტემას.

ცეკავშირში

კოოპერატიული წრეები

„ცეკავშირ“-მა ზუგდიდის მაზრაში მოაწყო 9 კოოპერატიული განათლების წრე. ახლო ხანში, ასეთი წრეები გაიხსნება კახეთში. ამ მიზნით გაიგზავნება ამ დღეებში სპეციალურად ინსტრუქტორი წრეების მოსაწყობად.

მატყლი

„ცეკავშირი“-ს ცნობით გასული წლის განმავლობაში ძირითად კოოპერატიულ ქსელის საშუალებით დამზადებულა 68.470 ფუთი მატყლი. მატყლის რეალიზაცია სწარმოებდა უმთავრესად საბჭოთა რესპუბლიკებში.

ოქტომბრის რევოლუციის

10 წლის თავის აღსანიშნავად

ა.-კ. ცაკთან ოქტომბრის ათი წლის თავის ჩასატარებლად მოწყობილმა კომისიამ თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავა მუშაობის გეგმა.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების იღწევათა საილუსტრაციოთ მოწყობილი იქნება ა.-კ. სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურული გამოფენა. გამოფენასთან ერთად ჩატარდება წითელი ზეიმ-დღესასწაულები. ბავშვთა, მუშა და გლეხ-ქალთა, ფიზკულტურის და სხვა.

სალიტერატურო, სამხატვრო და საგამომცემლო დარგში განზრახულია პოპულიარული კრებულების გამოცემა მუშებისა, გლეხებისა, წითელ-არმიელებისა და ბავშვებისათვის საბჭოთა ხელისუფლების ისტორიიდან და აგრეთვე მხატვრულ პლაკატების და ალბომების მთელი სერიის გამომუშავება. მოკლე ხანში გამოცხადებული იქნება კონკურსები: პიესებზე, რომელთაც უნდა გამოხატონ ოქტომბრის მონაპოვარნი—ქალაქისა, სოფლისა, წითელარმიისა და ბავშვებისათვის; კინო-სცენარებზე და ა.-კ. ერთა ძმობის ჰიმნზე.

ა.-კ. სამეურნეო ბალანსი

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ზაკანდინის მოხსენება ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიდი ხანია მომწიფდა ბალანსის შედგენის საკითხი და საჭიროა დაწყებული იქნეს მუშაობა არა მარტო 1924—25 წლის, არამედ 1925—26 წლის ბალანსის შესადგენათაც.

მომხსენებლის მიზანშეწონილად მიაჩნია დაარსებული იქნეს ამირ - კავკასიის საგეგმო კომისიასთან სპეციალური საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს ბალანსის შესადგენ მუშაობის გეგმის და მეთოდოლოგიის დამტკიცება და ბალანსის წინასწარი განხილვა. 1924—25 და 1925—26 წლის ბალანსების დამთავრების ვადა დაწესებული უნდა იქნეს იმ ანგარიშით, რომ შესაძლებელი გახდეს ბალანსების გამოყენება 1927—28 წლის საკონტროლო ციფრების და ბიუჯეტის შედგენის დროს.

საგეგმო კომისიამ დაადგინა ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის 1924—25 წლის ბალანსის შედგენა დაავალოს ამიერ - კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, რომელმაც ეს ბალანსი განსახილველად უნდა წარადგინოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1-ლ ივლისისა.

ამიერ - კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსს — ამხ. გრიგორიანს დაევალა წარადგინოს საგეგმო კომისიაში საუწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობის პროექტი.

საკრედიტო ქსელი

ამიერ-კავკასიაში

1925 წლის პირველ იანვრისათვის ამიერ-კავკასიაში საკრედიტო დაწესებულებათა საერთო რიცხვი ფილიალებითურთ უდრიდა 40 ერთეულს. აქედან ძირითადი დაწესებულება იყო 19; ფილიალები—12, (სახელმწიფო ბანკს აქვს რვა განყოფილება, საქ. სამ. სას. ბანკს 4, აზერ. სა.-სამ. ბანკს—5; კოოპერატიულ ბანკს—1, თბილისის კომუნალურ ბანკს—2, და სომხეთის კომუნალურ ბანკს—1).

1926 წ. პირველი იანვრისათვის საკრედიტო ქსელი შესამჩნევად გაფართოვდა. ამ დროისთვის საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი უკვე აღწევს 59-ს, ე. ი. წინა წელთან შედარებით მათი რიცხვი 57,5 პროც. გადიდებულა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საკრედიტო ქსელის ზრდა, როგორც ძირითად დაწესებულებათა, ისე ფილიალების ხაზით მიმდინარეობს თითქმის თანაბრად — უმთავრესად 25 წლის მეორე ნახევარში. 1926 წლის განმავლობაში ზრდის ტენდენცია თანდათან ნელდება, რაც სავსებით ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა. ამ პერიოდში საკრედიტო დაწესებულებათა საერთო რიცხვი გადიდდა ათი ერთეულით, ე. ი. 16,9 პროცენტით და მიაღწია 69-ს. ორი წლის განმავლობაში საკრედიტო დაწესებულებათა საერთო რიცხვი გადიდებულა 72,5 პროცენტით. სხვებს შორის, ყველაზე მეტად იზრდებიან საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი. ორი წლის განმავლობაში მათი რიცხვი 3-დან ავიდა 15-მდე.

ადგილობრ. მრეწველობა

სენაკის სამაზრო აღმასკომის მთავარი ყურადღება ამჟამად მიქცეულია ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისაკენ მაზრაში, სადაც ჯერ კიდევ გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა მთელ რიგ ახალ წარმოებებს. ამას წინად აღმასკომმა ა. ქ. ვაჭრობის სააიო ამხანაგობისაგან შეიძინა 16 ათას მანეთად ღირებული თხილის საწმენდი ქარხანა. ა. ქ. მებამბეობის კომიტეტისაგან შეძენილია ბამბის საწმენდი ქარხანა, რომლის ღირებულება 20 ათას მანეთს აღემატება. ქალაქ ახალსენაკში აღმასკომმა ააგო და ამჟამად უკვე მუშაობს კირის ქარხანა, რომელიც 12 ათასი მანეთი დაჯდა. მოწყობილია აგრეთვე მექანიკური სახელოსნო, რომელიც აღმასკომს ხუთი ათას მანეთად დაუჯდა. სენაკის სამაზრო აღმასკომის ერთი მნიშვნელოვან წარმოებათაგანს წარმოადგენს აგრეთვე ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელმაც გასულ წელს აღმასკომს 5 ათასი მანეთი წმინდა მოგება დაუტოვა.

მიმდინარე წლისათვის გადაწყვეტილია ბეკონის ქარხნის აგება დაბა აბაშაში, რომლის რაიონიც განთქმულია ჯიშიანი ღორებით. მომავალი გაზაფხულიდან აღმასკომი იწყებს აბრეშუმის ფაბრიკის მოწყობას, რომლის შესახებაც აღმასკომს უკვე აქვს მიღებული ნებართვა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან.

სოფელ ნოსირში შენდება აგურ-კრამიტის დიდი ქარხანა, რომელიც 120 ათასი მანეთი ჯდება. ქარხანა შენდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ქარხნის მოწყობილობის ნაწილი უკვე შეძენილი და ადგილზე მტანილია.

ზოოლოგიური ბაღი

თბილისში ზოოლოგიური ბაღის მოწყობის საკითხი უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე სდგას. თბილისის აღმასკომმა წინასწარი სამუშაოების შესასრულებლათ გადასდო 15.000 მანეთი. ბაღის მოწყობის ხელმძღვანელათ / მოწვეულია სახ. პოლიტ. ინსტიტუტის ლექტორი ი. მარკოვი.

ბაღის მოწყობისა და ცხოველების შეძენის შესახებ ი. მარკოვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— ბაღის მოწყობა გადაწყვეტილია ეხლანდელ ვერის პარკში, რომელიც უნდა გადაკეთდეს საფუძვლიანათ. ჯერ ერთი საჭირო იქნება მდ. ვერის ხასიათის შესწავლა და სხვადასხვა მცურავი ფრინველებისათვის შესაფერი ნავსადგურების მოწყობა. დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ აგრეთვე ბაღში ტყის მოშენება, ვინაიდან ზოგიერთ გარეულ ცხოველებს უტყეოთ ყოფნა არ შეუძლიათ. ბაღი დაიყოფა რამოდენიმე განყოფილებათ. ბაღის მოწყობის საქმეში ჩვენ აღებული გვაქვს ე. წ. ნატურალური მეთოდი: ბაღი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ გარეულმა ნადირმა თავი არ იგრძნოს დაჭერილათ, არამედ შეიქმნას მის განსავითარებლათ და მოსამრავლებლათ სრულიად ბუნებრივი პირობები.

გაზაფხულიდან გავაგზავნით სხვადასხვა ქვეყნებში და კუთხეებში სპეციალურ ექსპედიციებს ნადირების დასაჭერად და ჩამოსაყვანათ. ამისათვის არჩეულ იქნება ისეთი დრო, როცა ნადირი მრავლობს, ვინაიდან ჩვილი ნადირის ოდნავ წამოზრდამდე ადვილია. ექსპედიცია დარჩება ადგილობრივ ჩვილი ნადირის წამოზრდამდე.

ბაღში აგებულ იქნება ცხოველების თავშესაფარები, გამოქვაბულები, ზეროები, ფრინველთა ბუდეები, კლდეები და სხ.

პირველ ხანებში განზრახულია უფრო იშვიათი ეკზემპლიარების ჩამოყვანა. თბილისის ზოოლოგიური ბაღი ჩვენის გეგმით უნდა იქნეს მეორე მთელ საბჭოთა კავშირში მოსკოვის ზოოლოგიური ბაღის შემდეგ.

საძოვრები

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა პროექტი დადგენილებისა, რომლითაც ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, რომ ამ უკანასკნელებმა დაუყონებლივ წარადგინონ რესპუბლიკატურ ფინსახკომებში ყველა მოწყობილ საძოვრების სიები.

აუცილებლად წარდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე საძოვრების მოსაწყობად საჭირო სამუშაოების გეგმა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს ის თანხა, რომლის გაღებაც საჭიროა ამ მიზნისათვის მიწათმოწყობის საერთო კრედიტებიდან.

საძოვრების სახელმწიფო ფონდიდან გამოყოფისა და ადგილობრივ მნიშვნელობის საძოვრებში გადარიცხვის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს არა მარტო ცალკე მაზრების, არამედ მთელი რესპუბლიკის ინტერესები.

აუცილებლად არის ცნობილი აგრეთვე საძოვრების მეურნეობის, საძოვრების მოსაწყობად წარმოებული მუშაობის და ამ საქმისათვის ბიუჯეტით გაღებულ თანხების ხარჯვის გამოკვლევა.

გამოკვლევას მოახდენს სპეციალური კომისია ა.-კ. ფინსახკომის წარმომადგენლის მონაწილეობით.

სოცდაზღვევა

რკინისგზებზე

სოც. დაზღვევის კამპანია

ა.-კ. რკინისგზების დამზღვევი სალარო, საუბნო სალაროების კომიტეტების ხელახალი არჩევნების გამო ამ დღეებში შეუდგება სოცდაზღვევის კამპანიის ჩატარებას. კამპანიების ჩატარების დროს გაკეთებული იქნება მოხსენებები ცენტრალურ და საუბნო სალაროების მუშაობის შესახებ და სოცდაზღვევის სხვადასხვა საკითხებზე. მოხსენებებთან ერთად გაიმართება მხატვრული საღამოები-წარმოდგენებით. საღამოების თემებია; სიმულიაციასთან და სხვადასხვა ბოროტმოქმედებებთან ბრძოლა.

კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ადგილებზე, თითოეულ საუბნო დამზღვევ სალაროსთან შექმნილია სპეციალური კომისია.

პლენუმი

5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, თბილისში მოწვეულია ა.-კ. რკინის გზების დამზღვევ სალაროს კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გაიხსნება საგზაო კომიტეტის შენობაში.

პლენუმზე მოწვეულნი არიან: სოცდაზღვევის ცენტრ. სამმართველოს, ა.-კ. რკ. გზ. ჯან. რკ. გზის სამმართველოს საგზაო კომიტეტის განყ. საქ. სოც. დაზღვევის სამმართველოს, ა.-კ. საგზაო ინსპექციის წარმომადგენლები. სალაროს ექიმები და სხვ.

რკინისგზებზე

დათხოვნა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ მოხსნა სამსახურიდან მატ. № 220 მემანქანე კოზინი და მისი თანაშემწე ბარინოვი, ორთქლმავალზე ძილის გამო, რასაც მოყვა მატარებლის გადაცდენა ლიანდაგიდან სად. ბელიჯში.

ჯილდოს გადიდება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გაადიდა საკილომეტრო ჯილდოები იმ ორთქლმავალთა ბრიგადებისათვის, რომლებიც მუშაობენ „ფერლი“-ს ორთქლმავალზე და ისეთ ორთქლმავალებზე, რომლების გახურება ხდება ნახშირის საშუალებით. ამასთან ერთად განკარგულება მიეცა წევის დარგს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ბრიგადების ზედმეტი მუშაობა.

ა.-კ. რკ. გზ. შტატი

1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის რკ. გზ. შტატი შესდგებოდა 30.464 კაცისგან. ამჟამად ა.-კ. რკ. გზისათვის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ შტატში დამტკიცებულია 30.751 მუშა-მოსამსახურე. ხელფასის ფონდი დამტკიცებულია 31.301.289 მანეთის რაოდენობით.

ხელფასის ფონდი მიმდინარე წელში გაიზარდა 6.616.219 მანეთით.

მატარებლების დაჯახება

გუშინ დილის 5 საათზე სად. კოპიტნარში დაკავებულ ლიანდაგზე მიღებულ იქნა მატარებელი № 364, რის გამო უკანასკნელი დაეჯახა საბარგო მატარებელს № 384.

დაჯახებას შედეგათ მოჰყვა 4 ცარიელი დახურული ვაგონის გადავარდნა ლიანდაგიდან და დამსხვრევა. მატარებლის შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ორთქლმავალი და 7 დატვირთული ვაგონი.

დაიჭრა მთავარი კონდუქტორი რევიშვილი.

უბედური შემთხვევა გამოწვეულია მეისრე კოხრეიძის დაუდევრობით.

მარცხის ადგილზე სამტრედიიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

სწარმოებს მუშაობა გზის გასაწმენდათ.

სასამართლო

მკვლელობა

27 თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ანტონ ქურთიშვილის და ალექსი მეზვრიშვილის საქმე.

ქურთიშვილსა და მეზვრიშვილს ბრალდებათ მოქ. ზაქარია ოთიაშვილის მოკვლა, ხოლო მიხეილ თედიაშვილის დაჭრა მოკვლის განზრახვით.

თავდამსხმელები

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაირჩა გრიგოლ არჩვაძის და ერემია დონაძის საქმე.

ბრალს სდებდა პროკურორი შელიძე, ბრალდებულებს იცავდენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ზედგინიძე და ტაკუევი.

გასულ წელს ბრალდებულები თავს დაესხნენ ავჭალის გზაზე მიმავალ მეურმე გლეხებს და სიკვდილის მუქარით წაართვეს მათ 73 მანეთი, გახადეს ტანთსაცმელი და მიიმალენ.

იმავე დღეს დააპატიმრეს არჩვაძე, რომელმაც თავი დამნაშავედ სცნო და დაასახელა მეორე ბოროტმოქმედი. არ გასულა დიდი ხანი, რომ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა დააპატიმრა დონაძეც, რომელიც იმალებოდა ველისციხეში.

სასამართლომ ბრალდებულ არჩვაძეს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ბრალდებულ დონაძეს კი 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ქრონიკა

დახმარება უპატრონო ბავშვებს

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ უპატრონო ბავშვთა დახმარების ფონდში გადაგზავნა ამერიკულ „ტიუკების“ გაყიდვიდან შემოსული თანხა.

ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს—83.750 მანეთი, აზერბეიჯანს—33.750 მანეთი და სომხეთს—167.500 მანეთი.

ხელოვნების ქრონიკა ,(

თბილისის აღმასკომში

◆ საბინაო - საამშენებლო კავშირს საბინაო მშენებლობის დამხმარე თბ. კომიტეტებმა დამატებით მისცა 20.000 მანეთი საამშენებლო მასალების შესაძენად.

◆ ლადო კეცხოველის ქუჩაზე № 9 დაარსდა საბინაო -საიჯარო ამხ-ბა, რომელიც აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა თავის უკანასკნელ სხდომაზე.

◆ ტყის მოშენება. სატყეო კულტურის სექცია ახლო ხანში შეუდგება აგურის ქარხნების მიდამოებში ტყის გაშენებას.

◆ ტროცკის სახელობის საბინაო-საამშენებლო ამხ-ბას სესხად მიეცა 6000 მანეთი.

სოც.უზრუნველყოფის კომისარიატში

◆ პაპიროსების გამყიდველთა ნადი „გამარჯვება“ ამჟამად აერთიანებს 200 ინვალიდს.

◆ ახალი ნადი. სოცუზრუნველყოფის კომისარიატი აწყობს გაზეთების დამრიგებელთა ნადს.

◆ მთელ რესპუბლიკაში ამჟამად მოწყობილია 37 საწარმოო ხასიათის ნადი.

◆ გაძლიერებული პენსიის სახით იანვარში კომისარიატმა გასცა 3300 მანეთი.

◆ როგორ უნდა იმუშაონ გლეხკომებმა! კომისარიატმა გამოსცა წიგნი გლეხკომებისათვის მუშაობის დროს სახელმძღვანელოს.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ აგრონომები. მიწად-მოქ. კომისარიატი იწვევს აგრონომებს: 2 გორის მაზრისათვის, 3 სენაკის მაზრისათვის და 1 აგრონომ-მესაქონლეს დუშეთის მაზრისათვის.

◆ მეაბრეშუმეთა ყრილობა. მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით ამიერ-კავკასიის და შუა აზიის მეაბრეშუმე სპეციალისტთა ყრილობა მოწვეული იქნება აზერბეიჯანში.

◆ ბიურო. მიწად-მოქ. კომისარიატთან არსდება სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოების სტანდარტიზაციის ბიურო.

კრებები და მოხსენებები

◆ ოთხშაბათს, 2 თებერვალს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიულ კაბინეტში, საღამოს 7 საათზე, შესდგება საქ. გეოგრ. საზ-ის მთასვლა-მგზავროსნულ განყ-ის მორიგი სხდომა.

დ. ნიკოლაიშვილი წაიკითხავს შემდეგ თემაზე:

„მთასვლელობა (ალპინიზმი) და მისი მნიშვნელობა“.

დასწრება თავისუფალია. მოხსენების დაწყებამდე შეიძლება მთას. მგზ. განყ-ში ჩაწერა.

სხვადასხვა

ჩაბარებელი დეპეშები: 1. ბაქიკასულიდან ომინევისას, 2. სუხუმიდან კაკუჩაიას, 3. სტაროჩერბინსკიდან კობიძეს, 4. მოსკოვიდან სირიეს, 5. აბაშიდან თორდიას, 6. ომსკიდან ჯულაიძეს, 7. ფოთიდან კირცხალიას, 8. ლენინაკანიდან ტერაკოვს, 9. სიღნაღიდან იაგორაშვილს, 10. აგდამიდან შუბილოვს, 11. ახალციხიდან იბრაგიმ-ოღლის, 12. ახალციხიდან იბრაგიმ-ოღლის, 13. სუხუმიდან ერნ-სიანს და 14. ზუგდიდიდან გასპარიანცს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ეგონ პეტრის მონაწილეობით და ი. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით დღეს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ სანდრო ინაშვილის მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში მიდის „დაისი“.

◆ სომეხ სატრიკოსის პარონიანის გარდაცვალებიდან 25 წლის აღსანიშნავად დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება მისი ხსოვნის საღამო.

◆ ალიო მაშაშვილის ლექსთა კრებული დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ. წიგნი გამოცემულია სახელგამის მიერ. სუფთა ქაღალდზე და ღირს 1 მ. 20 კაპ.

◆ ქართველი მწერლები სომხურ ენაზე. ერევანში გამოვიდა სომხურ ენაზე ქართველი მწერლების ნაწერების პირველი ტომი აუშტრიანის რედაქტორობით.

◆ „დონ-ჟუანი“. ახლო ხანში მუშათა თეატრში ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „დონ ჟუანი“ ვახ. გარრიკის რეჟისორობით.

◆ მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობები „თეთრი საყელო“, „[illegible] აბდულა“, „[illegible]“ და სხვა გამოსაცემად მიიღო მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ.

— დღეს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ქართველ ფუტურისტების საჯარო სხდომა. რომელზედაც ბესარიონ ჟღენტი წაიკითხავს სადისკუსიო მოხსენებას. „მემარცხენეობის საკითხი ქართველ ხელოვნებაში“.

◆ გამოვიდა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლის ალიო მაშაშვილის ლექსთა კრებული გამოცემა სახელგამის. წიგნი დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ღირს 1 მ. 20 კაპ.

უმსგავსოება

რომელიც არ უნდა განმეორდეს

(31 იანვარს „გამართულ“ საღამოს გამო)

ჩვენ შეჩვეული ვართ ლიტერატურულ საღამოებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხშირად არ იცი ვინ მართავს ამ საღამოს და გულახდილად რომ ვსთქვათ გაგრიყვებს სამ არშინიანი აფიშა, საღამოს პროგრამა. დაესწრები საღამოს და გამოცხადებულ ორმოც მონაწილის მაგიერ ხელში შეგრჩება ორი-სამი კაცი. ეს არის წმინდა წყლის აფიორა. სწორედ ასეთ აფიორას ადგილი ჰქონდა 31 იანვარს ყოფ. მცირე თეატრში ორი კვირით ადრე ქუჩებში გააკრეს ხალიჩასავით აჭრელებული აფიშა, საინტერესოდ შედგენილი. კაცი შეიძლება წახვიდე ისეთ საღამოზე. სადაც გამოდიან მთელი რიგი პოეტებისა, მწერლებისა და მომღერლებისა.

მაგრამ საღამოზე ნამდვილად მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ მიხა ჯავახიშვილმა, რაჟდენ გვეტაძემ, ნ. თარიშვილმა, ნ. ჩაჩავამ და ტ. გრანელმა. მომღერლებიდან მხოლოდ ქუმბურიძემ. აფიშის მიხედვით კი მონაწილეობა უნდა მიეღოთ კიდევ: ვ. გაფრინდაშვილს, ი. გრიშაშვილს ვ. გორგაძეს, პაოლო იაშვილს, გ. ლეონიძეს, ქ. ნადირაძეს, ტ. ტაბიძეს, ს. ჩიქოვანს, დ. შენგელაიას და სხ., მომღერლებიდან: ქუმსიაშვილს, ს. დოლიძეს, ცირილაძეს, ანდღულაძეს, ვ. შარაშიძეს, კარგარეთელს, მრავალს, მაყაშვილს, ეპიტაშვილს, ანდრონიკაშვილს და სხვებს.

რა დაემართა ამ ხალხს, რატომ არ მიიღეს მონაწილეობა? ან რათ მისცეს თანხმობა? იქნებ მათ დაუკითხავათ გამოაცხადეს მათი გვარები? თუ ეს მართლა ასე მოხდა, რატომ არაფერი სთქვეს, ორი კვირის განმავლობაში? მაგრამ, როგორც ვიცით, ამისათვის თავი არავის შეუწუხებია.

ასეთ უმსგავსოებას ადგილი აღარ უნდა იქნეს. საჭიროა ვადამჭრელი ზომების მიღება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხალხის აბუჩად აგდება.

ჭ.

შემთხვევები

ექიმ აფერისტის დაპატიმრება

ერთ წელზე მეტია რაც საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის მილიცია დაეძებს ექიმ-აფერისტს დანიელ აბრამის ძე ლევიტოვს. მაგრამ მისი დაპატიმრება მაინც არ მოხერხდა. ტყუილად კი არ დაიმსახურა მან მსოფლიო აფერისტის სახელწოდება.

ლევიტოვს ჰქონდა მრავალი ყალბი დოკუმენტები და ბერლინის ფირმის „ადელგეიმი“-საგან, სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან სდებდა ხელშეკრულებებს და ამგვარი ხრიკებით ატყუილებდა ყველას.

ლევიტოვს ჰქონდა აგრეთვე მოწმობები, რომ ის ირიცხება ბერლინის საექიმო ფირმის „ადელგეიმის“ რწმუნებულად საბჭოთა კავშირში.

ლევიტოვი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ავრცელებდა ბერლინში გამოცემულ საექიმო ყოველთვიურ ჟურნალს სახელწოდებით „ექიმი“.

საბჭოთა კავშირში ლევიტოვი მოგზაურობდა ერთი ქალაქიდან მეორეში. ხელის მომწერლებიდან ღებულობდა ფულებს და ითვისებდა.

გასულ წელს ლევიტოვი პირველად ჩამოვიდა თბილისში. მაშინ ამნაირი ოინებით და ხრიკებით მან დაატყუა თბილისის ექიმები და სახელმწიფო ორგანიზაციები. ამ გზით შეკრიბა 5.000 მანეთი. არც ერთს ხელის მომწერს მისგან წიგნი არ მიუღია.

გასულ წელს ლევიტოვი თბილისში პირველად გამოცხადდა ექიმ თევდიევს. აჩვენა მას საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარის ამხ. სემაშკოს ხელმოწერილი ყალბი ქაღალდი, მიიღო ერთ დაკვეთა, აიღო ფული და მიიმალა.

ამის გამო ლევიტოვი დააპატიმრეს. შემდეგ გაუშვეს თავდებში. ბოლოს ის მიიმალა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ აფერისტი ლევიტოვი დააპატიმრა თბილისში.

ამჟამად მასზე ირიცხება რამოდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მას მიუღია ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან.

ლევიტოვს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა სხვადასხვა წიგნებისა და ჟურნალების ნიმუშები წიგნებზე აწერია „თბილისი, გამომცემლობა, მაღაზია, წყნეთის ქუჩა № 6“. წყნეთის ქუჩაზე კი არავითარი წიგნის საწყობი და მაღაზია არ არსებობს.

დაპატიმრებისას ლევიტოვს აღმოაჩნდა აგრეთვე მთელი რიგი ყალბი საბუთები, ხელშეკრულებები და სხვა.

ამ ბოლო დროს ივი „მოღვაწეობდა“ კახეთში.

ეტლის ჩავარდნა ორმოში

გუშინ, საღამოს, მოქ. დუგლიშვილს მიჰყავდა ეტლი ალავერდის ქუჩის მიმართულებით.

ეტლში იჯდა 5 მგზავრი.

ალავერდის ქუჩაზე სახლი № 2-ის პირდაპირ ეტლი ჩავარდა საკანალიზაციო ორმოში, რომლის სიღრმე ერთ საჟენს აღემატება.

საგუშაგოზე მყოფმა მილიციელმა საჩქაროთ გამოიწვია მესამე ცეცხლის მქრობელთა რაზმი. ამ უკანასკნელთა დახმარებით ეტლი ამოიღეს ორმოდან.

მსუბუქად დაშავდა ერთი მგზავრი.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

იურიდიული დახმარება

პენსიონერ ალ. იაძეს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ხართ ჭლექით დაავადებული. ამ ჟამად იმყოფებით აბასთუმნის აგარაკზე. ირიცხებით შრომის ინვალიდთა მეორე ჯგუფში და თვიურად პენსიას იღებთ 16 მან. 70 კაპ. რაოდენობით (ე. ი. იმაზე ნაკლებს, რაც თქვენი აზრით თქვენთვის უნდა მიეცათ) და გვეკითხებით, თუ რატომ არ ვრცელდება თქვენზე ის წესები, რომელიც მოცემულია ჩვენ პასუხში გაზ. „კომუნისტი“-ს 1927 წ. 11 იანვრის ნომერში, ან და ვის უნდა მიმართოთ „დანაკლისის“ მისაღებად.

გიპასუხებთ

ჩვენ პასუხში ჩვენ გვაქვს მხედველობაში ერთი კონკრეტიული შემთხვევა შრომის ინვალიდობისა დასახიჩრების გამო. რაც შეეხება თქვენს ანვალიდობას, იგი წარმოშობილია პროფესიონალური ავადმყოფობით (ჭლექით) და თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატთან არსებულ სოცდაზღვევის საბჭოს მიერ 1926 წ. 16 ნოემბრიდან გამოცემული ინსტრუქციის მუხ. 8-ისა, გეძლევათ საშუალება აღძრათ შუამდგომლობა დამზღვევ სალაროს წინაშე პენსიის რაოდენობის გადიდების შესახებ, თუ კი მისი გამოანგარიშების დროს, თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატის 1926 წ. 7 ივნისის დადგენილება № 23-ისა, დაშვებული იყო რაიმე შეცდომა.

კომლის გაყრის შესახებ

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება

რკინისგზელ დოროთე ი-ნს.

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ უკვე ისარგებლეთ მორიგი შვებულებით და უკვე ერთი თვეა, რაც დაუბრუნდით სამუშაოს. რამოდენიმე დღის წინედ მოგივიდათ დეპეშა მოხუცი დედის სიკვდილის შესახებ. დეპეშა უჩვენეთ თქვენ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელსაც თხოვდით რამოდენიმე დღით განთავისუფლებას. მან არამც თუ არ „შეიწყნარა“ თქვენი თხოვნა, პირიქით, გასცა განკარგულება თქვენი დათხოვნის შესახებ. ეხლა ჩვენ გვეკითხებით, კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება.

გიპასუხებთ:

ადმინისტრაციის მოქმედება სრულიად უკანონოა. მას ძველი რეჟიმის ბიუროკრატიზმის სუნი უდის, რაც საბჭოთა ხელისუფლების ხანაში ყოვლად დაუშვებელია. თქვენი დათხოვნა სამსახურიდან დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენ ნებადაურთველად (თქვენი ნებით) გაემგზავრებოდით სოფელში და სამუშაოზე თქვენი გამოუცხადებლობის სამი დღის მეტი ხნის განმავლობაში მოტივებს (მიზეზებს) შეფასკომი ვერ იცნობდა საკმარისად (საპატიო მიზეზად) და დათანხმდებოდა თქვენ დათხოვნაზე.

ბავშვის საკვები დახმარების შესახებ

სონა გო-ძაძეს.

თქვენ გვწერთ, რომ ქმართან ხშირად უსიამოვნება მოგდით. ქმარი ძალზე უხეშად გეპყრობათ და არავითარ დახმარებას იგი არ გაძლევთ მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ გყავთ ხუთი თვის ბავშვი. ამის გამო თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ, ქმარს გაეყაროთ და თქვენ გვეკითხებით, მოგეცემათ თუ არა განქორწინების შემდეგ ბავშვის საკვები დახმარება დამზღვევ სალაროდან.

გიპასუხებთ:

დამზღვევი სალარო ვალდებულია მოგცეთ ბავშვის დაბადების დღიდან ცხრა თვის განმავლობაში რძის ფული. განქორწინება სრულიად არ გართმევთ თქვენ უფლებას, რომ სალაროდან ბავშვის საკვები ფული თქვენ მიიღოთ არსებულ წესების თანახმად.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემდეგი ჩემი განცხადება. დღიდან ყოფ. დამფუძნებელ კრების არჩევნებისა საქართველოში, მე სრულიად შევსწყვიტე მუშაობა სოციალისტ-რევოლიუც. პარტიაში, რომლის აქტიურ წევრად ვითვლებოდი, მანამდის, და ამნაირად ფაქტიურად მივატოვე პარტია.

ვრჩები რა ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიების გარეშე, მე სრულიად შეგნებულად ვსდგევარ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და მზადა ვარ ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მოვახმარო საბჭოთა, აღმშენებლობის საქმეს, რასაც ფაქტიურად ვანხორციელებ კიდეც დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა.

მირიან თეიმურაზისძე ბასილია.

ნარევი

მოძრაობა ბერლინის ქუჩებში

ბერლინის ქუჩებში მოძრაობის შესახებ და უბედურ შემთხვევათა შესახებ შეკრებილი ცნობების [illegible] თითოეული [illegible] ოთხშაბათზე მოდის. კვირას [illegible] დროში [illegible] უბედურ შემთხვევებს, ვიდრე სხვა დღეებში და სხვა დროს.

უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა მოდის ორშაბათზე და საერთოდ უქმის შემდგომ დღეებზე.

ადამიანებს, რომლებიც მოგზაურობენ სხვადასხვა სახის ეტლებით, ყველაზე მეტი საფრთხე მოელით ოქტომბერში და ნოემბერში. ფეხით მოსიარულეთათვის ყველაზე სახიფათოა ივლისი.

დაწესებულებებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ქუჩებში მოძრაობას, მიმართეს გამოყენებით ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლობას, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები მარცხებთან საბრძოლველად.

სხვათა შორის, ბერლინის ტრამვაის ვაგონებში წარწერა „სვლის დროს ჩამოსვლა აკრძალულია“—მოხსნილია და შეცვლილია პლაკატით, რომელზეც დახატულია ვაგონის გაჩერებამდი გადმომხტარი მგზავრი, რომელსაც ეს-ეს არის გასჭყლიტავს ტრამვაი. სურათს ქვეშ აქვს წარწერა: „განა ღირდა ეს ხუთი წამისათვის“.

• მთავარი ყურადღება ამჟამად მიქცეული აქვს შოფერების, ვატმანების და მეეტლების მომზადებას. სანამ დაუშვებენ სამუშაოთ, მათ უნდა ვაიარონ „შვიდი უბედურება“, როგორც ხუმრობით უწოდებენ ისინი კომპლექსს გამოცდებისას, რომელიც 7 ნაწილისაგან შესდგება

მაგრამ ამის წინ ხდება კანდიდატების სასტიკი შერჩევა: კანდიდატებს 5-დან 15 პროცენტამდე უარს ეუბნებიან წარსულში სათანადო სტაჟის უქონლობისათვის, 50-60 პროცენტს უვარგისად სცნობენ საექიმო შემოწმების შემდეგ. ასე რომ, ფაქტიურად, გამოცდებზე უშვებენ კანდიდატების მხოლოდ 20-30 პროცენტს.

თავდასხმები შეერთებულ შტატებში

საფოსტო მატარებლებზე თავდასხმების გახშირების გამო, შეერთებული შტატების საფოსტო უწყებამ გამოსცა სპეციალური ბრძანება საფოსტო ამანათების იარაღით დაცვის შესახებ. ფოსტის მოხელეებმა უნდა ესროლონ ბოროტმოქმედებს, თუ უკანასკნელებმა განიზრახეს თავდასხმა ფოსტაზე. თითეული ბოროტმოქმედის მოკვლისათვის მოხელეს ჯილდოთ ეძლევა 500 დოლარი. თუ ეს ღონისძიებები არ შეუწყობენ ხელს ბოროტმოქმედებათა რაოდენობის შემცირებას, განზრახულია სპეციალური რაზმების შექმნა მატარებლების გასაცილებლად.

პარტკალენდარი

პარასკევს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას ქალთა განყოფილებაში დანიშნულია

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღის—8 მარტის ჩასატარებლად შემდგარ კომისიის პირველი სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენლებისა: ა.-კ. სოლქო კომიტ. ქალთა განყ. თბ. კომ., ქალთა განყ. ს. კ. პ. ცეკას საორგანიზაც. და სააგიტ.-საპროპ. განყ., ახკომკავშირის ცეკა, ნორჩ პიონერთა ცენტრ ბიურო, განსახკომი, პოლიტ. განათ. მთავარი სამმართ. საქ. პროფკავშირთა საბჭო, ჯანსახკომი, საქ. შრომის სახკომი, კოოპერატივთა საბჭო, ცეკავშირი, ქარ. დივიზიის პოლიტგანიდან, წით- ჯვრის ცენტრ. კომიტ. ხაქ. ცაკთან არსებული ქალთა მდგომარეობის გაუმჯ. კომისია, გაზეთ „მუშა“-ს, „კომუნისტი“-ს, „ახალი სოფლის“ და „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქციებიდან.

ქალთა განყ. მდივანი—შავგულიძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს 2 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება მე-2-ე რაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ დაუგვიანებლად ყველა დელეგატი ქალები და აგრეთვე ქალთა ორგანიზატორები.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელანია ანტონის ასული შვილებით მარინე და ქეთო და სიძე თომა თომას-ძე ციციშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 31 იანვარს, ღამის 11 საათზე ყოფილ ალექსანდრეს საავადმყოფოში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე პავლეს-ძე იმნაძე

პანაშვიდი იქნება დღეს, 5 საათზე. საავადმყოფოში კამოს ქ. № 103, დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 577

სახელმწიფო დრამა
4—1 ნ. 573

ხუთშაბათს, 3 თებერვალს
უ. შექსპირის
ჰამლეტ
ჰამლეტ—უშანგი ჩხეიძე
ტრაგედია 5 მოქმ. და 11 სურათ. თარგ. ი. მაჩაბელის
დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის
მუსიკა პ. ჩაიკოვსკისა.

შაბათს, 5 თებერვალს
ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის.

კვირას, 6 თებერვალს
ფრიდრიხ შილლერის
დეზერტირკა
დრამა 10 სურ. თარ. ს. შანშიაშვილის
დადგმა: დოდო ანთაძის მხატვარი: ირ. გამრეკელი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 575

დღეს, 2 თებერვ. სანდრო ინაშვილის მაზოვეცკაიას და ქუმსიაშვილის მონაწ.
დაისი
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, მეორე აბონიმენტის მე-7 წარმოდგენა
ბოკაჩიო

შაბათს, 5 თებერვალს, პრემიერა
სამსონ და დალილა
დადგმა ა. ეიხენვალდის

მუშათა თეატრი
(ყოფ. სახალხო სახლი)

დღეს, 2 თებერვალს, ქართული დრამა
ს. პოკოფიევი. მესამედ
პარიზი
(ე. ზოლას რომანით) დრამა 4 მოქმ.
დადგმა მ. ქორელისა
1489

ცირკი
ძმ. ტანტების
ნ. 568
ტელ. 16—67

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
სამშაბათს, 1-ს და ოთხშაბათს, 2 თებერვალს
განახლებული სანახაობანი 3 განყ. 14 №№. მე-8 და მე-9 დღე ჭიდაობის ჩემპიონატისა პირველი გამოსვლა ცნობ. მსოფ. ჩემპიონის
ვეილანდ შულცის
პირველი გამოსვლა „შავი ნილაბის“ და „ჰერკულესის“ ჭიდაობს სამი წყვილი
დასაწყისი 8 ნახ. საათზე. თვალყური ადევნეთ ჩვენ აფიშებს.
ადმინ. ხელმ. მ. ი. ტ ა დ ე.

თბილისის სახელ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის ლექტორთა ჯგუფი ამზადებს მსურველებს
უნივერსიტეტისათვის
და
სიმწიფის მოწმობაზე
მეცადინეობა დაიწყო პირველ ჯგუფებში. ჩაწერა გრძელდება, ახალი ჯგუფი დაიწყებს მეცადინეობას 5 თებერვლიდან პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე 9—5 საათამდე—კალინინის ქუჩ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 74, ბინა № 6 იზოში. 1450

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

უდიდესი წარმატების გამო მეორე კვირაში გრძელდება ჩვენება საქართველოს სახკინმრეწვის სურათისა
ორი მონადირე
ტრაგედია 7 ნაწ., ი. ელეფთერიძის მოთხრ. მიხედვით
დადგმა ა. რ. წუწუნავასი ოპერ. ს. პ. ზაბოზლაევი
1-ლი სეანსის დასაწყისი სად. 6 საათზე
საუკეთესო სურათი რუდოლფ ვ ლენტინოს და ნიტა ნალდის მონაწილეობით
„სისხლი და სილა“
ანონსი: ამ დღეებში „მონტეცუმას ასული“.
საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება
„ბ ე ლ ა“ ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით
0—22 ნ. 543

ქ. ოზურგეთში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელის მოწერა მიიღება განყოფილების გამგე
პოლ. ინწკირველთან
3—1
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

სასადილო-ბუფეტი № 1
თავისუფლების მოედანი ყოფ. სასტუმრო „კავკაზ“
სამხედრო სამომხმარებლო საზ. „გოეც“
საუზმე, სადილი, ვახშამი
სამზარეულო საუკეთესო კულინარების მეთვალყურეობით ყოველდღიურათ 8 საათიდან უკრავს სიმებიანი ორკესტრი
ფასები ზომიერია. სადილების მიღება შეუძლია ყველას. ნ. 576

სახლის პატრონთა საყურადღებოდ
სახლისა და კუთხის სანათეების (ФОНАРИ) დამზადება თბილისის აღმასკომის მიერ შეუშავებული ნიმუშის მიხედვით გადაეცა ბავშთა მეგობრობის საზოგადოებას.
შეკვეთები მიიღება საზოგადოების ბინაზე კომინტერნის (ყოფ. სასახლის) ქ. № 4 და ინვალიდთა სამხატვრო არტელში, პლეხანოვის ქ. № 78. თვითეულ კედლის სანათის ღირებულება – 4 მან. 80 კაპ., კუთხის – 6 მან. 30 კაპ.
სანათების დროზე შესრულების მიზნით, საზოგადოება სთხოვს ყველა სახლის მმართველთ და სახლის პატრონთ ასეთები შეუკვეთონ რაც შეიძლება ადრე.
ბავშთა მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმი
2—1 ნ. 571

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 8 თებერვალს 1927 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2 პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამხანაგობა „საერო“-ს მოძრავ ქონებას: ხუთმეტ ცალ მუხის კასრებს-„ბოჩკებს“ შეფასებულს 235 მანეთად, სურსათ გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 9 დეკემბერს 1926 წ. თარიღით, № 5345 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 1492

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 5 თებერვალს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 2 პუშკინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის იოსებ და ევგენი ლომაძეების მოძრავ ქონებას: ერთ საზერველს, 2 ფუთ ფისს, ერთ 4 ფუთიან ბოთლს, ერთ დაზგას (40 ფუთიანი) ერთ კიბეს, 7 ცალ მილებს, სამ რელს-კოჭების და სხვ. შეფასებულს 206 მანეთად, ივანე ზედგინიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 იანვარს 1927 წ. თარიღით, № 157 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 1493

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 5 თებერვალს 1927 წ. დღის 1 საათზე ყოფ. მუხრანის ბაზარში საჯარო ვაჭრობით გაყიდის შალვა კუჩიძის მოძრავ ქონებას: 30 ფუთი შაშხს (ვეჩინას) და სხვ. შეფასებულს 335 მანეთად, „მერკურკრედიტის“ ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 2637 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 1483

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 7 თებერვალს 1927 წ. დღის 2 ს. სახლში № 13 ნიკოლოზის მოედანზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით ომაროვ-ს მოძრავ ქონებას: სხვადასხვა სასმელებს 500 $\frac{1}{40}$ ბოთლ. და 200 $\frac{1}{20}$ ბოთლებში შეფასებულს 550 მანეთად, სურსათ გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ოქტომბერ 1926 წ. თარიღით, № 3831 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1482

ექიმი
ზ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ზ. ზ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ 5 თებერვალს, 1 საათზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე, № 4, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით იასონ გაბილაიას 2 სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებულია 7 ოთახი და 2 სამზარეულო. სახლი ეს შეფასებულია 1500 მან., რომელი თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია კომუნალურ ბანკის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლათ, საერთო ჯამით 4256 მ. 15 კ.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. გათვალისწინებული ცნობები; გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც., ე. ი. 150 მან. 1376

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიროის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ძისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების. ჭლექის და გულის სნეულებანი
ცლების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სად. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ყინწვისის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისი
ექიმი ა. მ. ასათიანი
დაბრუნდა ლენინგრადის კლინიკებიდან და განაახლა ავადმყოფობის მიღება სპეციალურად — სამშობიარო დახმარება და ქალთა სნეულება. 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

დაიკარგა პარტ. ბილეთი № 497041 და სხვა საბუთები №№ 3 და 6 შალვა სარდიონისძე მაღრაძეს სახელზე, ჩ. გ. 1487

დაიკარგა ინვალიდობის მოწმობა № 1558 ნიკოლოზ ცომაიას სახელზე, ჩ. გ. 1482

დაიკარგა დამზღვევ კასის წიგნაკი № 9 ილია მეზრეულის სახელზე, ჩ. გ 1481

დაიკარგა ველისციხის აღმასკომიდან გაცემული მოწმობები დაბადების № 48 და გარდაცვალების № 19 ბავშვი იოსებ ბერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1491

დაიკარგა პასპორტი თ. სადღიანის სახელზე, ჩ. გ. 1486

დაიკარგა რკინისგზელთა კავშირის საწევრო წიგნაკი ილიკო ივანესძე რთველიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1490

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.